

8M 2M - 2M



სრული

ლექსები და მოთხრობები



რელაქციისაბან

ჩინეთის გამოჩენილი მწერალი გო მო-ჟო საკმაოდ ცნობილია საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. მისი ლექსების, მოთხრობების და პიესების კრებული გამოცემულია არაერთხელ რუსულად და საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე, ქართულ ენაზე კი გამოდის პირველად.

წინამდებარე კრებული ძირითადად შედგენილია რუსულად გამოცემულ სამტომეულის მიხედვით. ქართულ გამოცემაში შეტანილია 1919 — 1958 წლებში დაწერილი ნაწარმოებნი.



고려시대

მ ა ნ ა ნ ა

ჩემო მანანა,
სტუმარი ხარ ჩემი, პატარავ,
წითელ კაბაში
წითელ ვარდსა ჰგავხარ, მანანა,
ბავშვურ მუხლებმა
ზღვის ნაპირი გადმოგატარა
და ჩემთან მოხველ,
არ გეშორა მანძილი, განა?

მაგნოლიასთან დგახარ,
მზე კი ზღვის მიღმა ჩადის.
ორი თუ სამი საათია
მიცდი და მელი,
ჩემთვის საჩუქრად
შეგიკონავს მრავალი ვარდი
და აგარაკზე
მომიტანე პატარა ხელით.

ვარდი ბევრია ყველგან,
მაგრამ სხვა არის ჩემთვის
ეს სათამაშო —
თუთიყუში ლამაზი მეტაღ.
უფრო ლამაზი არ მინახავს
ფრინველი ერთიც.

მასზე ძვირფასი

შენთვის რაა ამ ქვეყნად ნეტა?!

გინდა,

მე ამ ჭრელ ფრინველს ხელთ ავიღებ, როგორც ფიალას
და მერე შევსვამ

მთელ ცხოვრების სიხარულს ამით.

...თუ კი სიკვდილმა

არ გამაქრო მე ადრინადად,

არ მოვიშორებ ამ საჩუქარს

დღითა და ღამით.

...ჩვენ ზღვის ნაპირას

გადავიღეთ ბალში სურათი,

ჩემს დას ლუ-ძოის,

ამისათვის მადლობა დიდი.

ხედავ,

ლურჯია სივრცე

ამ ზღვის დასასრულამდი,

მწვანეა მთები,

ნაპირს კოცხის ცისფერი ზვირთი;

მთებს მოჰხვევია თხელი ნისლის

პირსახვევები.

ამ ცის ლაყვალდი რა სუფთაა, რა გამჭვირვალე!

და ჩვენთან ერთად

საუბრობს ზღვა

მთები,

ხეები,

და შენ ძააწავლი ქართულ სიტყვებს

აგრე ბრწყინვალედ.

მე ვიმეორებ —

რასაც ამბობ, ამბობ როგორაც,

და მხიბლავს

კოხტა მოძრაობა შენი ხელისა.

„დიდი მადლობა“, —
ო, მადლობა, ჩემო გოგონა,
„ნახვამდის“, —
ვამბობ მეც ქართულად განშორებისას.

წახველი შენ და
მე მაშინვე ზღვაში შევცურე.
ვით დედა კალთით,
ისე ფრთხილად მარწია ზვირთმა.
მერე ლუ-ძოი
და მე ქალაქს გამოვეშურეთ
უმოკლესსა და
ზღვის კენჭებით მოფენილ გზითა.

მე მხიარულად გავიარე
გზა ჩრდილიანი,
ის, რომელიც შენ დღეს გამოვლე,
მნახავდი ვიდრე,
ბაღში შემომხვდა
მაგნოლია რტოთა შრიალით,
და ხეივანში შენ უეცრად
გამოჩნდი კიდევ!

შენ გამაცანი
მამა,
დედა,
ძმა პაწაწინა,
ყველა იმ შენი მხიარული ოჯახის წევრი.
ვთქვი:
„ჩვენ სურათი გადავიღეთ ცოტახნის წინათ,
მე ხშირად მოვწერ პეკინიდან
მანანას წერილს“.

შენმა მამიკომ
მყის მიაგზო მე აღმაფრენით,

იღგა სალამო უჩვეულო მშვიდი და წყნარი:
„ჩვენმა გოგონამ,
იციტ,
იცის ლექსები თქვენო,
მისთვის იქნება
თქვენი ნახვა დაუვიწყარი“.

შენ კი მამიკოს
უთხარ თვალთა აციმციმებით:
„გავუმასპინძლდეთ,
მამა, სტუმრებს ტკბილი ნამცხვრებით!“
შენმა სიტყვებმა
შეგვიერთოლა გულის სიმები,
სტუმართმოყვრობის
წესს რომ იცავ შენ ალტაცებით.

მიტხარ,
რომელი მოგეწონა შენ ჩემი ლექსი?
ის, რომელშიაც
მე სტალინის მამულს ვუმღერი,
სადაც ვადიდე
ეს ჩვენი დრო უნეტარესი,
საბჭოთა ხალხის და ჩინელთა
ძმობა ურღვევი?
სადაც ხალხის მტრებს
ვანადგურებ ცეცხლოვან სიტყვით,
ძათ, კიდევ ომი რომ სურთ ქვეყნად
და არ ცხრებიან?
ჩემო მკითხველო პაწაწინავ
„მადლობა დიდი“,
შენ რაკი ლექსი ამნაირი
მოგწონებია.

ვდგავარ და მათრობს
მაგნოლიის სურნელი მძაფრი,

შერე ხეივანს ყვავილოვანს
მშვიდად მივყვები.

და თვალწინ მიდგას
მე მანანა წითელი კაბით,
და დღეს ყველაფერს მირჩევნია
მისი სიტყვები,

და მისი ძღვენი,
და მის ბავშვურ თვალთა იერი,
და უფრო ის, რომ
დღეს ერთი გზით ლხენით ვიარეთ...
ამიტომ ალბათ
დღეს სხვაგვარად ვარ ბედნიერი.
მაგრამ ლუ-ძოი
ჩემს აზრს სულმთლად არ იზიარებს:

„ნუთუ, ვარშავის ფესტივალი
არ გახსოვთ, როგორ
გარს მხიარული
გაისმოდა ბავშვთა ყიჟინი,
თქვენ ტრიბუნაზე აიყვანეთ
პატარა გოგო, —
განა ნაკლებად
გულკეთილნი იყვნენ ისინი?“

ვერ დავივიწყებ,
რა თქმა უნდა,
ფესტივალს, ვერა,
ვარშაველ ბავშვებს,
მათ თბილ ღიმილს და თვალთა ციალს...
მაგრამ, მანანა,
შენს უმანკო ღიმილს და მზერას,
აუღელვებლად რომ ვუცქერდე,
არ შემიძლია!

არა ჩემს ლექსებს მოუტანე
შენ თაიგული,
იქნებ ისინი
ვარდთა ღირსნი არც კი არიან.
შენ ესალმები
ჩვენს დიდ ოჯახს პატარა გულით,
დიდი ძმობა და
ბედნიერი დრო გიხარია.

წაველ და ისევ
შემოგვძახე შენი ტკბილი ხმით,
მორბიხარ ჩვენთან
ვარსკვლავივით გიკრთის თვალები.
დაგვიწერე და
მისამართი მოგვეც თბილისის.
სტალინის ქვეყნის შეილი ხარ და
გენაცვალეები!

გამოგიგზავნი ჩინეთიდან
სურათებს, ბარათს,
არ მოგაკაროს
სიხარულმა თვალებთან ბინდი.
შენ მიპასუხებ?
უსათუოდ მომწერე მარად.
„ნახვამდის!“
ასე არ მასწავლე?
„მადლობა დიდი!“

გრილმა ნიაემმა
მოახვია ნისლები გორებს,
ზღვა შეიშმუშნა,
მაღე წვიმაც წამოვა ალბათ.
სანატორიუმს დაეუბრუნდე
დრო არის სწორედ,
მაგრამ ეს რაა?
შენ მოდიხარ კვლავ ჩემსკენ სწრაფად.

მოგყვება დედაც,
მკერდს მიჰკვრია პატარა ბავშვი...
და მომიტანეთ

თაიგული კვავილთა კიდევ.
ამ ვარდებივით მშვენიერნო,
ვით ამ ცას გაშლილს,
ბედნიერებას თქვენსას ანე
არა აქვს კიდევ.

ჩემი შვილისგან
მეც მივიღე ახლა ბარათი...
კარგია თქვენთან,
თუმც შორს არის მიწა მშობელი.
ჩვენი ხალხების მეგობრობა
არის მარადი,
ღრმა ამ ზღვასავით
და მზესავით ჩაუქრობელი.

მკერდს დავიბნიე
ერთი ვარდი, ნაზი და ფართე,
გაგრაში ზეცა
მომაგონდა მშობელ პეკინის.
აქ რალაცათი
საოცრად ჰგავს გოგონას ქართველს
ჩემი გოგონა,
გო პინ-ინი, ჩემი კეთილი.

...ჩემო მანანა,
მოგიგონებ ტკბილად ყოველთვის,
იბედნიერე,
ისწავლე და
მზეზე აყვავდი.
შენს გულს არასდროს დაივიწყებს

შენი პოეტო,
„დიდი მადლობა“
ჩემო კარგო გოგო,
„ნახვამდის..“

კრებულიდან „ქალღმერთები“ (1910 — 1921)

ფენიქსთა ნიკვანა

გადმოცემა ამბობს, რომ ტიანფონგოს ქვეყანაში (ე. ო. არაფიაში) ძველ დროს ცხოვრობდნენ ღვთაებრივი ფრინველები — ფენიქსები. როცა მათ ხუთასი წელი შეუსრულდებოდათ, თავს მოიყრიდნენ სურნელოვან ხეზე — სიანმუზე, ცეცხლს წაიკიდებდნენ, დაიწვებოდნენ, მერე ფერფლიდან ხე-
ლახლა დაიბადებოდნენ და იყენენ უმშვენიერესნი, თვალწარმატანი, საკვირველნი და არასოდეს არ კვდებოდნენ. ეს ფრინველები ჰგავნან ჩინურ ფრინველებს — ფენხუანებს („ფენიქსებს“). მამალი — „ფენ“, დედალი — „ხუან“. უძველეს წიგნებში — „ხუნიანტუ“, ნათქვამია: „ფენიქსები დანსიუეს მთაში ცხოვრობენ“. წიგნში — „ტუნანტია“ ნათქვამია: „ფენიქსები... მამალი მღერის „ძი-ძი“, დედალი კი — „ძუ-ძუ“.

პრელუდია

უკანასკნელი ღამის წინაღამეს, ფენიქსი
თავის მეგობართან ერთად მიფრინავს ცაში,
ისინი მიფრინავენ და თან მღერიან,
მიფრინავენ, სურნელოვან რტოებს ეხებიან
მიფრინავენ დანსიუენშანის მთის ზემოთ.

მთიდან მხარმარჯვნივ — მთის ხრიოკი ქიმები
ჩანან,

მთიდან მხარმარცხნივ — დამშრალი წყარო,
წინ — ოკეანის უკიდევანო სივრცე,
უკან — ბალახით მოფენილი დაბლობი,
მთის ზემოთ — პირქუში, ცივი ცის კიდე.

აი, დღე უკვე მიიწურა
სქლად ამოსულ ხეებს ჩრდილი გაუფენიათ,

-
ფენიქსი უკვე დაიღალა ფრენით მათ ზემოთ,
მისი მეგობარიც დაიღალა ფრენით —
ახლოვდება უამი აღსასრულისა.

ფენიქსმა სურნელოვან ხეს გაჰკრა ნისკარტი,
ვარსკვლავები იფანტება ნაპერწკლებივით:
მეგობარი უბერავს ნათელ ნაპერწკლებს,
სურნელოვანი კვამლი ცისკენ მიიწევს.

ფენიქსმა ისევ ნისკარტი გაჰკრა ხეს,
მეგობარი ისევ უბერავს ნაპერწკლებს,
სურნელოვანი კვამლი მიიწევს მთის ზემოთ,
ცეცხლის ალი სულ უფრო მძაფრად გიზგიზებს.

შუა ღამეა,
ხე დაიფერფლა,
ფენიქსი დაიღალა,
მეგობარიც მოიქანცა,
ახლოვდება უამი სიკვდილისა.

ა!..
ტანჯული ფენიქსი მოქნილად ცეკვავს,
მეგობარი მღერის უდიდეს მწუხარებაზე,
ცეკვავს ფენიქსი,
მღერის მეგობარი,
აქვე მოფრინდნენ ფრინველთა გუნდები,
რომ უცქირონ ამ დაკრძალვას.

ფენიქსთა სიზღვრა

ძი-ძი!

ძი-ძი!

დიდი სამყარო რკინასავით ცივია,
დიდი სამყარო სიბნელეს მოუცავს,
16 დიახ, სამყაროს სიკვდილის სუნი ასდის.

ო, სამყაროვ!

რაშია საიდუმლოება შენი დაბადებისა,

ან რაში განისვენებ შენი?

იქნებ ბურთი ხარ, სიცარიელეში დაკიდული?

იქნებ ზოდი ხარ, ზოდი — უკიდევანო?

თუ ბურთი ხარ, საიდან გაჩნდა უსაზღვრო სივრცე,

რომელსაც შენ ჩაკვრიხარ მკერდში?

თუ ზოდი ხარ, — რამ შთაგინერგა

ეს უძლეველი ძალ-ღონე — დიდი?

იქნებ სიცოცხლის მარადიული წყარო ხარ?

იქნებ ვერ სუნთქავ და მკვდარი ხარ, მკვდარი?

თავს მალლა ვწევ, ცას ვეკითხები,

ცა სდუმს — არა იცის რა.

თავს დაბლა ვხრი, მიწას ვეკითხები,

იგი უტყვია — ის აღარ სუნთქავს.

კისერს ვიგრძელებ, ზღვას ვეკითხები,

ის მხოლოდ დახშული კენესით მიპასუხებს.

ა!

ასეთ პირქუშ და ჭუჭყიან ზღვაში

აღმასის ხმალიც კი იჟანგება.

მე გწყევლი შენ, სამყაროვ:

შენ ხარ ეშაფოტი სისხლნაშხეფები,

დილეგი — საესე ვარამით, გლოვით,

სამარე, სადაც ნელ-ნელა იხრწნებიან გვამები,

ჯოჯობებით, სადაც გოდებენ, ცეკვავენ ეშმაკები.

მაშ, რილასთვის არსებობ შენი?

ჩვენ მივფრინავთ დასავლეთით —

შენს ეშაფოტთან.

ჩვენ მივფრინავთ აღმოსავლეთით —

შენს დილეგებში,

ჩვენ მივფრინავთ სამხრეთით —

შენს საფლავებთან.

ჩვენ მივფრინავთ ჩრდილოეთით —
შენს — ჯოჯოხეთში.

ჩვენ. ვცხოვრობთ ამქვეყნად, სადაც ვისწავლეთ
მხოლოდ მწუხარე სიმღერა ზღვისა!

ფენიქსის მებობრის სიმღერა

ძუ-ძუ!

ძუ-ძუ!

ხუთასი წელია —
ჩანჩქერივით ჩამოგვდის ცრემლი,
ხუთასი წელია —
სანთელივით იღვენთებიან ისინი.

ამოუწურავია ცრემლი,
მოუხოცავი ჭუჭყი,
ჩაუქრობია ალი,
ჩამოურეცხავი სირცხვილი.
იღვენთება, დნება სანთელი,
იწვის გულები — ველარ დაიწვა,
ცხოვრება კი — ნისლებში ხეტიალია,
სადღა ვიპოვით ჩვენ მყუდროებას?
ამოუწურავია ცრემლი,
ამოუწურავია ჭუჭყი,
ჩაუქრობია ხანძარი,
ჩამოურეცხავია სირცხვილი.
ამ ცარიელსა და უღიმღამო ცხოვრებაში,
გვეღირსება კი, ძილი და მოსვენება?

ა!

ჩვენი ცარიელი და დუნე ცხოვრება
ჰგავს ზღვაში შეცურებულ ტლუ ნავს...

მარცხნივ არაფერი ჩანს — წყალია,
მარჯვნივ არაფერი ჩანს — წყალია,
წინაც არ ჩანს სადმე შუქურა,
არც უკან მოჩანს სადმე ნაპირი.
იალქანი დაფლეთილია,
შელეწილია ფერდები,
დამტვრეულია ნიჩბები,
დამსხვრეულია საქე,
და მენავე განწირვით ყვირის ტლუ ნავში,
მას არწევს მრისხანე, შმაგი ტალღები!

ა:

ჩვენი ცარიელი და დუნე ცხოვრება
კგავს ბნელი ღამით ძილს,
მომავალში — ძილია,
წარსულშიც — ძილი,
მოდის — სწრაფი ქარი,
მიდის — მსუბუქი ნისლი.
წარსულში — ძილი,
მომავალშიც — ძილი,
ჩვენ მხოლოდ ნისლი და სწრაფი ქარი ვართ,
ამ მოკლე ნისლიან ძილში.
აქვს თუ არა აქ რამეს აზრი?
აქვს თუ არა აქ რამეს აზრი?
ჩვენ გვრჩება მხოლოდ გლოვა და თავდავიწყება.
ისინი გარს ეხვევიან ჩვენს გვამებს,
ისინი სჭვალავენ ჩვენს გვამებს,
ჩვენს — ჯერ კიდევ ცოცხალ გვამებს.

სად არის საგაზაფხულო სიხალისე ჭაბუკობისა?
სად არის აყვავება ჩვენი ჭაბუკობისა?
სად არის სასიხარულო მშვენება ჭაბუკობისა?
სად არის ბრწყინვალე სიყვარული ჭაბუკობისა?

ჭაბუკობა წავიდა,
და ყველანი წავიდნენ,
ყველანი წავლენ,
და ჩვენც წავალთ.
გლოვა.
წუხილი.
ღუმილი.
დავიწყება!

ფენიქსები ერთად მღერიან

ა!
მძვინვარებს ალი ცეცხლისა,
სქელია სურნელი,
ჟამმა დაჰკრა,
დგება სიკვდილის აგონია!
ყველაფერს, რაც ჩვენს უკანაა,
ყველაფერს, რაც ჩვენშია, —
ყველაფერს, ყველაფერს
სიკვდილის აგონია უახლოვდება!

ფრინველთა სიმღერა

მ თ ი ს ა რ წ ი ვ ი

ო, ფენიქსებო! ო, ფენიქსებო!
ტყუილუბრალოდ თავი მოგაქვთ
ფრთოსანთა მბრძანებლად!
თქვენ მოკვდით? თქვენ მოკვდით?
ამიერიდან მე უნდა ვიყო
უშიშარი მფლობელი ცისა!

ფ ა რ შ ე ვ ა ნ გ ი

ო, ფენიქსებო! ო, ფენიქსებო!
ტყუილუბრალოდ თავი მოგაქვთ
ფრთოსანთა მბრძანებლად!
თქვენ მოკვდით? თქვენ მოკვდით?
დაე, ყველა შეჰხაროდეს ახლა
ჩემს კუდს — ფარშევანგისას!

ბ უ

ო, ფენიქსებო! ო, ფენიქსებო!
ტყუილუბრალოდ თავი მოგაქვთ
ფრთოსანთა მბრძანებლად!
თქვენ მოკვდით? თქვენ მოკვდით?
მე ვგრძნობ შმორს გახრწნისას,
მე ვგრძნობ სუნს სიკვდილისას!

შ ი ნ ა უ რ ი მ ტ რ ე ღ ი

ო, ფენიქსებო! ო, ფენიქსებო!
ტყუილუბრალოდ თავი მოგაქვთ.
ფრთოსანთა მბრძანებლად!
თქვენ მოკვდით? თქვენ მოკვდით?
ამიერიდან დარწმუნდება ყველა,
როგორ ვმორჩილებთ ადამიანებს!

თ უ თ ი ყ უ შ ი

ო, ფენიქსებო! ო, ფენიქსებო!
ტყუილუბრალოდ თავი მოგაქვთ
ფრთოსანთა მბრძანებლად!
თქვენ მოკვდით? თქვენ მოკვდით?
ამიერიდან დარწმუნდება ყველა,
რა ცხარე არის კამათი ჩვენი!

თ ე თ რ ი ყ ა ნ ჩ ა

ო, ფენიქსებო! ო, ფენიქსებო!
ტყუილუბრალოდ თავი მოგაქვთ
ფრთოსანთა მბრძანებლად!
თქვენ მოკვდით? თქვენ მოკვდით?
ჩვენ კი — თავისუფლად მივფრინავთ
შორეულ, უცხო მხარეში!

ფენიქსთა ხელახლა დაბადების სიმღერა

მ ა მ ლ ი ს ყ ი ვ ი ლ ი

ცისკარი დგება,
ცისკარი დგება,
გაცოცხლდა მკვდარი ქვეყანა!
გაზაფხული დადგა,
გაზაფხული დადგა,
სამყარო ხელახლა იღვიძებს!

გაუმარჯოს სიცოცხლეს,
გაუმარჯოს სიცოცხლეს,
ფენიქსები კვლავ ცოცხლდებიან!

ფენიქსები

(მღერიან ერთად)

ჩვენ ისევ ვცოცხლობთ,
ჩვენ ისევ ვცოცხლობთ,
ყველაფერი აღსდგა ამქვეყნად,
ყოველივე — თავისი ნაწილაკებით.
ჩვენ ვართ — სამყარო,
ჩვენ ვართ — სამყარო,

ჩემში ხარ — შენ,
შენში ვარ — მე,
შენ — ეს ვარ მე,
და მე — ეს ხარ შენ,
შენ — ცეცხლი ხარ,
ჩვენ ვიფრენთ
და მხიარულად ვიმღერებთ,
ვიფრენთ და მხიარულად ვიმღერებთ!

ჩვენ ხელახლა დავიბადენით,
შენ და მე,
სიცოცხლემ შთაგვბერა სული,
სიახლე და სინათლე,
ჩვენ მშვენიერნი ვართ ამიერიდან,
ყველაფერი აყვავდა ამქვეყნად,
ყოველივე თავისი ნაწილაკებით,
ყვავილთა სურნელება —
ეს — შენ ხარ, ეს — მე ვარ,
ყვავილთა სურნელება
ეს არის — ცეცხლი.
შენ — ხარ ცეცხლი,
მეც — ვარ ცეცხლი!
ცეცხლი — არის ცეცხლი,
ჩვენ ვიფრენთ და
მხიარულად ვიმღერებთ!
ჩვენ ცოცხლები და თავისუფალნი ვართ
ახლა,
ჩვენ გულადნი და სამარადქამონი
ვართ,
ამიერიდან ყველანი სამარადქამონი
არიან
ყოველივე თავისი ნაწილაკებით:
შენცა და მეც,
ისიც და ცეცხლიც...

უკვდავება ვართ — ჩვენ,
უკვდავება ვართ — ჩვენ!
უკვდავება ვარ — მე,
უკვდავებაა — ცეცხლი,
შენ — ცეცხლი ხარ,
მეც — ცეცხლი ვარ,
ისიც — ცეცხლია,
ცეცხლი — ცეცხლია,
ჩვენ ვიფრენთ,
მხიარულად ვიფრენთ,
ვიფრენთ და მხიარულად ვიმღერებთ!

ამქვეყნად ყველაფერი მხიარულად იმღერებს,
სამყარო ყველა თავისი ნაწილაკებით
მხიარულად იმღერებს!
განა, შენ მხიარულად არა მღერი?
განა, მე მხიარულად არა ვმღერი?
განა, ცეცხლიც მხიარულად არა მღერის?

ერთი საგაზაფხულო სიმღერით — იბადება მეორე,
ყოველ ახალ სიმღერაში, —
ახალი სიმღერა ცოცხლობს!

მაშ, მოდი ვიმღეროთ!
მხოლოდ ვიმღეროთ ერთად!
მხოლოდ ვიმღეროთ!
ვიმღეროთ!
ვიმღეროთ!
ვიმღეროთ!..

ჰვეუნიის კიდეზე მღბარი სიბნალს ვიძლივი

მე ვხედავ, — წუნარი ოკეანე ჩემს თვალწინ ელავს,
ბოლქედება ზეცა და ღრუბლებში ღვივდება ალი...
ის მოაგორებს თვის ტალღათა ზვინებს და ღელავს,
ძუდამ დამნგრევი, მშენებელი, აღსავსე ძალით.

პოეზია ძალის!
მხატვრობა ძალის!
მუსიკა ძალის!
რიტმი ძალის!
და ცეკვაც ძალის!

ღამით ფიჭვნარში ბავიარე ათი ლი

გახედე ნათელ სიშორეს ერთი,
ზღვამ ჩაიძინა მშვიდად და ძეუღროდ.
სიჩუმეა და თვლემს სივრცე თეთრი
და ცის უკუნში დუმილი ბუდობს.

ზღვის მყუდროებას არავინ არღვევს,
სძინავს ზღვის სივრცეს იდუმალეებით, —
და დასცქერიან მის მთვლემარ ტალღებს,
მეტყველ ვარსკვლავთა ლურჯი თვალები.

აქ დადუმებულ ტყეებში მალლა
მხრებშემართული ფიჭვები დგანან;
მკლავებგატოტვით ღრმად სძინავთ ახლა
და სიოს ქროლვა ჰგონიათ ნანა.

ჰაერში ხე და ტოტი ყოველი
ირხევა, როგორც ზღვის ლურჯი ზვირთი,
და მეც რატომღაც, მხნე და ცხოველი
ყოველი ნერვი სიმივით მითრთის.

მკრთალი მთვარე

მთვარის მრუმე და მკრთალი ნათელი
ტევრს შეფრქვევია, ვით ნაშხეფები,
ზღვის პირას ჩრდილში მეცემა წვიმის
უკანასკნელი თბილი წვეთები.

აქ ლაპლაპებენ ვერხვის ფოთლები,
ხეივანს ზღვისკენ მიეყვები წყნარი,
ნელნელა მივსდევ ზღვის სანაპიროს
და იღუმალად დამკოცნის ქარი.

უცებ ტანში ვგრძნობ ღამის სიგრილეს,
მთვარევ, შენ გმოსავეს ტანსაბურველი —
უმწიკვლო, სუფთა და მოალერსე,
შუქმოციმციმე ღრუბლის ნათელი.

მე ჯერ თვალებიც არ მომიხუჭავს,
შენ კი ღრუბელთა საბანში წვები,
დავერცხლილ, მღუმარ ზღვაში ეშვები
გამეხმაურე თუნდ ფარულ ხმებით!

კრებულიდან „პარსკვლავებიანი სივრცე“
(1921 — 1922)

წარღვნის ეპოქა

I

მე ვადაღვიკვები მთვარით განათებულ ზღვას,
ვიგონებ წარსულს, შორეულ ეპოქას.
მე მათრობს ჰორიზონტამდე გატყორცნილი
უზარმაზარი სანახაობა შორი ტალღებისა.

ტორტმანობდა მძვინვარე წყლის ოკეანე,
დედამიწის უკიდევანო სივრცეზე მაშინ —
და მხოლოდ მთების უკაცრიელი მწვერვალები
კუნძულებივით მოჩანდნენ ზღვაში.

თევზები დასცურავდნენ მთის ღრანტეებში,
ხეებიც ირწეოდნენ წყალში;
დალუპვას გადარჩენილი ადამიანები
დაეხეტებოდნენ მალალი მთების თხემებზე.

2

მე ვხედავ, ტუშანის მთაზე
ორი ქალი ერთად მილოღავს ნელა,
ერთს მიჰყავს ძუძუთა ბავშვი,
მას სიარულში ეხმარება მეორე.

დიდი ხანია არ დაუვარცხნიათ თმები,
მათი მსუბუქი თეთრი კაბები
უერთდებიან მთვარის შუქს —
და ერთად კანკალებენ გრილ ნიაფში.

და ის, რომელსაც ბავშვი მიჰყავს
მღერის მაღალი და სუფთა ხმით,
მთვარე ყურს უგდებს ამ ნაღვლიან სიმღერას,
მთები კი, ბანს აძლევენ სუსტი გამოძახილით.

3

„მე მგზავრს მოველი — ვერ ველირსე მის ხილვას,
როდისღა დაიხვეს წარღვნა და მოისპობა იგი?
მე დამავიწყდა, როგორია მოხნული მინდორი,
მთელი წელია მგზავრი არ შემხვედრია.

ბავშვი წევს ჩემს მკლავებზე,
მგზავრი მაინც არა ჩანს და გული ღონდება.
დიდი ხანია დამდამობით ველარ ვიძინებ —
სულ ვფიქრობ, სადღა იძინებს მგზავრი?

წყალო, ტორტმანით გაშორდი მშობლიურ მხარეს!
ო, საყვარელო, დაუბრუნდი ცოლსა და შვილს!
თუ მალე არ დაბრუნდები, მაშინ მე,
უმჯობესია, ზღვის ფსკერში ჩავიძირები.

4

ვხედავ, სწორედ ამ დროს სამი გმირი
მოსცურავს ერთი ტლუ ნავით,
მათ თმები დაწნული აქვთ, როგორც ამას წესი
მოითხოვს შეუპოვარ და საშიშ ბრძოლის წინ!

ბო ი* საჭით ბიძგს აძლევს ნავს,
ხოუ ძი** ბოლოში ზის და ნიჩაბს უსვამს,

* ბო ი — გუჯუს სამეფოს მმართველის მოტაიჩუს შვილი, XII საუკუნის
ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ბო ი სიმბოლოა უძლეველობის.

** ხოუ ძი — გოუს დინასტიის ლეგენდარული დამაარსებელი.

სია იუი * შუა ნავში დგას
და ცული უჭირავს რკინის ხელებში.

ის ჭრის ხეებს, აპობს კლდეებს,
მას ერჩის ძალა უდრეველი ფოლადისა,
ის სავსეა ფოლადისებური უძლეველი რწმენით,
იგი წარღვნის წყალს ზღვაში გადააგდებს!

5

და აი, ბო ამბობს: „მე მესმის სიმღერა,
ეს თქვენი ცოლი არ არის, მთაში რომ დარდობს?“
ხოუ ძი ამბობს: „გავცურდეთ შინისაკენ,
დავამშვიდოთ მისი ვარამით სავსე გული!“

სია იუიმ წამით ძირს დაუშვა ცული
და სიცილით წარმოსთქვა: „ფუჭი სიტყვაა,
ჩემი სახლია — მთელი სამყარო,
არ გამაჩნია მე სხვა სახლ-კარი!“

დაე, სულ კორძებად იქცეს ხელები
და მთლიანად კორძად გადმექცეს ფეხები,
მაგრამ, თუ ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ,
ამ ცისქვეშეთის იმპერიის ადამიანები ვიქნებით
განა?

6

ცაზე მოციმციმე მთვარის დისკოს
ზედ აეფარა ყომრალი, მრუმე ღრუბლები
და მოჩვენება მოდგაფუნე შორეული ტალღებისა
საღლაც გაჰქრნენ შემოდგომის ნისლიან ღამეში!

მე ნაპირთან პატარა ნავში ვზივარ —
და ვფიქრობ შორეული წარსულის დიდ გმირზე; —

* ს ი ა ი უ ი — სიას ღინასტიის ლეგენდარული დამაარსებელი.

იგი თავისი ურყევი და მძლე ნებისყოფით
ძალიან ჰგავს ჩვენი დროის მუშებს.

ო, წარსულის დიდო პიონერო,
შენ მარად იქნები დიდება კაცობრიობისა!
ო, მომავლის დიდო პიონერებო,
დღეს — მეორე წარღვნის ეპოქა!

ორი დიდი ვარსკვლავი

კვლავ დახუჭული აქვს ბავშვს თვალები,
ბნელ ღამის ცაზე მოკიადე ორ ვარსკვლავს ხედავს.
კვლავ დახუჭული აქვს ბავშვს თვალები,
ზღვის ნაპირას ზის ახალგაზრდა ჩინელი დედა.

„ნუ დაიძინებ, ბიჭიკო ჩემო,
შეხედე, ლურჯი და ოქროსფერი
ვარსკვლავი ელავს ლაქვარდის ზემოთ!“

კვლავ დახუჭული აქვს ბავშვს თვალები,
ბნელ ღამის ზეცას ნესტიანი ღრუბელი ნამავს.
კვლავ დახუჭული აქვს ბავშვს თვალები,
ზღვის ნაპირას დგას ახალგაზრდა ჩინელი მამა.

„ო, დაანებე ძვირფასო, თავი,
ვიდრე ამ თვალებს გაახელს, იქნებ
ზეცაზე სულაც გაჰქრეს ვარსკვლავი!“

კრებულებები არაქმნილი ლექსებიდან

(1919 — 1923)

მთვარე და ზღვა

მთვარესა ხედავს ბიჭუნა ჩემი,
ზეცისკენ იწევს აწვდილი ხელით,
მწამს, სულით მიჰქრის იქ, სადაც არის
გუანხანი და სასახლე მთვარის.

გაშლილ ზღვას ხედავს ბიჭუნა ჩემი,
იცინის იგი, ვით ზვირთთა ცემა,
ვიცი, რომ მისი სულისთქმა არხევს
ქვიშის, კაჭარის გრიგალურ ტალღებს.

ვწუხვარ ჩემბან წასულზე

დაუნისლია მლაშე ცრემლებს თვალები მზისა,
შეუქმუნხნია ცის კამარას წარბი მწუხარედ,
იქნებ გულსა სტკენს ეს ზამთარი დამდგარი ნისლად,
იქნებ გაზაფხულს ელოდება — მხნეს და მქუხარეს?

აგერ, შეხედე იქ ნავში წვეს ჭაბუკი წიგნით,
ძირს დაუხრია თავი მას და რაღაცას ფიქრობს...
იმ მცირე ნაეში მე ხომ არ ვარ ჭაბუკი იგი,
მე ხომ არ დავცქერ გულმწუხარედ ჰაინეს სტრიქონს?

და მომტირალი ზვირთთა ცემა რაღაცას ჰყვება,
მასთან საუბარს თუ აპირებს ცრემლებით სველი,
თითქოს სურს რაღაც შთააგონოს. ჩაუნთოს შვეება
თავის შემპარავ, ნაღვლიანი ტალღების ენით.

თითქოსდა იგი ჩასჩურჩულებს:

„ნუ სწუხარ ზამთარს,
როცა იქნება გაზაფხული აგუგუნდება,
სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ახალგაზრდობა
წავეიდა

და ის არასოდეს არ დაბრუნდება“!

მზის ჩასვლა

მე ნავში ვწევარ, ჩამფლობია ფურცლებში სახე
და უაილდის ნაწერ სტრიქონს ხარბად ვსვამ თვალით,
მაგრამ არ მაცლის ჩემი ბიჭი, პატარა ა-ხე,
ჩემს გვერდში ცელქობს და მის თვალწინ ციმციმებს წყალი.

— რა ლამაზია, შეხედეო! რეკავს მისი ხმა.
ჩამავალი მზე ცის კიდურზე ცეცხლად გალღვება,
ეთამაშება დაუღვევრად ჩაფიქრებულ ზღვას
და ზღვა უსასღვრო, დაენტება ოქროს ტალღებად.

იასამნისფერ სიბნელეში კუნძული ჰქრება,
მოტივტივდება ცაზე მთვარე. ცივი ასეთი,
ჩემო ბიჭიკო, შენს სიტყვებში სამყარო ჩნდება.
ციურ სინაზით და მიწიერ სილამაზეთი.

იქ თეთრი აფრით,
სადღაც, შორს რომ ეშურებიან,
შეყვარებულებს თავზე ადგათ სხივების ხვავი;
შევარდნებს ჰგვანან.

ის ნიჩბები მათი ფრთებია
და უზრუნველად მოფრინავენ ფრთიანი ნავით.

მათ ფრთებს და ძალას შურით გავცქერ
ლონედაცლილი

და სულში დღლავს ოკეანე წუხილის მძაფრის,
მაქვს მე ნიჩბები დატეხილი,
ფრთები — დაჭრილი,
მე ვარ დალეწილ ნავითა და
დახეულ აფრით.

ცრემლები

მე კვლავ დავბრუნდი,
კვლავ ვდგაეარ უხმოდ,
ძვირფასი სახლის იღება კარი,
ეს ძველი ჭერი კვლავ ჩემს სულს უხმობს,
აქ ყველაფერი ნაცნობი არი.

ბევრჯერ უმღერდნენ ჩემი ლექსები
ამ ღია ფანჯრებს, ცვარ-ნამით ნაბანს,
აკვანი... ფიქრით ვუალერსებდი
ქალღმერთის ნანას, ბავშვობის საბანს.

ზღვის ყურე ჩანდა აქედან დილით,
რამ დამავიწყოს ის ლურჯი წყალი,
მახსოვს მეთევზის ბადე გაშლილი
და მწუხარ ფიჭვთა ჩურჩული წყნარი.

განშორებაში ვიყავით დღემდე,
შენთან მოვსულვარ ასი დღის შემდეგ
და ყრუ კედლებზე ცრემლი მოჟონავს,
აქ ხომ ოდესღაც შავი ჩარჩოთი
ეკიდა მილეს „მწყემსი გოგონა“.

იქ ბეთპოვენის სურათი იყო;
გახსოვს, როს იყავ შენ უზრუნველი,
აქ გააკარი ლექსები ჩემი,
დღეს კი... ო, დღეს კი, ტრიალებს მხოლოდ
იმ დაუვიწყარ დღეთა სურნელი.

იმ დღეთა ხსოვნა გვაშვიდებს მხოლოდ...
ტყის ნადირსაც აქვს თავისი სორო,
შენ თავშესაფარს სად ეძებ, ცოლო?..
და ახლა ცრემლებს არ უჩანს ბოლო.

„პაწა“
(1927 წ.)

მ ი ძ ლ ვ ნ ა

გაზაფხულია, ირთვება ველი,
ცაზე ანათებს მთვარე ნამგალა;
სინძის* ნაპირას ვდგავარ და ველი
ვაზა ამივსოს წყალმა ანკარამ.

ყელამდე სავსე ვაზა მსურს მედგას
ბაღში — ქლიავის გაუშლელ რტოსთან,
ოდეს ნაყოფიც დამწიფდეს ნექტრად
და ფუტკარივით დამჭირდეს მოცდა.

დაე, სთქვან ჩემზე — ოცნება უყვარს,
მზადა მაქვს მათთვის პასუხი მკვახე.
ყვავილი ვის სძულს, თუნდ იყო, გულქვა?
ის ყველას უყვარს — ვინც თვალებს ახელს!

ღიახ, მეც მიყვარს ნაზი გვირილა,
მიყვარს ყვავილი და მგოსნის ლექსიც.
სიმშვენიერე მადგას გვირგვინად
და მხიბლავს გრძნობა უმხურვალესი!

ჰე, ყვავილებო, ძვირფასნო მეტად —
თქვენ განმიახლეთ ხანშესულს ყრმობა!
არ გავრიყულვარ, არა ვარ კენტად —
დამბრუნებია ალერსის გრძნობა!

დეე, ეს ვაზა — წმინდა წყლით სავსე
იყოს მომტანი ნათელი ბედის;
დე, გაიშაღეთ ყვავილნო, ასე
ნაზი სურნელით ამივსეთ მკერდი!..

* ს ი ნ ძ ი — ტბის სახელია.

კრებულიდან „ავანგარდის ნიშანი“

(1922 — 1928)

ვემუშვიდობები იაკონიას

1

კმარა კატორღა, ახლა მსურს წმინდა
ვარდით ფენილი გზა სანაქებო;
ჩემს სამშობლოში გავფრინდე მინდა,
იაპონელო ამხანაგებო!
და აი, ყველას როცა გშორდებით,
მანც ვნადვლობ და თქვენ მაგონდებით.

2

თქვენი ჩვევები მშვენიერია,
გულმართლებია თქვენი ქალები,
თქვენი თვალებიც ცისკრის ფერია
და გარეგნულად ჩრდილს ემალებით.
მაგრამ, ვინც არის თქვენში მშრომელი,
მას ბედი ჩაგრავს დაუდგრომელი.

3

თანამედროვე ციხეს ჰკიდია
შავი რკინისგან ნაჭედი კარი.
იქ გმინვაა და თან სიმუშვიდეა,

სადაც უფროსთა სადგომი არი
ზედამხედველებს შვება რგებიათ —
ბინა სპილოს ძელით ანაგებია.

4

უხეშ ქვითაა ციხე ნაგები —
შავი კედლები და შავი კალთა;
ყარაულები, ვით ქოფაკები,
ჩასაფრებულან მის რკინის კართან.
სხეულში ჩაშრა ძალის მარაგი,
უფლებაც არ გაქვთ თქვენ ლაპარაკის.

5

ჩემი სამშობლოც თუმც ციხესა ჰგავს,
თუმცა ჩინეთიც გადაინისლა, —
სამას მილიონს ჩვენ ვხმარობთ ნამგალს
და ხუთ მილიონს ჩაქუჩს რკინისას.
არ გვეშინია, უკან არ ვიხევთ,
ჩვენ აღვდგებით და დაეანგრევთ ციხეს.

6

დღეს სამუდამოდ გემშვიდობებით,
კმარა; ათი წლის კატორღა ჩემი;
მინდა მშობელი ვნახო კორდები, —
ქალა, დაბლობი, ბარი თუ თხემი.
თქვენი ოფლით და სისხლით გაზრდილი,
მე თქვენთან მრჩება ძმობა ნამდვილი!

შანხაის დილა

აპრილის დილა თვალს რომ ახელს შანხაის თავზე,
გაზოლინებით შეურყენელი, მოუწამლავი,
მიყვები ქუჩებს ფეხშიშველი, სინათლით საესე,
ამაყი მუდამ ჩემი გულით, ჩემი მხარ-მკლავით.

მხიბლავს შანხაის მუშები და მუშა ქალები,
ამ დროს საქმეზე რომ მიდიან მხნედ, აჩქარებით.

თქვენი გზა ჩემთვის, მეგობრებო, ნათელი არი...
მდიდრები ქუჩის შუაგულში მიდიან ღხენით,
ქუჩის ნაპირას ღარიბები,
ძლივს ფეხზე მდგარნი,
მიაბოტებენ დაკოყრილი ხელების რხევით.

ო, მეგობრებო, გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი,
ჩვენი ძალა და ერთობაა ჩვენივე მხსნელი.

ჩვენ მინდვრად გასვლაც გვეხერხება, მთის
გადალახვაც,
მთასა და ბარში ჩვენს გზა-სავალს არ უჩანს ბოლო.
მდიდრებისათვის
(აღვილია ამის დანახვა)
ასფალტიანი შარავზაა ვარგისი მხოლოდ.

ჩვენს გზაზე, ძმებო, არც ფარჩაა, არც ასფალტია,
იქ სისხლი არი,

იქ ოფლია ჩვენი დაღვრილი.

ჩვენს ცხოვრებაზე ავტოების ქროლვით დადიან
და ვართ გართხმული სიმძიმის ქვეშ, ტვირთით
დაღლილი.

მაგრამ ქუჩების შუაგულში ძინანის ძალა,
მწამს, ამოაფრქვევს ვულკანის ლავას!

მეგობრები იტანჯებიან კედლებს შორის

ო, მეგობრებო, თქვენთან ერთად ჩვენც გეტანჯავს მღვიმე,
ჩვენი ბინები შანხაიში, სულს რომ გვიმწარებს —
ჩვენ მოგვაგონებს საპატიმროს პირქუშს და მძიმეს,
დიდი ხანია არ გვინახავს ხეთა სიმწვანე.

დიდი ხანია არ გვსმენია ჩიტთა ჟღერტული,
ვართ დამწყვდეული საპატიმროს კედლებში ასე.
აქ ქარის სუნთქვა ვერ მოაღწევს. გზადაბურღული,
კედელთა შორის ვიტანჯებით და ბოლმა გვაესებს.

სასოწარკვეთამ ჩვენი გული მოსპო, დასრისა,
ჩვენი ცხოვრება ტყვეობას ჰგავს, არ გვშველის არვინ.
ჩვენ ტყვე ვართ, ტყვე ვართ დაუღვეველ წვის და ტანჯვისა.
ამ უთვალავი ცდომილების ბურუსში მდგარნი.

ოქროს მპყრობელი ყელში უჭერს თავისუფლებას,
გვალრჩობს და გვგუდავს, თვითონ მიაქვს მას ყველაფერი.
ხმის ამოღების ჩვენ არა გვაქვს ჯერაც უფლება.
მაგრამ ჩვენ ვიტყვიტ ჩვენს სიტყვას და შფოთავდეს მტერი.

ჩვენ ხალხთან ერთად ჩვენ ვიქნებით მუდამ, მარადის,
ვიქნებით ხალხის მებრძოლეთან ყოველთვის; ძმებო.
ჩვენი მქუხარე ხმა ისმოდეს მთიდან ბარამდის,
ნუ სწუხხართ, მალე გათენდება ღლე საოცნებო!

წამების მტევანი

მარჯვნივ ბალია, მარცხნივ ჭუჭყი, პოეტო უნდა
გაარჩიო და არ დაგარქვან სიცრუით სავსე, —
რომ მარჯვენა თვალს ბალის მხეოთ ატკობდნე მუდამ,
რომ იფარებდნე მარცხენა ხელს მარცხენა თვალზე.

ვარდის ქვეშ, ნეხეში, მდიდარია ჭიებით ველი,
პოეტს რამ უნდა დაგიამოს გულისთქმა ა'ით, —
მარცხენა ნესტო რომ დაიხშო მარცხენა ხელით,
მარჯვენა ნესტოს სურნელება ასუნთქო წამით.

უშრეტი არი ამ ბუნების ძალა და სითბო,
მე მათ შევეყურებ და სიცრუე, ვით მათქმევეინოთ.
მე მესმის, მესმის, ეს ნაღველის მტევანიც თვითონ
დადუღდება და ბოლოს მაინც იქცევა ღვინოდ.

შვება-ლხენაა მდიდართა ბაღში

შვება-ლხენაა მდიდართა ბაღში,
ჭრელი ჩიტების გალობა ისმის.
მაგრამ რომ მომცა პირბასრი დანა,
გადაეუჭრიდი მე იმათ ყელებს.

შვება-ლხენაა მდიდართა ბაღში,
უცხო შვენება ხეთა, ყვავილთა.
მაგრამ რომ მომცა პირბასრი დანა,
გადაეუჭრიდი მე იმათ ფესვებს.

ურცხვო ბუნებავ, როგორც ფარეში,
ემსახურები, შეჭხარი მდიდრებს!
მიყვარდა შენი მე სილამაზე,
ახლა კი, იგი შემზიზღებია.

სიტყვათა ხორციან გამოჰვაბულში

— ამწყობის შრომად არა ღირსო, წიგნად არ ვარგა, —
ასე მირიგებს მეგობარი ამ სიტყვებს მწარედ.
აი, ამ ფრაზას დაუკვირდით, მწერლებო, კარგად
და საამწყობო საამქროში თქვენც შედით ბარემ.

შედით, სიტყვათა ამ ხორციან ქვაბულში, სადაც
შავი ჩრდილები მიმოდინან-გამხმარი ძვლებით
და ერთი წუთით თუ გადასწევთ ტყვიისფერ ფარდას,
იმ ფარდის იქით გაკრთებიან მშვიერი ძმები.

იქნებ, არ იყოს პოეზია ეს ყველაფერი,
არც სილამაზე საკადრისი ფრთიანი ლექსის,
მაგრამ რაც არის — ეს ტყვიისფერ ბოლით ნაფერი
სიკვდილი არის გამტანჯველი და უმალღესიც.

კვლავ მეგობარი მეუბნება, — გრძნობის ალითო,
უნდა ბრწყინავდეს შენი ლექსი, შენი შაირი;
მონახო ფორმა ახალი და სამაგალითო,
პაიძიუის უბრწყინვალეს ფორმის ნაირი!..

როდესაც მინის დინასტიის დროს მსგავსი ლექსი
გაღუქროლებდა ჩინეთის ცას ბნელს და საშინელს,
უფრთო სიტყვები პოეტისა, უმარტივესი,
ძირს ეცემოდნენ და კვდებოდნენ თითქოს მაშინვე —

და მაინც პოეტს თან დასდევდა სხივი მარადა,
ასოთამწყობთა გვამები კი, მიწას ზარავდა.

საწყალო ძმებო, თქვენ ცას ჩრდილი შემოესია,
დამშრალ სტრიქონში ვერ იპოვეთ სიცოცხლის სარკე,

ო, მომიტევეთ, მომიტევეთ მკრთალი ლექსია,
რომ თქვენ ხელსა გკრავთ გარდუვალი სიკვდილისაკენ.

ჩემი ცრემლები ჩირად არ ღირს, ჩემი ფიქრები
პატიებას გთხოვთ, დანაშაულს ჯერაც ვერ ვკვეთავთ;
მაგრამ იწამეთ, ხვალ მეც თქვენთან ერთად ვიქნები,
რომ ერთად ვიყოთ სიცოცხლეშიც და მოკვდეთ ერთად!

ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს
წითელ სხივთა შორის

როცა ქრებიან ვარსკვლავები თვალმოხამხამე
და უსანდომო ღამის ქვრეტა არ ძალუძთ თვალებს, —
გაქიანურდეს დე, ისედაც ეს გრძელი ღამე.
ჩვენ ვიცით, ვიცით, განთიადის დროც მოვა მალე!

ჩვენ ვიცით, ვიცით ამ საშინელ უკუნშიც იარს
მზე თავისი გზით მიმავალი, სხივდაისრული
და იგი ლესავეს ოქროს ისრებს, მკრელსა და ფხიანს.
რათა განგვიროს შავ უკუნის ბოროტი სული.

მზე ხომ ერთია ქვეყანაზე და მარტო დადის,
თუმც სიმარტოვე რაა მისთვის, მითხარით ერთი...
მასში თავს იყრის ზეციური სიბზო და მადლი,
დედამიწაზე რასაც მოაქვს სიცოცხლე ჩვენთვის.

ურჩხულის ეტლი მირახრახებს, მიჰყვება წყვდიადს
და განთიადი გარს ექლობა ცაჲ ცისარტყელად;
მზეო, ჩვენს ძლიერ წინამძღოლს და მოციქულს დიადს,
შენ წითელ შუქში გეგებებით და გხვდებით ყველა!

მ ა რ უ ბ ი

1

წინ, ხალხის შეილებო, წინ!..

ვიტანჯებოდეთ, ცრემლს ვღვრიდეთ მუდამ,
მტერმა კი, ტანჯვა არ იცის მხოლოდ,
მტერმა, რომელსაც ყოველთვის უნდა
მწუხარე გვექონდეს სიცოცხლის ბოლო.

წინ, ხალხის შეილებო, წინ!..

ბანდიტთა ურდო გავაქროთ გზნებით
და გამოვიხსნათ ერთგული ძმები.

2

წინ, ხალხის შეილებო, წინ!..

დაეცხოთ დაფდაფებს ცეცხლით და ბუქით,
ბრძოლის სიმძაფრე ვიგრძნოთ უჩვევი.
ავაბრდღვიალოთ ჩირაღდანთ შუქი,
ცისკენ შეემართოთ მძლე ჩაქუჩები.
მალლა შეემართოთ ყირმიზი დროშა,
ჩამოვაცილოთ სამშობლოს თალხი.
წინ!... გავიმარჯვებთ ამ მძიმე დროსაც,
გვეწამს მხარს დაგვიჭერს ჩინელი ხალხი!

3

წინ, ხალხის შეილებო, წინ!..

წითელი სისხლი ჩუხჩუხებს ჩვენში,

მწვავე ცრემლები სისხლივით დაგვდის:
დე, ჩვენს საბრძოლო ლაშქრობას, გესმით?..
ნუ მიმოფენენ ია და ვარდით.

წინ, ხალხის შვილებო, წინ!..
ჩაქუჩი უფრო ძალუჰად დავეკრათ,
გვეყო ამდენი ტანჯვა და ჩაგვრა!

4

წინ, ხალხის შვილებო, წინ!..

მუშავ და გლეხო, იქუხე რისხვით,
დაწრთობილია საბრძოლო გრდეძლი.
ყველამ ჩვენ ჩვენი წითელი სისხლით
შევღებოთ ტანჯვა, შევღებოთ ცრემლი!
წინ, ხალხის შვილებო, წინ!..
დარდი, ბოღმა და ნისლი გადნება
და ჩვენ ვიბილავთ მზის დაბადებას!..

კრებულიდან „სიცოცხლის
დაბრუნება“
(1928 წ.)

ფ ი ჯ რ ი

ოდეს ვისხედით ციხესა შიგან,
ძმობილო ჩემო უსაყვარლესო,
გითხარ, რომ მინდა ყვავილთა ჩემთა
ფურცლები ქარში დავფანტო გზაზე!
შენ მიპასუხე, რომ მე მოვხუცდი,
ვერ ვიმორჩილებ სტრიქონს სალექსოს,
რომ პოეზიის ამოშრა წყარო
და ნაკადული მას აღარ ავსებს.

მაგრამ, ძვირფასო ძმობილო ჩემო,
შენი ნათქვამი არ მჯერა, არა,
ისევ ხმიანობს, ისევ შრიალებს
ჩემთა ყვავილთა ფურცლების ჯარი,
ჩემი ახალი სიმღერა ისევ
მალლა მიილტვის, ფრინველის დარად,
მას გაზაფხულის მტრედისფერ ცაში
ეალერსება ლაქვარდის ქარი.

განა იმდენი თეთრი მაქვს თმაში,
შენ რომ გგონია, დაუვიწყარო?
და თუ ქალარა მომჭარბებია,
მოხუცი ჯერაც მე აღარა ვარ;
მე მაიმედებს დაუშრობელი,

დაუმრეტელი სიცოცხლის წყარო,
რომელიც მძლავრი ნიაღვარივით
გულში ჩანჩქერობს დაულალავად.

იქნებ სიმღერა ვერ უღერდეს ისე,
გაზაფხულია განა ყოველთვის?;
იქნებ, ვითარცა მძლავრმა გრიგალმა,
მან შემოდგომის განაფრთხოს ძილი,
იქნებ, მშობლიურ ჩინეთის მიწას
ჩამოუტახოს ლექსმა პოეტის
ცხელი ქვეყნების მცხუნვარე ხვატი
ანდა, ციმბირის ქარბუქი ცივი.

ძმობილო, ალბათ უკვე გავედი
ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე,
მაგრამ — საკუთარ გრძნობის ერთგული
არ დავდუმდეგი, არა და არა!
მართალი სიტყვით ვილაპარაკებ
ჩემი ტანჯული ხალხის ვარამზე,
ჩემი სამშობლოს მუშათა სახელს
მართალი სიტყვით ვადიდებ მარად.

შენ, მეგობარო, ვერ მიცნობ კარგად,
მეც — საკუთარ თავს ვერ ვცნობდი
ზოგჯერ,

ზოგჯერ მზიანი დღე მოვიდოდა,
მე კი, მიპყრობდა იქვი ბოროტი.
მაგრამ ღამეულ წყევდიადის ტევრში,
მე ლაზარეთში ვიწექი ოდეს,
უძილობის ეამს მოსულმა ფიქრმა
გამიხსნა სულის კარი ბოლომდის.

დალუკულ მეგობარს

იყავ ძვირფასო
ბრინჯაოსგან გამოკვეთილი,
თითქოს აქ იყო,
კვლავ შენი ხმა მესმის კეთილი!
აწ, ვერასოდეს
ვერ მოვისმენ შენს ტკბილ საუბარს,
რადგან მტრის ლახვრით
შენს ნათელ გულს ცეცხლი ჩაუქრა!

კვლავ არ მეღირსა
მეგობარო შენთან გართობა,
მიჰაჩნდი ღვიძლ ძმად,
ძნელი არის შენი დათმობა!
იყავ ალალი, თავმდაბალი,
გულჩათხრობილი,
და იყო შენი გულისცემა
ჩემთვის ცნობილი!

ჩვენ ლინიანი*
გვზრდიდა ხალხის ერთგულ შვილებად, —
რევოლუციის
შეგარდნებად, ფრთაგაშლილებად!
ჩვენ გამარჯვება
გულით გვწამდა და წინ ვიდოდით,

* ლ ი ნ ი ა ნ ი — ერთ-ერთი პროვინცია ჩინეთში.

დიდი არმიის მეომრები
მტრებს არ ვინდობდით!

ფრონტს მივყვებოდით;
მახსოვს, როცა ზურგში დაგტოვეს!
თითქოს მეგობარს
მოგწყვიტეს და გაგამარტოვეს!
გზების გაყრისას —
შენ სამკერდე მომეც ნიშანი —
ბრძოლის ქარ-ცეცხლში
მეგობრობის აღსანიშნავი!..

ექვსმა თვემ განვლო,
წინ მიექროდით გრიგალქარულად,
მტარვალთა სისხლი
იღვრებოდა ნიაღვარულად.
გულლიად შეგვხვდა
მამაც მხედრებს დიდი პამირი.
გვაიმედებდა
სივრცეები, შორი ნაპირი.

ველიც ნოხივით
გვეგებოდა ფიანდაზადა,
უდაბნო სდუმდა
და სამუმი რისხვას არ სძრავდა.
წინ მიიწევდა
ზენი დროშა მეწამულ ფერის,
და ისევ რისხვას
გვიმზადებდა ვერაგი მტერი.

მას განზრახული
ჰქონდა გზები გადაეღობა,
გულით სჯეროდა;
„ქაყუნად ბნელი არ დაემხოება!“..
მტერთან ბრძოლებში

გაიგმირე, ჰქუხდა ჩუნშენი*,
უდროოდ გაჰქრა
ეგ სიცოცხლე ულორტგაუშლელი!..

დღე ნისლიანი
იცვლებოდა გრიგალ-ქარებით,
მეგობრის გული
გაცილებდა გლოვის ზარებით!
დღეს, შენი ხსოვნა
წრთობილია პირბასრ მახვილად,
და ბრძოლის დროშაც
წინ მიიწევეს, ძირს არ დახრილა!

ვიცი, ძვირფასო,
თავს გადგია გლოვის ღრუბლები,
აწ, მეგობარო,
ვერასდროს ვერ გესაუბრები!
იყავ ვაჟკაცი —
ბრინჯაოსგან გამოკვეთილი,
კვლავ შენ გიგონებ,
ვერ გივიწყებს გული კეთილი!..

* ჩუნშენი — მდინარის სახელია.

ვიზონებ ჩენ შეს და უ გუანს

1

ჩენ შეს* და იმის თანამებრძოლს უ გუანს* ქება, —
მას შემდეგ განვლო ბევრმა წელმა მსუბუქ შეხებით,
როცა ისინი გახდნენ გლეხთა მეთაურებად,
ეწოდებოდათ თავადები, იყვნენ გლეხები.

იმპერატორი ხალხსა სძაგდა ცინ ში-ხუანი,
მოსპონ ტირანი, — მხნედ შეჰფიცეს რკინის კაცებმა,
მაგრამ ჰუნებმა—ბილწმა მტრებმა, უთხრეს უარი
და ჩრდილო ჩინეთს დაუპირეს მთლად მიტაცება.

იმპერატორმა ცად შემართა კედელი დიდი,
ამ მკაცრ ბეგარას გაურბოდა ჩვენი გლეხოზა.
დასკრეს ხეები და დუმილი დაირღვა მშვიდი
და კოცონების ალი ღამეს გადაეღობა.

როგორც დამფრთხალი ფარფატებენ ტბაზე ყანჩები,
აბორგდა ტინის დინასტია სისხლით ნაფერი.
მაშინ გლეხოზამ დაიმკვიდრა დღე გამარჯვების
და დინასტიამ ვერ დაიპყრო ველარაფერი.

2

არის ოთხასი მილიონი ჩინეთი ახლა,
მათგან სამასი მილიონი მიწას შეეჭა.

* ჩენ შე და უ გუანსი — ჩინეთის გლეხთა აჯანყების მეთაურები.

დღეს, როგორც ცხოვრობს ეს გლეხობა, თვალცხადად
ნახავთ,

სადაც ჩინეთის გაქიმულა — მხარე ვეება.

ჯერ ჩრდილოეთზე მსურს ვიამბოთ. ბედნიერება
იქ გლენს არა აქვს — ბედისაა უარმყოფელი,
მემამულეთა ტანჯვისაგან სული ელევათ
და ქალაქისკენ მიისწრაფვის ყველა სოფლელი.

მათი ბინა ხომ ჯურღმულია — ბნელი ხვეული,
მათი სამოსი ძონძებია, თვით მაქვს ხანახი.
მილიონობით გლეხობაა დღეს დამშეული
და კვირაობით იკვებება გამხმარ ბალახით.

ო, სამხრეთით კი? ცხოვრებაა სამხრეთშიც მწარე,
გული ერთიან ითუთქება ამ მხარის ნახვით.
მე დავიარე ჩანძიანის მარცხენა მხარე,
არ აუგია იქ არცერთ კაცს ახალი სახლი.

ასეთ წუხილში ეს დღეები მისთვის გარბიან.
რომ უამრავი ში-ხუანი აბჯარს ისხამდეს
და უცხოელი მძარცველები უფრო ხარბია,
თვით იმ ჰუნებზე, ოღესდაც რომ ჩინეთს რისხავდნენ.

პოლიტიკაა მათი მხოლოდ — ტყვია ულევო,
ხალხს სისხლსა სწოვენ უსამართლო დასჯით, ბრძანებით.
თანაშემწენი მათი არის მემამულენი,
ისინი გახლავთ უამრავი ში-ხუანები.

სამას მილიონ გლეხის მხარმკლავს, მტკიცე მარჯვენას,
წინ ვინ აღუდგეს, ფრთა გაშალეს დიდმა ბრძოლებმა;
მე მჯერა, მალე მოვიპოვებთ ჩვენ გამარჯვებას,
ჩენ შე ძლიერი და გუანი ჩვენ გვეყოლება.

გლეხობამ იცის ხუთ მილიონ მუშების ფასი,
მათ მუშა მისცემს ტყვიას, ქვემეხს—აღსავსეს ცეცხლით.
— გლეხთა ლაშქრობა, წინამძღოლი მუშათა კლასი,
აი, ის ძალა ძველ სამყაროს რომელიც შეცვლის!

ხუანხესა და იანძიძიანის საუბარი

- ჩვენ ვსაუბრობდით, ძმაო, ოდესღაც,
მაგრამ მას შემდეგ დიდი ხანია.
ახლა, ძმობილო, ერთი მითხარი,
როგორა. ცხოვრობ მხარესა ჩრდილოს?
— კვლავ უხალისოდ მივედინები,
მივდივარ, განა მიმიხარია?!
მივედინები და, რომ არ შევხვდე
პრისხანე ვეფხვებს გზადაგზა —
ვცდილობ!
- აჰ კი, სამხრეთში, სხვა სურათია,
იგი აღარ ჰგავს წარსულს, აღარა,
განადგურებულ დინასტიებს და
მამაც მებრძოლებს ვერ დათვლის
თვალი.
- ჩემს ნაპირებთან ძმათა ჩინელთა
იმდენი წმინდა სისხლი დაღვარეს,
რომ სისხლისაგან უმალ გაწითლდა
ჩემი ოდესღაც ყვითელი წყალი.
- მაშინ მეც ვიტყვი, ჩემი ტალღები
არა ნაკლებად სისხლმა შეღება,
და ჩრდილოეთთან ამ მხრივ სამხრეთი
ბევრით ვერაფრით დაიტრაბახებს,
თუმც უნდა ითქვას, დღეს ჯალათები
ჩვენშიაც ძველის-ძველი ხერხებით

ხალხს აწამებენ, სიკვდილით სჯიან,
ჯალათებს ხალხის სისხლი აღწლებს.

—სწორია, მაგრამ ჩემს ნაპირებთან
ამყამად ხალხი ბატონობს უცხო,
სამხედრო გემი, სავაჭრო გემი —
მიმოდის ჩვენთვის საძულველ ფლოტის,
მას წინ ამბოხის; უკანონობის
და ძარცვა-გლეჯის ალამი უძღვის,
იგი ნელ-ნელა მოიპარება,
უშანისაკენ* ყვითელ ზღვით მოდის.

— საუკუნობით მოვედინები,
საუკუნობით ზღვისკენ ვისწრაფვი,
ნეტავ, ტბად მაინც ვქცეულიყავი,
ზღვა ამომეცსო ქვითა და ლოდით;
გზა სამუდამოდ გადამეკეტა
გათავხედებულ უცხოელთათვის,
მათი სამხედრო, მათი სავაჭრო
გემებისათვის საძულველ ფლოტის.

— უფროსო ძმაო, ეს როდი კმარა,
გზას გაუგრძელებ მარტოდენ ამით,
და ახალ მიწებს წარმოშობ, რათა
დაიმორჩილოს მომხდურმა ისიც.
ჩვენი სამხრეთი უმდიდრესია,
სწორედ ამიტომ დღითა და ღამით
სამხრეთ ჩინეთში იღვრება სისხლი,
პატიოსანი მშრომელის სისხლი.

— მაგრამ, რად გახდა ასე მორჩილი
და ასე სუსტი ჩინელი ხალხი,
ნუთუ, მან უკვე გადაივიწყა
მამა-პაპათა გმირული ფიცი?

* უ შ ა ნ ი — სამაზრო ცენტრია ჩინეთში.

მან გასაღვენად უცხოელების
კვლავ ხელი უნდა მოჰკიდოს მახვილს.
და მკაცრ ბრძოლებში უნდა დაიცვას
თავისუფლება მშობელი მიწის!

— არა, ძმობილო, ვერ დაგიჯერებ,
ეს ძველისძველი აზრები არის,
იგი ჩვენ აღარ გამოგვადგება,
გადავისროლოთ შორს, ცხრა მთას იქით:
დაჩაგრულია, ცალ-ცალკე ცხოვრობს
ლატაკი ხალხი მშობელი მხარის,
და ვიდრე ასე ცალ-ცალკე ცხოვრობს,
ვერ გაიმარჯვებს ბრძოლაში იგი!

— მაშინ მითხარი, რაღა ვიღონოთ,
რა ეშველება მშობლიურ ჩინეთს,
რომ მოიპოვოს თავისუფლება
და დაივიწყოს მწარე წუხილი?
ნუთუ, ვერ შეძლებს ჩინელი ხალხი,
რომ მოიშოროს ბორკილი მძიმე,
ნუთუ, მას მუდამ პირუტყვის დარად —
უნდა სტანჯავდეს მძიმე უღელი?

— ჩინეთი უნდა დაუმეგობრდეს
ყველა ჩაგრული ქვეყნის მშრომელებს,
მან უნდა დასდოს მტკიცე კავშირი
მთელი პლანეტის მუშათა კლასთან.
აი, ეს არის ნამდვილი ძმობა,
ეს არის მძლავრი ძმობა, რომელმაც
მილიტარისტთა ავ შეთქმულებას
საქვეყნოდ უნდა ახადოს ფარდა!

ახალ ჩინეთში გაწამებული
გლეხი — სამასი მილიონია,

მუშა კი — ხუთი მილიონია;
ყველა მზადაა — სისხლი დაღვაროს.
აი, მრისხანე ძალა, რომელიც
ჯერ არ ჰქონია არცერთ გოლიათს,
რომელმაც უნდა დაანგრეოს და
გადააკეთოს ძველი სამყარო!

— ძმაო, შენ დიდად დამაიმედე,
გულზე მომეშვა, ვძლიე ნაღველი.
მე შემიძლია, მხარესა ჩრდილოს
მხნედ ვიყო, რაკი შენი ხმა მესმის.
— ძმაო, წინდაწინ გულს ნუ გაიტეხ,
კვლავ ბევრი წვა და წამება გველის,
მაგრამ ამ წვაში და წამებაში
გამარჯვებათა ღვივლება თესლი!

კრებულიდან „ომის ხმა“
(1936 — 1937)

გორკის ხსოვნას

1

ჩამოიფარა შავი ფარდა
მზემ სხივმფინარემ,
სიკვდილის შიშით,
თითქოს მანაც ფერი იცვალა;
ცამ მოკუპრულმა
გადმოდვარა ცრემლის მდინარე,
წვიმით გვაუწყა:
— დიდი გორკი გარდაიცვალა!..

მწველ ივლისის დღით —
სწუხს მოსკოვი გორკის სიკვდილით...
არ ივიწყებენ
საშინელ დღეს ხალხთა გულები.
რევოლუციის მომღერალი
წევს ფერმიხდილი —
ლიტერატურის მამას ჰგლოვენ
გულჩაგრულები.

დღეს, თვით მნათობსაც
სიხარულის უფლება არ აქვს,
და ამიტომაც გადმოგვეყურებს
ჩადრმოხვეული;

მთელი მსოფლიო ტრაურშია,
სევდას ვერ ჰფარავს;
გაცივებულა, არ მოძრაობს
გორკის სხეული...

მაგრამ, სულ მალე
გაიცრიცა წყვდიადის ფარდა
და მზემ უეცრად
გაიღიმა მანათობელმა,
თვალწინ დაგვიდგა
ცის ციალში პოეტი ნათლად
და გორკის სახე
კვლავ იხილა არსმა ყოველმა.

დე, მქუხარებდეს
ჩემი სიტყვა, ვით ურო გრდემლზე,
დეე, კალამიც
იყოს ბასრი, როგორც ნამგალი,
და თუნდ სიცოცხლეს
ვანაცვალოთ, უთუოდ შევსძლებთ,
რომ შევინახოთ
დიდო გორკის ნაამაგარი..

ო მ ი ს ხ მ ა

როს ჰქუხს ომის ხმა გმირული
აღსავსე ხარ შვებით ძმაო,
როს ნელდება — გიძგერს გული,
თითქოს სულიც დაიწვაო.

ხარ ძლიერი, ხანაც სუსტად
ისმის ეს ხმა — ნიშნად ბედის;
აუხდებათ ყმებს, რაც სურდათ —
თვით გავხდებით შემოქმედნი!

ადექ ძმაო, შეისმინე,
რომ სიცოცხლევ არ ღირს ჩალოდ —
* თუ დალატობ გმირულ მიზნებს,
თუ დაბლა ჰხრი ბრძოლის ალამს!

მშვიდობისთვის ბრძოლა, წინსვლა,
მიზანია ჩვენი მხარის,
მაგრამ დედა მშვიდობისა
არის ხალხის ნება მძლავრი!..

კრებულიდან „ციკალები“
(1931 — 1949)

ბოროტების პირამიდა

თქვენ იცით? იცით? გაირინდა ჩინეთის გული...
მხოლოდ რისხვაა და არ არის ნაღველი, არა,
მხოლოდ ალია და არ არის წყალი ანკარა,
ყველა მდინარე გადაიქცა მძლავრ ნიაღვარად,
დგება ჩინეთი და გაიხსნა ძველი იარა.
ამ ალს, ამ რისხვას, განა ძალა არ აქვს იმდენი,
ბოროტი საქმე რომ გადაწვას პირამიდების?!

ნისლის დრო გაჰქრა, გაიტაცეს ცეცხლის ისრებმა,
მზე მიაწება მთიან ქალაქს ზამთარის სუსხმა.
გავარვარებულ ქვებსაც, ალბათ, დღეს ესიზმრებათ,
თავბრუდამსხმელი, რეტდამსხმელი სიზმრები სულ სხვა.
და იხსენებენ ზღვის სიგრილეს, ზღვისას, რომელიც
ათას წლის წინათ აქ სუფევდა დაუდგრომელი.

მაგრამ საიდან ამოცურდა ეს ნისლი მკაცრი,
ასეთი სქელი, რომ სუნთქვა სჭირს, რომ სული იწვის,
ათას მღვიმედან ის ამოდის... ათასი კაცი —
შავ ხელებს, თვალებს აფარებს და სუნთქვა რევს მიწის.
რად არის, რადა ეს სიძნელე ხელშეუხებია,
ამ მცხუნვარე დღეს რად დაბნელდა ლაყვარდის კალთა?..
დგას პირამიდა გულბოროტი საქმით ნაქები,
მოჩანს სავსებით გარკვევით და სრულიად ნათლად.

დიდება საბჭოთა წითელ არმიას

წიგნთა ახალი ისტორიის, ბედის ახალის —
იწყო წელთათვლა ამ მეოთხედ ასწლედის წინათ;
შენ ბრძოლის ნამდვილ ცეცხლში ხარ და გწვავს მისი ალი,
მაგრამ, ვით ჭფინქსი, საუკუნოდ ცოცხლობ და ბრწყინავ!

და უთვალჯერ განაცვიფრა კაცობრიობა
მაგ შენი სულის მხნე, მგზნებარე თავგამეტებამ
ერთის, ან ორის, კი არ არის ხვედრი გვირობა, —
ეს არის მასის, მშრომელების საერთო ნება.

ლენინგრადი და სტალინგრადი... იცავდი შენს ცას,
როგორც ტიტანი შენ იბრძოდი მოსკოვის ახლოს.
წყნარ დონზე ასი ათასობით ნაცისტმა მხეცმა
გზა დაასრულა უსახელო და უსინათლო.

თვითმფრინავები, დამსხვრეული ტანკების მთები,
და გალაფული ტყვეების ბრბო ამშვენებს ალაფს:
ჰა, რიგოსნები, ფელდმარშალი და გენერლები;
მაგრამ უტყვია და ბრმა არის ახლა ეს ძალა.

სახეცვლილება ჯერ ასეთი არ გვინახია:
თავს ვერ იმაგრებს ტყვე, ის შიშის ციებას აყავს, —
ესესეველი, გენერალი — მხეცი, ხალხია?
მხედრებს კი არა, ჩამოგავენ ჭაობის ბაყაყს.

ირონიაა, ო, რამდენი! სად შეედრება
„მპყრობელი“, ჩაპლინს კინოში რომ მოუყვანია.
და „რჩეულ რასას“ ზარბაზნების აგრაგანებამ
„უმადლესობა“ დაავიწყა დიდი ხანია.

და გერმანიის ცაზე ახლა მზე აღარ ელავს,
სამგლოვიარო ხმებს ტრაური დაჰყვება შავი.
დიქტატორობის ათწლეულში ახლა პირველად
.ეფრეიტორმა შერყეულმა დახარა თავი.

საბჭოთა ხალხო, გამარჯვება ჩვენია მტკიცე,
მსოფლიოს ხალხნო, გავიმარჯვეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ;
მებრძოლი წითელ არმიისა, სულ წინ მიიწევს,
თავისუფლება და მშვიდობა რომ ხალხებს დარჩეს.

მაგრამ ნაციტი — ბანდიტები არა ცხრებიან,
შმაგია მხეცი მის ბუნაგში გამოძწყვდეული.
დიდი ბრძოლები გემართებს, სანამ დაპარცხდებიან,
შეუბრალებლად უნდა მოვსპოთ მტერი წყეული!

ერთიან ფრონტის ნაკადია დღეს კასაბლანკა,
ჰიტლერიზმს მოვსპობთ, აღმოსავლეთს მოვხედავთ მერე.
უკვე ახლოა მზე მომავალ გამარჯვებათა;
ხოლო მეორე ფრონტის გახსნა არ მოხდა ჯერაც.

გიგანტურ ომის თეატრია მთელი პლანეტა;
სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილია, ბრძოლაა ცხარი.
დიდი ხანია კაცი კვამლში ველარას ხედავს,
აზიისა და ევროპისა სადაა ზღვარი!

თუ არ გასურს ქვრივად აგიტირდნენ დები და დედა,
მამის ცხედარზე არ უსმინო შვილების ქვითინს,
წითელ არმიის მხნეობა და თავგამეტება
იყოს ჩვენს გულში მისაბაძი და მაგალითი.

მილოცვა ჩვენი მოწოდების დარად გაისმას:
ამაყი სულის სიჰამაცე ჩვენს გულებს მივცეთ!
თავისუფლებას ხუანხესაც და იანძისაც —
ორმოცდა სამ წელს მოვუპოვებთ — შევფიცოთ
მტკიცედ!

და პეკინშიაც გამარჯვების სიმღერას ვჭეჭავთ,
რომ შანხაიმაც და ნანკინმაც მოსძახონ ერთად;
სიმღერა იგი გადაუფრენს ყვითელ ზღვას ლაღად,
სიმშვიდეს ჰპოვებს ოკეანის მშფოთვარე ტალღა.

წელთათვლა იწყო ამ მეოთხედ ასწლედის წინათ
ახალმა წიგნმა — ეს თარიღი მშვენიერია!
ფურცლები მისი გმირულ ბრძოლის დიდებით ბრწყინავს,
ის ლეგენდარულ სალდათს სისხლით დაუწერია.

წითელო ჯარო, უსაზღვროა შენი დიდება;
ხალხებისთვის და ქვეყნებისთვის ხარ სასახელო.
თაყვანს ვცემთ ჩვენ შენს მხნეობას და თავგამეტებას,
თავისუფლების ტიტანო და სიმართლის მცველო!

8 აპრილის გმირების ხსოვნას

როდესაც მხოლოდ ერთ ჩეანზეა* შეება და ლხენა;
ათეულ ჩეანზე დათარეშობს ფაშიზმის ძალა.
უნდა ავმალდეთ ათასეულ ჩეანებზე ჩვენაც.
დემოკრატიას მხნე მებრძოლნო, სახელით ბრძოლის,
თქვენ დაფრინავდით ჩრდილოეთში გმირული რისხვით
და შეხვდით სიკვდილს ქარიშხლიან ღრუბელთა შორის.
ცასავით დიდი ვინღა გვიზღას ეს დანაკლისი.
მღუღარე ცრემლი იფრქვევა და არა აქვს ბოლო,
ხალხის ცრემლები უერთდება ჩანძიანს ახლა,
გარდაცვლილებზე როდი ვდარდობთ მხოლოდ და მხოლოდ!
ძალმოპრეობა და სიცრუე გულშეშარავი...
ჩინეთის სხეულს სისხლი ჰღებავს, ხსნა უნდა დროზე.
ამიერიდან რომ არ იყოს ტანჯვა-ვარამი,
თქვენი სიცოცხლე თქვენ გასწირეთ, გმირულად ფრონტზე
ხალხის ცრემლები ზღვას შეერთვის მრისხანე ძალით.
ვინ გვიზღას, ვინა, უჩვეულო ეს დანაკარგი;
ჩაუქრობელი წვავს და ბუგავს გულს ცეცხლის ალი.
თქვენ სხივებივით ცის სიღრმეში განათლით ძლიერ,
სივრცეებიდან ჩამოხვედით მეწამულ ფრთებით,
ბნელი ჩასჭერით, საუკუნო უკუნი სძლიეთ
და საიველოდ გაუბრწყინეთ ხალხს შეებას გზები!..
„ვიგრავინოთ რისხვით, აღარ გვინდა, ძმებო, წუხილი.
დემოკრატიას უფრო მაღლა ავწიოთ დროშა“,
აი, ესაა თქვენი სიტყვა, თქვენი ქუხილი.
თქვენი მრისხანე მოწოდება კვლავ ფრთებს შეისხამს,
ის შენ გეძახის ჩემო მიწავ, მხარევე ძლიერო;
რომ სამუდამოდ მოვსპოთ ურდო ფაშისტებისა.
რომ სამუდამოდ ჩვენმა ხალხმა იბედნიეროს.

* ჩე ა ნ ი — ჩინურად სიგრძის ზომა, დაახლოებით სამ მეტრს უდრის.

ჩინელის დედა

მზე ზენიტიდან შუქს აღარ მაცრის,
მე სამუდამოდ წამერთვა გული;
ვხედავ შვილს, აი, ამ წლებში დაქრილს,
წევს საყვარელი ქმარიც მოკლული.

დანაშაულს კი, საიღო მივაკვლევთ,
ვინ არის მკვლელი მკაცრი და ყუმი?
ეს ჯალათია, შობილი აქვე
და დასავლეთის დამბახა ჩუმი.

დასავლეთშია დემოკრატია?
მოუჩმანიათ
აღმოსავლეთი, — მშვიდობის კერა?
ოი, არ მჯერა!

რამდენი შვილი მოუკლეს დედას,
არა ქარ-ცეცხლში, ბრძოლის გუგუნში,—
კვდებოდნენ, ფეხზე ხუნდები ედვით
ცივი სარდაფის შავბნელ ჯურღმულში.

ტრემლები თვალებს ვერ დამიბინდავს,
ჩინელის დედა საბრძოლოდ მოვალ;
უბრალო ქალი მოვდივარ, მინდა
ვებრძოლო მკვლევლებს — შმაგ მგლების ხროვა'ა.

მშობელი მხარის
 გზა არის ძნელი...
 ხან ცივი ქარი,
 ხან სიცხე მწველი,
 გრიგალი მძლავრი —
 ქვესკნელის მძვრელი...

მოისმის მტერთა —
 ზუილი ფუტკრის...
 სივრცეს ხმა ჰკვეთავს
 გუგუნს რომ უდრის...
 იღვრება სისხლი
 ამ წმინდა ქვეყნის,
 ტალღებს ზე ისვრის
 გრგვინვა და მეხი —
 რვა წელი ბრძოლა
 თავზარის მტეხი.

ვერ მღერის გედი
 მოტეხილ ფრთებით:
 მშრომელთა ბედი
 ჩანს სისხლის გზებით;
 გვამების მთები,
 დაჭრილთა ხმები...

— მშვიდობა ხალხებს!
 გაისმის რისხვად
 და თვალებს ახელს
 იმედი ხსნისა.
 იხარებს მალე
 მშობელი მიწა.
 ამაყოფს ამით

დასავლის ზეცა,
დადგება წაპი —
ინათებს მზეცა...
დიოდეს შრომით
ფოლადის ღვარი;
არ იყოს ომი —
სიკვდილის ზარი!

თუმც გიღრენს მტერი
მშობელო მხარეც,
სურს სისხლის ფერი
ღებავდეს არეს;
აქრობდეს ნათელს
ბინძური ხელით,
რომ ყველას სწამდეს
იესო მხსნელი.
გადაწვან უნდათ
მსოფლიო მთელი.

მათ მწველი ნალმი
ხუმრობად უჩანთ
და ზღვათა გაღმით
ბობოქრობს ქუჩა.
სძრავს ოპის მადას
მუქარა ხშირი;
ძიუნ-გუნს* ჰგავს და
ვერ არის გმირი!..

* ძ ი უ ნ-გ უ ნ ი — წიგნი „ჯუანძი“-ს ლეგენდარული პერსონაჟი, რომელმაც მოტყუილებით შეუმძირა ულუფა მაიმუნებს.

ოქტომბრის უთაბეჭდილებანი

1

იმას, ვისაც ომი უნდა, —
ომით ვაჭრობს რისხვის ღირსი,
ვინც ატომით იმუქრება
და დოლარებს ღებავს სისხლით;

ვისაც დღე-ღამ არა სძინავს,
ტყვიის ბოლი ატკობს მარტო, —
მას სულ მალე გაუხსნიან
ჯოჯოხეთის კარებს ფართოდ.

2

ქუხილია ოქტომბრისა,
ჟრჟოლვისა და ლხენის მგვრელი,
გამარჯვებულ ქვეყნის გუგუნს
ბანს უერთებს სივრცე მთელი.

ბრწყინავს კრემლი... უკვდავებას
აქ დაუდევს მკვიდრი ბინა.
ბრწყინავს კრემლი, კრემლის თავზე
ლალის ვარსკვლავთ გუნდი ბრწყინავს.

3

ამ დიდებულ მაისისთვის,
იბრძოდით და გუგუნებდით

და დამარცხდა საუკუნოდ
საუკუნო უკუნეთი.
სამყაროს მზე აქ აენთო,
აქ გადიხსნა მიწის გული
და აქედან მოდის დიდი
სიცოცხლე და გაზაფხული.

4

მე მოსკოვში ჯერაც ადრე
ვიყავი და ვიგრძენ მაშინ,
თითქო ნავით დავცურავდი
თვალუწვდენელ და ლურჯ ზღვაში.
აქ უწმინდეს ხესთან თითქო
მე მივაბი ჩემი ნავი,
გადეწმინდა ბინდი თვალებს
და გზა ვიცან მომხიბლავი.

ზღვაზე, ქარის პირისპირ

-

1.

დაფრენენ ზღვაზე
თოლიების თეთრი გუნდები,

მოსჩანს ნაპირი,
აღმართულან იქ მალლა კლდეში.

ო, ზღვაო, როდის
გათავდები და დასრულდები?

დალლილ ხარივით
ზღვას მიაპობს ხომალდი ჩვენი.

2

გრიალებს ქარი —
თავისუფალ სიერცეზე მქროლი,

გემი მიაარღვევს
ოკეანეს, მივესწრაფებით,

გავხედავ უკან,
მეჩვენება ნაპირი შორი,

მაგრამ ეს არის
მირაჟი და სხვა ატაფერი.

გემმა იანძის
შესართავიც გამოიარა,

დამშვიდდა ქარი —
ზღვაზე ზვირთთა გაქრა გორებიც,

ზღვაც გახდა უფრო
მხიარული, უფრო კრიალა,

მზის ბრწყინვალეობას
უმღერიან ზღვის დრაკონებიც.

სიმღერა მოხუც მეთევზეზე

გემთან მოაცურა
ძველ მეთევზემ ნავი,

ბრინჯზე გასაცვლელად
ხალხს სთავაზობს თევზებს,

ბევრმა თანხმობისთვის
დაუქნია თავი,

ცოტა ივაჭრეს და
მორიგებაც შესძლეს.

გონკონგიდან მოაქვთ
ბრინჯი დიდებული,

ანდუნის წყლის თევზიც
არის საუცხოვო.

რა ღირს, თუ არ იცი,
რა შუაშია ფული,

არვის მოატყუებ,
თუ სინდისით ცხოვრობ!

გინდა ძინი ათი,
აჰა, ძინი ათი,

ერთი ფენით არც მეტს
და არც მოგცემს ნაკლებს.

აჰა, კალათებით
გემზე თევზი აღის,

ბრინჯით სავსე კათხაც
მოდის ნავისაკენ.

მოხუცმა რომ ნახა
ბრინჯი, გაელიმა,

ბედნიერებისგან
გაუბრწყინდა თვალი,

ბრინჯი კარგა ხანი
არ უნახავს იმას,

დღეს ნავში აქვს ბრინჯი
თეთრი, სულ ახალი.

ჩამოსძახეს მოხუცს:
„ ხომ მიიღე ბრინჯი,

გაბრუნდი და სახლში
შეუდექი ვახშამს!“

უპასუხა: „ვინ ჭამს
ბრინჯს ყოველდღე მიჯრით,

ბრინჯი საახალწლო
სანოვაგე გახლავთ!“

გემს მოშორდა ნავი
და მოხუცმა მყისვე

მათ შესძახა: „თუ გსურთ
მზად ვარ, თქვენთვის ხვალაც.

დილაადრიანად
თევზს მოვიტან ისევ,

ათი ძინი ბრინჯი
რომ წავიღო კვალად“.

მე მოწმე ვარ თვითონ
საუბრისა მათის.

სადილისას ყელში
ლუკმა გამეჩხირა;

ნუთუ ქვეყანაზე
არ მაქვს ერთი მადლიც?

ნეტა მშვიდად, როგორ
ვძლები ასე ხშირად?!..

კრებულიდან „ვუმღერი ახალ ჩინეთს“

(1949 — 1952)

ვუმღერი ახალ ჩინეთს

I

აღმოსავლეთი. ბრწყინავს აზია,
ცა ნათელია, მიწა ნაზია,
პოი, ჩინეთი რა ლამაზია!
დღეს მისი-დროშა ბრწყინავს ვარსკვლავით.
მტრის გამგმირავე და გულსაკლავი.
ვერვინ შეიგრძნოს ღელვის გარეშე,
ხალისი სუფევს ამ ჩემს მხარეში:
„მუშა და გლეხი შეკრულან ფიცად,
აქ უფრო ბრწყინავს ზეცა და მიწაც.
აქ არვინ არის —
სიმწუხარეში!“

2

მშვიდობიანი შრომაა ჩვენში,
ისპის სიმღერა ველზე და მთებშიც.
მუშათა კლასის იდეებს ნერგავს —
დიდი პარტია ჩვენში და ყველგან.
ზღვა და ხმელეთი, ცაც ხალხისაა,
ხალხსვე მსახურებს მზეც სხივმფინარი.
ჩვენი სამშობლო დღეს რაც ხნისაა —
ბედნიერია, შრომით წინ არი!..

დილაადრიანად
თევზს მოვიტან ისევ,

ათი ძინი ბრინჯი
რომ წავილო კვალად“.

მე მოწმე ვარ თვითონ
საუბრისა მათის.

სადილისას ყელში
ლუკმა გამეჩხირა;

ნუთუ ქვეყანაზე
არ მაქვს ერთი მადლიც?

ნეტა მშვიდად, როგორ
ვძლები ასე ხშირად?!..

კრებულიდან „ვუმღერი ახალ ჩინეთს“

(1949 — 1952)

ვუმღერი ახალ ჩინეთს

I

აღმოსავლეთი. ბრწყინავს აზია,
ცა ნათელია, მიწა ნაზია,
პოი, ჩინეთი რა ლამაზია!
დღეს მისი-დროშა ბრწყინავს ვარსკვლავით,
მტრის გამგმირავე და გულსაკლავი.
ვერეინ შეიგრძნოს ღელვის გარეშე,
ხალისი სუფევს ამ ჩემს მხარეში:
„მუშა და გლეხი შეკრულან ფიცად,
აქ უფრო ბრწყინავს ზეცა და მიწაც.
აქ არეინ არის —

სიმწუხარეში!“

2

მშვიდობიანი შრომაა ჩვენში,
ისმის სიმღერა ველზე და მთებშიც.
მუშათა კლასის იდეებს ნერგავს —
დიდი პარტია ჩვენში და ყველგან.
ზღვა და ხმელეთი, ცაც ხალხისაა,
ხალხსვე მსახურებს მზეც სხივმფინარო.
ჩვენი სამშობლო დღეს რაც ხნისაა —
ბედნიერია, შრომით წინ არი!..

ხალისი ანთებს ბელადის თვალებს,
 ხალხის უფლება: — თქმა სიტყვის მართლის.
 დიდების ექო ზღვასაც ზოლს ავლებს,
 ხმა წვდება ტიბეტს, მწვერვალზეც აღის.

ბედნიერება სწვევიათ ხალხებს,
 დიდი და მცირე ქცეულან ძმებად;
 თავისუფლება ნათელ თვალს ახელს —
 სიკეთის ხვაეი დამდგარა ძნებად...

ლუ სინს * ელიმება

ო, ლუ სინ, ამბობენ, დიდი ხანია აღარ ხარ ამქვეყნად,
მაგრამ ყველგან გვხვდები მე შენ ცოცხალს და ჯან-ლონით
საესეს.

შენს სახეს აღრინდულად არ აჩნია ზრუნვის ვარამი,
ის საგაზაფხულო გულიანი ღიმილით არის გამთბარი.
ოცდახუთ მარტს სიუანის აეროდრომზე
ჩამოვიდა მათ ძე-დუნნი, თანამებრძოლთა თანხლებით
და შევიდნენ ჩვენს ამიერიდან თავისუფალ პეკინში,
ხალხის წარგზავნილები დიდი ზემით დაუხვდნენ მათ
და ბელადის სადიდებლად მქუხარე „ვაშა“ აღარ დამცხრალა,
სწორედ იმ წუთში დაგინახე შენ და — ღიმილი შენი!

მშვიდობის მომხრეთა კონგრესზეც — პარიზსა და პრალაში,
შეიკრიბნენ სამოცდაათი ქვეყნის დელეგატები,
ჩვენი გამარჯვების ამბავი იქაც მოფრინდა,
გაიგეს თუ არა, ჩან კაი-შის ბუნაგის — პეკინის დაცემა,
ქვეყნიერებისა და ხალხების წარმომადგენლები
ყველანი, როგორც ქუდზე კაცი, წამოდგა ფეხზე.
„დიდება მათ ძე-დუნს! გაუმარჯოს ახალ ჩინეთს!“
შეუწყვეტელი ტაშის ქუხილი გაისმა ირგვლივ.
სწორედ იმ წუთში დაგინახე შენ და — ღიმილი შენი!

ივლისის პირველ საღამოს, კომპარტიის ოცდამეცხე
წლისთავზე,
ჩვენ შევიკრიბენით ჯუნუნტანის სტადიონზე,

* ლუ სინი — დიდი ჩინელი მწერალი.

და სიმღერით „წითლდება აღმოსავლეთი“—დოლის გრიალში
წვიმის მიუხედავად, მხიარულად ცეკვავდა მთელი
ახალგაზრდობა.

ღრუბლები უმაღვე მიმოიფანტა, ცისარტყელამ გაიციმცომა,

გამოვიდა მათ ძე-ღუნი — მისალმებათა ქექა-ქუხილმა
გადიგრიალა.

სწორედ იმ წუთში დაგინახე შენ და — ღიმილი შენი!

ხუაიყენტანის დარბაზში, — ეს იყო ექვს ივლისს,
უკვე საღამოს, ჩინეთის ახალი ეპოქის ყრილობის
მაღალ ტრიბუნაზე უცებ ავიდა ჩვენი ბელადი და
წამოიძახა:

„მოგესალმებით! მოგესალმებით იმიტომ, რომ თქვენ
სკირდებით ხალხს!“

ირგვლივ ქარიშხალივით გაისმა: „თავმჯდომარე მათს ვაშა!“
სწორედ იმ წუთში დაგინახე შენ და — ღიმილი შენი!

სექტემბერს კი იმავე დარბაზში, მძიმე სალუტების გრიალში
პირველად შეეკრიბეთ ჩვენი საკონსულტაციო საბჭო —
და მქუხარედ გაისმა თავმჯდომარე მათს ხმა:

„იყო ღრო, როცა ჩინეთი ითვლებოდა უკულტურო ქვეყანად,
მაგრამ ახლა, ჩვენ კულტურის მნათობად ვდგებით მსოფლიოს
წინაშე!“

ჩინეთმა ქვემეხთა გუგუნში გადააგლო მძიმე ხუნდები.
სწორედ იმ წუთში დაგინახე შენ და — ღიმილი შენი!

ოქტომბერში ტიანიანმინის კარიბჭესთან, სადაც თავი
მოეყარათ, სამასათასიანი

ჩინეთის რესპუბლიკის შესახებ

პირველად მოვისმინეთ სიტყვა მათსი,
ცენტრალური მთავრობის შესახებაც, პირველად გვიამბო მან,
მაშინ შეძახილებისგან შეირყა ვრცელი მოედანი,
„დიდება მათ ძე-ღუნს!“ — მიჰქროდა ხმები კამკამა ცაში.
სწორედ იმ წუთში დაგინახე შენ და — ღიმილი შენი!..

მე ყველგან გხვდები შენ და — ვხედავ შენს სახეს,
ო, ლუ სინ, მე მჯერა: შენ ვერასოდეს ვერ მოგვძორდები!
შენი ღიმილი ხომ უკვდავია! მე ეს არ მელანდება,
მილიონებიც ნათლად ხედავენ და ჩემსავით გრძნობენ ამას...
ჩვენ ყველას მკაფიოდ გვესმის შენი სიტყვები: „ჩვენ
გაეციანებთ!“

ბრძენ მათს ჩვენ მივეყვებით გამარჯვებისაკენ და
ჩვენი სიცოცხლით დავიცავთ ღიმილს, ვიდრე კომუნიზმი არ
დამკვიდრდება!“

დიდება ლენინს

პროლეტართა მამავ, უკვდავო ლენინს
მცირე ხანი როდი გავიდა, რაც შენ დაგვეტოვე,
მაგრამ შენ ცოცხლობ გარდაუვალ დიდებასა
და ასობით ათას გარდაქმნაში.

ყოველივე, რაც შენ განსჭვრიტე, აღსრულდა მტკიცედ,
კაპიტალისტთა ბანაკი დასუსტდა ომში.
სოციალიზმი აშენდა ერთ ქვეყანაში —
და მის გარშემო დაეა გადასწყვიტა ცხოვრებამ.
ერთიმეორეზე აღმოცენდნენ დემოკრატიული ქვეყნები
და ისინი წინ მიჰყავს მუშათა კლასს,
ისინი მიემართებიან სოციალიზმისაკენ,
გლახებს გადასცეს მიწა. ქარხნები კი —
მშობლიურ სახელმწიფოს.
და რევოლუციამ აქ, აღმოსავლეთში,
(შენ ხომ მუდამ ზრუნავდი მასზე),
ჩვენს სამშობლოში ბრწყინვალედ გაიმარჯვა;
მას სათავეში ჩაუდგა მათ,
ჩვენი ბრძენი ბელადი, შენი ნაცადი მოწაფე.

ჩვენ მტაცებლები განვდევენთ ახლა,
ძირფესვიანად ამოვაგდეთ კაპიტალის ძალა-უფლებაც;
ბორკილები მოღშორეს ფეოდალიზმის მონებმა —
და ბატონ-პატრონი გახდნენ თავიანთი მიწა-წყლისა.

ჯერ კიდევ წინააღმდეგობას ეწევიან მტრები,
არაფერს ერიდებიან თავიანთი ბედის გადასარჩენად.

შენს ანდერძს იცავს მშვიდობის ბანაკი
და ომს უკანასკნელ გზას უღობავს იგი.

თავისუფლებისათვის ბრძოლის ალი გიზგიზებს ყველგან,
პროლეტარების გამარჯვების ყიჟინა გაისმის ყველგან.
განწირულნი სიკვდილის გზას მიჰყვებიან ყველგან,
ახალდაბადებულნი სიცოცხლისათვის იბრძვიან ყველგან.

შენი წასვლის შემდეგ მეოთხედი საუკუნე უკვე გავიდა,
მაგრამ კაცობრიობა ხორცს შეასხამს შენს ანდერძს
და განთავისუფლდება იგი.
ო, დაიქუხებს ჭექა-ქუხილი: „დიდება შენ,
ჩვენო მასწავლებლო, დიადო ლენინ!“

✱

ბ ო ლ ი ა თ ი

(ჩინეთის კომუნისტური პარტიის ოცდაათი წლისთავისათვის).

შენ, კომპარტიავე ჩინეთისა, ხარ გოლიათი,
სიმაღლით თვითონ ზეცას რომ სწვდება,
თავისუფლების მოსაპოვრად დიად ბრძოლებში,
როგორც ერთმა დღემ, — გაიქროლა ოცდაათ წელმა.
შენს მრისხანე ცეცხლს ვერ გაუძლო წყვილიაღმა ბნელმა
და გააშუქე დედამიწა ვითარცა მზემან.
შენ წინ გვიძლოდი — და ქვეყნიდან გავდევნეთ მტერი.
ძირფესვიანად ამოვაგდეთ ფეოდალიზმი,
კონტრევოლუცია ჩვენ შევმუსრეთ სასტიკი ხელით
და ჩან კაი-შის თავზე ელავს ხალხის მახვილი.
შენ წინ გვიძლოდი — და „საერთო პროგრამის“ ძალით
მშრომელთ კლასები ერთ ოჯახად შეერთდნენ ასე,
ჩვენ ერთადერთი გვაქვს სახალხო ხელისუფლება
ვის სათავეშიც დგას ძლიერი მუშათა კლასი.
შენ წინ გვიძლოდი — და შევაჩერეთ
ინფლიაცია,

და გვაქვს ფასები განამტკიცები,
ბანდიტებს ჩვენი ძალა ვაჩვენეთ
და ლარიბ გლეხებს დაეურიგეთ მდიდართ მიწები.
შენ წინ გვიძლოდი — და შენდება ჩვენი ქვეყანა,
ჩვენი ტრანსპორტი გამოცოცხლდა უკვე ყველგანა..
მთებად დამდგარა სიმდიდრის ხვაცი
და ქვეყანაში ვაქრობა ჰყვავის.
ხუანხეს ვლაგმავთ შენი ბრძანებით,
წყალს უხვად სვამენ ჩვენი ყანები.

შენ წინ გვიძლოდი, — მიდიოდნენ მოხალისენი
კორეისაკენ, სად ცას ოპის ალი სწვდებოდა,
დამპყრობლებს მათ მოუგრიხეს მწარედ კისერი,
რათა მსოფლიო ბატონობა დაეიწყებოდათ. -
შენ წინ გვიძლოდი, — საბჭოების დიდ ქვეყანასთან
ჩვენ შევეკავშირდით ომური კავშირით,
რათა დავიცვათ ჩვენი მიწა, ჩვენი ღირსება,
რათა მშვიდობის დროშა იყოს ყველგან გაშლილი.
გამარჯვებები შენი უკვდავ დიდებით ბრწყინავს,
ამ დიდებაში ლენინიზმის ზეიმსა ვხედავ,
ამ ზეიმს ვხედავ მოძღვრებაში მათ ძე-ღუნის,
ჩვენს დიდ დღეებში, შენის ნებით ხალხი რომ სჭედავს.
მძლე გოლიათო,
შენ მოგყვებით მზე ნათობს ვიდრე,
შენ აგვამალლე დიადი მიზნით,
ქარხნებით ვფარავთ ჩვენს ტრიალ მინდვრებს
და ახლოს არის სოციალიზმი.
ყოველ კუთხიდან მილიონთა გუგუნი მესმის;
— ჰქონდეს მარადი გამარჯვება სახალხო ჩინეთს!
— იცოცხლე ჩვენო კომპარტიავ, მათ ძე-ღუნო!
დე, ეს ძახილი ასწვდეს მაღალ ცას მოციმცივეს.

სწრაფი წინმსვლელობის წლისთავი

ტიანამინის კარიბჭესთან ზღვაა მღელვარე
და სიხარულის ხმის ტალღები სწვდება მწვერვალებს,
მზეც ადრე ადგა და დაენტო მოედნის თავზე,
დეკლარაციის რეკს სიტყვები, მზისებრ ელვარე.

ჩემო მამულო, შეგისრულდა დღეს ერთი წელი,
დილის სინათლეს ხედავ მხოლოდ, დიდი დღეც გელის,
გოლიათივით გაიზარდე ამ მცირე დროში,
მას ვერ ედაროს ათასი წლის წარსული შენი.

არის ნახტომი დიდებული ეს ერთი წელი,
წითელი დროშა გუანდუნთან ავპართეთ ზევით,
სინძიანიდან. გუანსიდან გავდევნეთ მტერი,
ოკეანედან პამირამდე ვიარეთ ძღვევით.

ერთ დიდ ოჯახად შეკავშირდნენ ხალხები დიდი,
დღეს საბჭოეთი და ჩინეთი ერთი გზით მიდის,
დიახ, ეს წელი ყველა სხვა წელს არ შეედრება,
ჩვენ მსოფლიოში მტკიცედ გავდეთ მშვიდობის ხიდი.

მთელი სიმდიდრე ხალხის ხელში გაერთიანდა.
რათა ვიცხოვროთ უფრო კარგად, ლაზათიანად,
ქვეყნის ხორცმეტებს სასიკვდილო მოხვდათ ლახვარი,
და დღეს საკუთარ მიწასა ვხნავთ, სხვისას კი არა.

მტრებს მკაცრი დასჯა ელოდებათ ახალ კანონით,
მოვსპეთ ძველი დრო, დუღს სიცოცხლის ლალი წყარონი,

ომებს მოსპობენ, რომ ქცეულან ქვეყნის პატრონად,
ჩვენი სამშობლოს მშრომელები უანგარონი.

ჩინეთი მრავალ ათასეულ წლისაა, მაგრამ
აქედან ვიწყებთ ისტორიას წარსული გაქრა;
თუმც მძიმე იყო, ჩვენ ვადგამდით პირველ ნაბიჯებს,
მაგრამ ამ ერთ წელს უკვდავების ნათელი აკრავს.

ჩინელი ხალხი წინ ისწრაფვის, დიდ დღეს მოელის,
შეეწონება საუკუნეს წელი ყოველი,
დაუცხრომელად ჰქუხს სიტყვები დეკლარაციის,
მაო ძე-დუნის დროშა ბრწყინავს შუქთა მთოველი.

ბ მ ა ლ ო ბ თ

ამ გულითადი მოლოცვისთვის, ძმებო, მადლობა!
დღეს, მე როდესაც შემისრულდა სამოცი წელი,
ვიგრძენ უსაზღვრო სიამაყეც, ახალგაზრდობაც,
რადგან გულს მითბობს და მიღელვებს სიტყვები თქვენი!

სიკაბუკის წლებს გავიხსენებ, დღეს, ამ მღელვარე
საუკუნეში თქვენთან ერთად რომ მივაბიჯებ
და კვლავ, ვით კაბუკს, მინდა მივწვდე ახალ
მწვერვალებს,
ახალ ბრძოლისთვის ეს დღე ახალ ძალას მანიჭებს!

მე კი მეგონა, რომ სიბერე მომადგა კარზე,
მაგრამ თქვენთან ვარ, მეგობრებო, და მიდულს სისხლი;
თქვენი სიტყვები — ძალითა და გონებით საესე,
მე ძალას მმატებს და წინ სავალ ფართო გზას მიხსნის!

დაე, თვალთ მაკლდეს — თქვენგანა აქვთ ამ თვალებს
შუქი,
მე-სმენაც მაკლდა — ყველაფერი მესმის მშვენიერად,
ეს თქვენგანა მაქვს, ფოლადივით მკლავი მაქვს თუ კი
და თქვენი სიბრძნით ასჯერ ბრძენი ვარ!

თქვენ გადმომეცით ერთი წიგნი, — ძვირფასი ძღვენი,
რომლის წარწერაც მომავალი ბრძოლისკენ მიხმობს;
„მთელი სიცოცხლე ვემსახუროთ ახალ თაობებს!“
მე ეს სიტყვები სიბერის ჩრდილს მიფანტავს, მიქრობს!

მთელ ჩემ სიცოცხლეს ხალხს შევწირავ, მის ძლიერებას,
თავისუფლებას, მშვიდობას და ბედნიერებას.
ძმურ სალამისთვის, მეგობრებო, ჩემი მადლობა
თქვენ დამიბრუნეთ მრავალი წლის ახალგაზრდობა!

1951 წლის 8 ნოემბერი. დაბადების დღე.
ენა. მშვიდობის დაცვის კონგრესი.

გლოვა ბელოიანისზე *

1

იქ მთელი წელი ყვავილები სურნელს აკმევდნენ...
ახლა იქ, მთელი წელი, — მხოლოდ გვამების შმორია.
შენი სამშობლო იჩაგრება ბელოიანის
და ჰქრება, სულს დაფავს ის შავ თათებში.
შენს სამშობლოში — ხანძრებია და მკვლელობანი,
მიკრობებია შავი ჭირისა —
ენცეფლატის ვირუსები.
ყოველივე ეს ჩაიდინა არა უმგვანო მეფემ,
არა სამხედრო ტრიბუნალმა და პლასტიოოსმა —
ამერიკელთა ჯალათების ხროვა
განუკითხავად თარეშობს შენს ლამაზ მამულში.
ოკეანის გადაღმელმა ბრბომ
შენი სახლ-კარი გაანადგურა
და შენც ზედვე დაგაკლა მას...
მრავალგვარია იარაღი მტაცებლებისა!
ისინი მთელ მსოფლიოს ხელში ჩაგდებას ემუქრებიან,
მეფეს აქეზებენ ბერძნებზე
და გვამების ბუზებსაც იყენებენ კორეაშიც.

2

მაგრამ დიდება ბელოიანისისა უკვდავია!
ხანძართა კვამლში, ბრძოლების ალში
ბრწყინავს დიდება მამაც პატრიოტთა,

* ნ. ბ ე ლ ი ა ნ ი ს ი — საბერძნეთის ნაციონალური გმირი, კომუნისტი.

ის — სულ დიდებული და უქრობია.
ო, პატრიოტებო კორეისა და საბერძნეთისა!
გმირებო ყველა დროისა და ყველა ჭალხისა!
დე, ტანი დაიფერფლოს — სამარადეამოდ ცოცხლობდეს
საქმე!

ის ყოველ პატიოსან მშრომელს ათბობს,
ის უკვდავია, ვით დიადი თავისუფლება!
დე, ლეშად იქცეს ტანი —
ოლონდ ცოცხლობდეს საქმე!
სისხლია დაღვრილი,
გული ტყვიით გახვრეტილი,
მაგრამ ყოველი წვეთი შენი სისხლისა — ცეცხლის ალია.
გმირი იბადება გულის ყოველი უჯრედიდან —
ბელოიანისი ისევ ებრძვის თავის მტარვალებს!

3

ჯალათებს არ სთხოვენ ხოლმე თანაგრძნობას,
ჭირის ბაცილებს არ სთხოვენ შებრალებას,
თახედ ქურდებს ხელებზე ურტყამენ
და შხამსა სჯობნის შხამის გაჰქრობი!
თქვენ, თახედო ყაჩაღებო და მკვლელებო!
დაგაეიწყდათ ხვედრი მუსოლინისა?
ხვედრი ჰიტლერისა, რომელმაც აწამა ტელმანი?
ტოძიოს აღსასრული, თქვენ გახსოვთ დღემდე?
ყველგან, ყოველთვის ამხობდნენ ტირანებს,
ყველგან, ყოველთვის კაცობრიობის ნაძირალების
წინააღმდეგ ბრძოლით, თავისუფლების დროშის ქვეშ
თავიანთ დიდ ღირსებას იცავდნენ ხალხები!

4

ჩვენ ქურდებს სინდისისაკენ ვერ მოვუწოდებთ,
ჩვენ შხამიან გველებს ვერაფერს ვთხოვთ,
ჩვენ მივმართავთ ხალხთა დიად სინდისს,
უბრალო, პატიოსან ადამიანებს მივმართავთ მხოლოდ!

წინ მიდის კომპარტია
დროშით მოციმციმეთი,
უძღვის მათ ძე-ღუნი,
მათ აღიღებს ჩინეთის
ხალხი მხნე, გაბედული.

დროშა მათ ძე-ღუნის ფრიალებს და ანთია,
ჩვენი ჯარი მამაცი საზღვრებს ჯავშნად არტყია,
მტერი გაგვიღვენია, ბნელი გაგვიფანტია
მხოლოდ გვინდა მშვიდობით შევხვდეთ ყოველ
განთიადს.

წინ გვიძღვის კომპარტია
დროშით მოციმციმეთი,
უძღვის მათ ძე-ღუნი,
მათ აღიღებს ჩინეთის
ხალხი მხნე, გაბედული.

კრებულში არშესული ლექსებიდან
(1951 — 1958)

ოქტომბრის ჩემოლუცია და ჩინეთი

1

ქუხდნენ ზალპები ოქტომბრის დღეთა,
ახლოვდებოდა დრო ნეტარების,
აღმოსავლეთის ხალხებთან ერთად,
ქექდნენ ჩინეთის პროლეტარებიც.
ვინ არის ძვირფას ნობათის ღირსი?
ვინ არის მტერთა შიში და რისხვა?
პარტია! კიდით კიდემდე ისმის,
ჩვენი ქვეყანა პარტიამ იხსნა.
დიდი სიცოცხლის ხე როდი გახმა, —
ორგულებს შურის ეცვალათ ფერი,
ღიახ, გაიგო მშრომელმა ხალხმა
ვინ იყო მისი მოძმე და მტერი.
ჩინელნი ცისკენ იწვდიდნენ ხელებს,
მაგრამ მშველელი არ ჩანდა მათი,
ჩქეფდა მდულარე ცრემლების დეღე,
იყო გაფიცვა, მსხვერვეა და ზათქი.
კოლონიალურ უღელში მძიმედ
გმინავდა ჩემი მშობელი მხარე,
მაგრამ არასდროს ვკარგავდით იმედს,
ველოდით მზიან მომავლის დარებს.
თუმც ბრძოლის ველზე ვღვარეთ ზღვა-
სისხლი,
მაინც იმედი გვქონდა რა ხვალის,

მომხდურთა ურდოს ვუტევდით რისხვით,
არ ჩაგვიგია ქარქაშში ხმალი.
ვერც მონტესკიე, სპენსერი, სმიდტი —
ვერ ჩაგვინერგავს მძლეობის იმედს;
სინათლისაკენ ბრძოლებით ვილტვით,
მწარე სინართლე გზას უხსნის ჩინეთს.

2

მიიღე ჩემი მადლობა დიდი,
დიდი რუსეთის ხალხო ძლიერო,
შენ გასდე ძმობის ურყევი ხიდი
კაცობრიობის საბედნიეროდ.
დიდი მადლობა ვლადიპერ ლენინს,
მან დასაბამი მისცა მშვიდობას,
გაგვიცისკროვნა ცხოვრების დღენი,
გვაშორა წარღვნას და წყალდიდობას.
მაო ძე-დუნსაც ვუქადლით გულით,
ეს მან დაიხსნა ჩინეთის მიწა,
სინართლე მისთა ბაგეთა თქმული,
თავისუფლების სიწმინდეს. იცავს.
დარაზმა ხალხის არმია მძლავრი,
და წინ უშიშრად წარუძღვა იგი,
თავისუფლებას გაულო კარი,
აალორძინა მშვიდობა ირგვლივ.
ათ წელს ვიბრძოდით, ვიწვალეთ ბევრი,
სამოქალაქო მრისხანე ომში,
მეშვიდე წელს კი განვდევენეთ მტერი,
გზას მივიკვლევდით წითელი დროშით.
მაგრამ სამ წელს კვლავ იბრძოდნენ ისევ,
ხალხის
რჩეული შვილები რისხვით,
დედა-სამშობლო მტერთაგან იხსნეს,
სინართლისათვის დადვარეს სისხლი.
მათ აღასრულეს სამშობლოს ვალი,
იმპერიალიზმი დაამხეს ძალით.

ფეოდალების განდევნეს ხროვა
და კაპიტალიზმს სიბნელის მსტოვარს
გადაურეცხეს მიწიდან კვალი.

3

საბჭოეთი რომ არ იყოს ჩვენთან,
ხელს არ გვიწვდიდეს ასე ერთგულად,
ვერ გაუძლებდით უამრავ მტერთა, —
სთქვა თავმჯდომარემ მათ ძე-დუნჰა.
რომ არ გვშველოდნენ ვაქეატურ გზნებით,
სიტყვით და საქმით ყველგან ძმასავით,
დაგვემსხვრეოდა ოცნების ფრთები,
ჩაგვიქრებოდა ბედის ვარსკვლავი.
მან აღასრულა ოცნება ხალხთა,
იგი მსოფლიოს შექურა გახდა.
ის არის ქვეყნად მშვიდობის ბურჯი,
დგას უძლეველი მიწიდან ცამდე,
დათრგუნა ბევრი ფლიდი და ურჩი,
ბოლი ადინა ჰიტლერის ბანდებს.
დიდება დიდი რუსეთის შვილებს! —
ო, ვის შეეძლო გაეგო დღემდის
კაცობრიობის მომავლის ბედი?
თუ არა მოძვე საბჭოთა კავშირს!
მას რომ თავისი უღრეკი ნებით
არ დაესახა ახალი გზები,
რამდენ ერს ომი მოსპობდა მაშინ,
ფერფლად აქცევდა ქვეყანას რამდენს,
რამდენ მეგობარს ჩვენსკენ ხელგაშლილს
გადაკარგავდა ბნელეთში სადმე,
ცრემლთა მდინარე იდენდა ზღვაში.

4

განახლებათა ცხოვრების დღენი,
შლიან წარსული დღეების ლაქებს,
ნათელი არის მიზანი ჩვენი,

მტკიცეა ჩვენი სიტყვა და საქმე.
მზადა ვართ მამულს სიცოცხლეც მივცეთ,
არ გვაკრთობს მტერთა მზაკვრული გეგმა, —
დღეს ინდუსტრია წინ მიდის მტკიცედ,
სოციალიზმი იმარჯვებს ყველგან!

ახლა შორეულ აღმოსავლეთში
და კორეაში სიმშვიდე არი,
შეწყდა სისხლისღვრა, რბევა, თარეში,
ძმობას, სიყვარულს გაეღო კარი.
მალე ვიხილავთ გაზაფხულს ნაქებს,
ჩვენც ძმობის დროშას ნურასდროს
დავხვებით, —

დაე, სცოცხლობდეს მშვიდობის საქმე,
დღეგრძელი იყოს ჩინელი ხალხი!

მარქსსა და ენგელსს დიდება მარად!
დიდება ლენინს — ოქტომბრის ბელადს!
დიდება, ვინც ხალხს წინ უდგას ფარად,
სიმართლისათვის მებრძოლებს ყველას!
დიდება, დიად საბჭოთა კავშირს!
ბედნიერ დღეთა ბრწყინვალე მყობადს, —
ვერარა ძალა ვერას დროს დაშლის
საბჭოეთის და ჩინეთის ძმობას,
გამარჯვებული ხალხების ძმობას!

!

ა ქ ლ ე მ ი

უდაბნოების ხომალდო,
გიქებ ზნესა და ადათებს,
ამაყად თავაწეული
მიდიხარ, გზა არ გადარდებს,
მიდახარ, მიგყავს მგზავრები
ლამითაც განთიადამდე.

თუ ქარიშხალმა შეცრად
წინ ქვიშა წამოგიშალა,
მოგეკვრებიან მგზავრები,
ვით ლოკოკინა-ნიჟარას.
ბუნების შვილო ძვირფასო,
იხარე, არ ხარ მშიშარა.

ჩემს სულში, როგორც პეპელა,
ერთი სურვილი ფარფატებს:
უდაბნოების ადგილზე
ყველგან გაეხსნას გზა ვარდებს,
მორბოდეს ნაკადულები,
მიწას ბალახი ფარავდეს.

აგერ ცისკარი გამოჩნდა
დიდი ციური ქმნილება,
ვნახავთ მიწიერ სამოთხეს,
ვრცელი უდაბნო ილევა,
იქ მოსვენება მოგველის,
ჩეროში გადაჩრდილება.

დე, პლანეტებზე ვიფრინოთ,
დე, კურემა გასჭრას ცის გარსი,
შენ წინ იარე, თუნდ ორმო
ვერსად იპოვნო ჰის მსგავსი, —
უდაბნოებში შენა ხარ
ყველაზე უფრო ძვირფასი!

მბრუნდები სამომობლოში

გადავეჩვიე, არ მშურს ჩიტების —
ხმებს რომ ნარნარად აწკრიალებენ,
სწრაფი თევზებიც აღარ მაკვირვებს
წყალში, რომ მარდად დასრიალებენ.

მივჭრი სულ წინ და ეს ჩემი ეტლი
ათიათას ლის დაიპყრობს წაშში,
ფოლადის ფრთების უდიდეს ძალას
მე ვგრძნობ ღრუბლების ჯგუფ-ჯგუფად
სვლაში.

მხოლოდ ახლახან ვნახე ციმბირში
მე სახეები რა მომღიმარი,
თვალმიუწვდენელ გაშლილ ტაიგებს
აქ ნათელსა ჰფენს დილა ცისმარი.

ჰა, ნონლოლეთის დედა-ქალაქი
ულან-ბატორი, — იქეთ გავწიე,
ამ საოცნებო ლამაზ მხარეში
ფოლადის ფრთებით წუთს მივალწიე.

თავის სიდიდით ჩვენს დედამიწას
რა შეედაროს, — მე ასე ვთვლიდი,
და ციდან მიწას როცა ვუყურებ —
მგონი ქვეყანა არ არის დიდი!

ჰე, მგოსანო, მომღერალო,
ყელი უნდა მოიღერო,

არ დახარო
თავი გმირო,
მსურს იმღერო!
განა რუკა? — დედამიწა
ქვეს ჩემს ქვემოთ,
მეგობრებო ურთერთს ვეძმოთ!..

აი დიდი კედლის ახლოს,
თითქო ლენტი იკლავნება
ხეობებში,
დღე კი, მიდის მათზე ფიქრში;
ჩანან, მწვანე ნაქარგები
მთების ძირში.

ამ მწვერვალებს ნათელ ცისტვის
რახანია უმზერიათ
და ახლა მათ სიმაღლიდან
თვალნი ჩემნი შეჰხარიან.

მე კუნძინხუს მუდამ ვცნობდი,
აქ ბუნება არის ლალი,
მდინარის პირს, მთების ძირას
გასახარად ყვავის ბალი.

ვუყურებ და გულს მიხარებს
დიდი სივრცე, როგორ ბრწყინავს,
ასე კარგი მე ჩინეთი
არ მინახავს ძმებო წინათ!

ციკლიდან „კვლავ იაკონიუში“

ბამოთხოვება სუვადასთან

ეს ყველამ იცის, ტყე როგორ ხმება,
მწვანე ბალახიც ზამთარში ჭკნება;
მაგრამ არ ჭრება გრძნობა განცდილი —
ადამიანის სულის ნაწილი...
ერთხელ, ვეწვიე ჩემს ძველ სამყოფელს
დაბა სუვადას — სინათლის მომფენს;
იაპონელნი შემომხვდნენ ლხენით,
ხელებს მიწვდიდნენ ნაცნობი ხენიც.

მოულოდნელი სტუმარი მნახეს —
გაბრწყინებოდათ მეზობლებს სახე.
ვნახე მოხუცი — ნაცნობი ძველი,
მან მომაგება სალამი წრფელი.
გადანახული მაჩვენა დაფა,
ამოვიკითხე იქ სულის სწრაფვა.
იქ აღსარება ეწერა, ჩემი —
სიყრმის დღეების ნუგეშისმცემი:
„ჭკრება სახელი ცინის და ხანის* —
მეფეთა ხსოვნა იქცევა არად;
გაივლის დრო და გაივლის ხანი,
შეინახება ეს დაფა მარად!“

და... გავიხსენე ნაწერი ძველი,
ჩემს მიერ ქვაზე ამოკვეთილი,

* ც ი ნ ი და ხ ა ნ ი — ცინის და ხანის დინასტიის მმართველები.

სიტყვები ბრძნული, სიტყვები წრფელი
და მეზობლების საქმე კეთილი.
მოხუცმა მითხრა: „ვინახავ კვლავაც
შავი ქვის დაფას — ლაღადისს სულის;
მწაჰს, საუკუნე მრავალი გავა,
არ წაიშლება წარწერა ბრძნული!“.

სახლის პატრონთან ვისხედით მშვიდად
და სურნელოვანს ვსვამდით ცხელ ჩაის.
მოგონებები ჩემი ფრთებს შლიდა
და საუბრობდა თითქოს ჩემსავით.
მე გამახსენდა ის დრო, ის წამი,
როცა ამ სახლში ვცხოვრობდი წყნარად;
მახალისებდა დილა სისხამი,
იდგა სურნელი მთაში და ბარად!

მახსოვს მუქმწვანე ფიქვების რიგი,
ხეების ქვევით — საფლავი ძველი,
და უსახლკარო მშრომელთა ფიქრი,
ტყეების ჩრდილი და სიციხე მწველი.
მახსოვს, როს იდგნენ მწუხარე წლები,
იაპონია გოდებდა ნისლში,
ჰგოდებდნენ ჩვენი ალალი ძმები
და იხრჩობოდა სიმართლე სისხლში...

იმ საშინელ დროს მე მარტო შეთენილს
მაგონდებოდა სამშობლო ჩემი;
და იყო სევდა უთქმელი ენით,
როგორც სამარე — სიბნელის მფენი.

მაგრამ ქვეყანამ იცვალა ფერი,
დრო მოტრიალდა კეთილად „ძუნის“.*
სევდა მომცილდა — სიცოცხლის მტერი
და გაბატონდა მშვიდობა სრული.

* ძუნის — დროის ცამეტწლიანი პერიოდი ძველ ჩინეთში.

ვემშვიდობები ალალი გულით
და ვეუბნები ბრძენს, სახლის პატრონს:
დეე, ხალხს შერჩეს მებრძოლი სული,
არ დაემონოთ ზღვისგაღმელ ბატონს!
დე. გახარებდეთ ჩინელი ხალხის
გმირული სწრაფვა: იმედის, ძლევის,
კვლავ ვაგებებდეთ დამპყრობელს მახვილს,
არ გვეშინოდეს მტრის შემოსევის!

ჩინეთის მსგავსად იბრძოლოთ მინდა,
განდევნოთ მტერი მოსული ძალად!
იაპონია — ქვეყანა წმინდა
მტარვალს დაატყდეს მძლე რისხვის ზარად!..
თავისუფლებას როს მოიპოვებთ —
კვლავ მოგეხვევით ისევ ძმურადა,
დღეს კი, მივდივარ, დროებით გტოვებ,
ჩემო ძვირფასო, ტკბილო სუვადა!..

-

უძველეს ფიჭვთა ველზე წუხილი

ხე არსად არ ჩანს, უდაბურია,
გაქრენ უძველეს ფიქრთა ველები,
არის თქმულება: — ტყეს ცეცხლს უჩენდნენ
აქ ველურების ლეგიონები.

რვა წლის მანძილზე მტრებისგან ხალხმა
იგემა კმუნვა, — გულის ტკივილი,
მაგრამ დღეს უფრო საშინელია
ეს ატომური ბომბის წივილი.

იდგა ტაძარი, ბუდას წინაშე
მორწმუნე ხალხი გაოგნებულა,
ახლა კი, ირგვლივ სილა და ქვიშა
დაისის სხივით განათებულა.

მოუტანს ახალ უბედურებას
ხალხს აგრესორთა ხელშეკრულება;
ჩვენს შორის მხდალი არ მეგულება
ვერვინ წაგვართმევს შრომის უფლებას!

მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ უ ი

(ტოკიოდან სიმონოსევამდე)

მშვიდობის დღეებში შობილი სიმღერით
შევარდნულ ფრთებთა მივქრით, —
და ისმის პეკინში ნათქვამი სიტყვები
თვით ირმის ნახტომის იქით.

აქ ზღვაა და მთები, ნისლი ცას გაკრული,
ვუცქერი, მერევა მზერა;
ქალაქი, მდინარე, ელექტრო-სადგური,
ლამეა და აღარ მჯერა.
მივქრივარ და გზაზე მეგობრებს ვიგონებ—
ძმობის თვალ-მარგალიტს მაგარს.
და ხსოვნა ძვირფასი ჩემს სულში
იქროლებს —
ახლა, რომ ჯებირად მაკრავს.

მე ასეთ მეგობარს სულსაც კი დავეთმობ,
ვინც არის მშვიდობის მდომი;
მტერსა და მუხანათს სიცოცხლეს
ჩავუქრობთ —
თუ კიდევ ასტეხეს ომი..

კოშკი „ხარუბანი“

გასულ სამოც წელიწადში
შეიცვალა სულ მთლიანად
დედამიწის ეს უბანი,
დღეს დროშებით გვესალმება
დიდი კოშკი „ხარუბანი“.
შრომისაკენ მოგვიწოდებს...
მზის სხივები გაიშალა,
დაე, იყოს ყოვლის შემძლე
სიყვარულის დიდი ძალა.

მივალ ბეკაში

სისხლის ნაკადულები
თუხთუხებს და დულს...
იმათ გახსენებაზე
გული რარიგ სწუხს.

როცა ღამის წყვედიადში
ვხედავ ნიაღვარს...
გაზაფხული მოვიდა
უხარია თვალს.

მოგონებებს ვინახავ
ხეთა ჩეროზე...
„თეთრ ღრუბლების“ — მხარეზე,
„ყვითელ წეროზე“.

ბემი უედის იანძის უესართავში

გემბანის იქით გაშლილა სივრცე
ასეულ მილით — ერთით კი არა...
და მე ვჩურჩულებ: — ჩემო სამშობლოვ,
რა ქარიშხალმა გადაგიარა!

ხან ჩაქრება და ხან აინთება
შუქურა ზღვაზე, ინათებს არე;
ხან კი, სულ მალლა ნათელ დისკოთი
ცაზე ამოდის პირბადრი მთვარე.

ეგზომ ლამაზი ჩემი ქვეყანა,
მხოლოდ ერთი თვის წინათ დავტოვე;
შანხაისთან კი, განშორებაში,
წილად მხვდა რვა წლით მე სიმარტოვე.


დღეს ბედნიერი ვარ ქვეყანაზე,
გულში იფეთქა ზღვა სიხარულმა,
კვლავაც ოცნებამ ფრთები გაშალა
შეება მომგვარა დღეს გაზაფხულმა.

ლექსები ეგვიპტეზე

ნავიო მივცურავ ნილოსზე

მსუბუქი ნავი მიაპობს ნილოსს,
ნიჩბები ჭრიან ბობოქარ ტალღებს;
მზე სხივოსანი გაგვექცეს ცდილობს,
რომ კვლავ სიყვითლე დაეტყოს ბაღებს.

და წყლის სარკეში სახეებს ვხედავ,
ვოფლიანდები, ტანსაცმელს ვიძრობ;
ნილოსის წყალი შევსვი და მხნედ ვარ,
ახალგაზრდობა მეწვიოს ვინძლო.



მთისაგვენი

გზაჯვარედინზე

ჩვეულებად ჰქონდა, როცა ის თავის ოთახის კარებს დაუ-
ახლოვდებოდა, ნაბიჯს აუჩქარებდა, მაგრამ დღეს რატომ-
ღაც ძალა არ შესწევდა. სახელურს უგულოდ შეაელო ხელი,
ღრმად ჩაფიქრებული წუთით გაჩერდა, მერე ისევ სწრაფად
მოტრიალდა და ქუჩაში გამოვიდა.

ც-ს ქუჩის გასწვრივ ჩარიგებულ ხეებს დიდი ხანია ფოთ-
ლები გასცვენოდა. მზის სუსტი სხივები მკრთალ ნათელს
ჰფენდნენ ქვაფენილს და ლამაზ სახლებს, რომლებიც სიმაღ-
ლით თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ. ის შლიაპით
ხელში ხეივნის ქვეშ მიდიოდა. მარჯვენა მხრიდან ხანგამო-
შვებით ცივი ქარი უბერავდა და გაბურძღვულ თმებს უწე-
წავდა.

სულ პირდაპირ იყურებოდა. ყურადღებას არ აქცევდა
ქვაფენილზე ხალხის გაცხოველებულ მოძრაობას. წითელი
აგურით ნაგები შენობები, რომლებიც ყოველთვის სისხლიანი
ეჩვენებოდა, გულში მწვავე ტკივილს ჰგვრიდნენ. მაგრამ
დღეს იგი ვერაფერს ამჩნევდა. გულგანგმირული გასცქერო-
და მის წინ გადაჭიმულ ზღვის უდაბნოს, სადაც მარტოდ-მარ-
ტო მიმავალი გემი დინჯად ირწეოდა ყვითელი ზღვის სის-
ხლიან ტალღებზე.

— ალბათ ისინი კაიუტის მრგვალ ილუმინატორებიდან
მიყურებენ ახლა — ცრემლიანი ხმით დაიჩურჩულა მან.

გემზე მისი ცოლშვილი იმყოფებოდა. ცოლი ოცდაათი
წლის არც კი იქნებოდა და სამი პატარა ბავშვი ჰყავდა. დღეს
რვა საათსა და ორმოცდაათ წუთზე დასტოვეს მათ შანხაი.

მისი ცოლი იყო იაპონელი მღვდლის შვილი. შვიდი წლის
წინ, ადათის მიუხედავად, თავისი ნებით გაჰყვა მას ცოლად

და ამის გამო ძალაუფლებურად მშობლებთან კავშირი გაწყვიტა. მაშინ ის მხოლოდ სტუდენტი მედიკი იყო. შვიდი წლის განმავლობაში მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჭაპანს და სამ ბავშვს ზრდიდა. სულისუღზე ელოდებოდა როდის დაამთავრებდა ქმარი სასწავლებელს და აი ეს ოცნებაც აუსრულდა. გასული წლის აპრილში ქმარ-შვილთან ერთად შანხაიში გაემგზავრა. ქალს იმედი ჰქონდა, რომ მისი ქმარი ახლა საზოგადოების ფართო სარბიელზე გაპოვიდოდა, წარმატებას მოიპოვებდა და ცხოვრების მძიმე პირობებსაც დაივიწყებდნენ. მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა. შანხაიში ჩასვლისთანავე მისმა ქმარმა, რომ იტყვიან წყალში გადაისროლა ის სამედიცინო განათლება, რომელიც ათი წლის მანძილზე დიდი წვალებით ჰქონდა მიღებული. გამოუყენებელი სტეტოსკოპის რეზინის მილი მოუხმარებლობის გამო მტკრით გაივსო და ჰაერს აღარ ატარებდა. მეგობრები ცდილობდნენ დაეყაბულებინათ იგი და ერთად ემეცადინათ პრაქტიკაში, მაგრამ ის ერთსა და იმავეს პასუხობდა: რომ იგი ამ საქმისთვის არ იყო მოწოდებული. სიჩუანის წითელი ჯვრის წინადადება, რომ მას ჩუნციენში საავადმყოფოს დირექტორის თანამდებობა დაეკავებინა — უპასუხოდ დასტოვა.

სტუდენტობის წლებში ის ლიტერატურით იყო გატაცებული. როცა შანხაიში დაბრუნდა, თავის ახალ მეგობრებთან ერთად მან ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა დაიწყო. ამ მოღვაწეობაში იგი სულის სიმშვიდეს პოულობდა და იმედი ჰქონდა აგრეთვე, რომ საზოგადოებაზეც თავისებურ გავლენას მოახდენდა. მაგრამ ძველ ჩინეთში, ლიტერატურას გროშადაც არავინ აგდებდა. მისი ფიქრი, როგორმე ერჩინა ოჯახი, ჰგავდა იმ მარცვალს, რომელიც მოხვდება ხოლმე მწირ ნიადაგში და ფესვებს ვერ გაიდგას, რომ ნაყოფი გამოიღოს. სტუდენტობის წლებში მას რამოდენიმე ათეული იენი სტიპენდიით მაინც შეეძლო ასე თუ ისე გაჭირვებით შეენახა ოჯახი, ახლა კი, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებას მოჰკიდა ხელი, ეს საშუალებაც მოესპო.

მეგობრების დახმარებით ანნალნუს ქუჩაზე, როგორც იყო იშოვნა საცხოვრებელი ოთახი. ამან ცოტა დაამშვიდა. მაგ-

რამ მისი ცოლი მაინც ვერ შეგუებოდა არსებულ მდგომარეობას. ბავშვები უკვე წამოზრდილები იყვნენ, და მოსვენებას არ აძლევდა ის ფიქრი, რომ მათთვის აუცილებელი იყო ნორმალური კვება, ჩაცმა და განათლების მიღება. ის ღამითაც ვერ პოულობდა სიმშვიდეს. ამ ნიადაგზე მას ხშირად მოსდიოდა უკმაყოფილება ქმართან და უსაყვედურებდა, რომ თავის სპეციალობას არაფერში იყენებდა.

— მედიცინას მოგვიდო ხელი? რის მედიცინა, რა მედიცინა!.. — აღელვებით ეტყოდა ცოლს, მე რომ ცოტა უფრო ნაკლები მესწავლა, მაშინ შევძლებდი ხალხი მომეტყუებინა. სიფილისს არჩენენ პრეპარატით—ექვსას ექვსი, მალარიას—ჭინით, ანგინას — ინექციით, დიზენტერიას — ემირინით, ეს ყველაზე გავრცელებული წამლებია, მათი ჩამოთვლა ხელზე არ შეიძლება. შანხაიში საკმაოდ ბევრი მატყუარები და პარაზიტები არიან. ისინი თითქმის ისევე მრავალრიცხოვანნი არიან, როგორც ჭიანჭველები. მათ მშვენივრად შეუძლიათ ამ საშუალებებით ისარგებლონ. მოარჩენ მდიდარს, ის ისევე ღარიბებს დაუწყებს ექსპლოატაციას, მოარჩენ ღარიბს და მის განცდებს, გაჭირვებას გააგრძელებ. მე მირჩევნია სიმშვილით მოგვკდე, ვიდრე ასეთი უსინდისო გზით ფული ვიშოვნო. რას წარმოადგენს მედიცინა? შეგიძლია პარაზიტები განადგურო, მოსპო ბაქტერიები, მაგრამ მედიცინის დახმარებით მათ წარმომშობ საზოგადოებას მაინც ვერ განადგურებ. როდესაც მდიდარი მეტს შესჭამს, ცდილობენ საქმლის მონელება შეუმსუბუქონ, როცა ღარიბი მანქანის ქვეშ ჩავარდება, ჩქარობენ ფეხი მოჰკვეთონ. როცა შეიარაღებული იაპონელი მიმთვისებლები ათეულ ათასობით თავიანთ თანამოქალაქეებს ასახიჩრებენ, ექიმები ჭრილობებს ამომწოვ საღებუნებით აწებებენ და მერე ბინტით უხვევენ. აი, როგორია ჩვენი მედიცინა! ეს არის ადამიანობა? სამართლიანობა? უბდიან ფულს და მორჩა!

არა, არ მინდა მე ასეთი ხელფასი.

— თანამედროვე საზოგადოებაში უნდა შეუტრიგდე ასეთ მდგომარეობას, რას იზამი — ჩვეულებრივ უპასუხა ცოლმა.

— არა, უმჯობესია დიდ გზას გავყვე, ვიდრე შევუტრიგ-

დე უსინდისობას. ყაჩაღებსაც კი გააჩნიათ სინდისის გრძობა, რადგან ისინი მხოლოდ მდიდრებს ძარცვავენ.

როგორც კი ცოლი შეიღის განათლების მიღებაზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს, ქმარი დაუსრულებელ მსჯელობას დაიწყებდა. აგინებდა განათლებას მიღებულს კაპიტალისტური წყობილების პირობებში.

ცოლმა ვერაფერს ვერ მიაღწია. შანხაიში მათ თითქმის ერთი წელი დაჰყვეს და ბოლოს ცხოვრების მძიმე პირობებმა აიძულა ის სამი ბავშვით იაპონიაში გამგზავრებულიყო.

— იქ რამდენიმე თვეს საბებიო პრაქტიკას გავივლი და მერე ისევ დავბრუნდები. მაშინ შემეძლება მხარში ამოვიდგე — განუცხადა მან ქმარს.

ის არაფრის გულისათვის არ დაეთანხმა ქმარს ბავშვები შანხაიში დაეტოვებინა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყოველთვის გულისხმეთქვაძი ყოფილიყო. თავის მხრივ ვერც ქმარმა დაიყოლია ცოლი და ვერავითარ შემთხვევაში ვერ აიძულა თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა. მხოლოდ ერთ რამეში დაეთანხმა ცოლი. მოეცადა ერთი ნაცნობისათვის, რომელიც იაპონიაში მიდიოდა და იმასთან ერთად წასულიყო დღევანდელ დღეს გემით.

მთელი გუშინდელი დღე ტანჯვა-წვალებაში გაატარა. ბილეთისათვის საჭირო იყო ფულის შოვნა. ის ღამეც ბარგის გამზადებას მოუწოდნენ, დაძინება ვერ მოახერხეს. დილის ექვსის ნახევარზე კი ორ დაქირავებულ ოთხთვალაზე დაუდეს ბარგი და დედაბულიანად ხუეიშანის ნავსადგურისაკენ გასწიეს.

ქუჩებში ჯერ კიდევ ფარნები ენთო. მუდამ ხმაურიანი შანხაი ღრმა ძილში შთანთქმულიყო. როცა ოთხთვალები წამპას მიუახლოვდნენ, აღმოსავლეთით ოქროსფერი განთიადი გამოჩნდა. უღმობელ მზეს, რომელიც ახლა თავის დიდ გზას იწყებდა, განშორების ცრემლებთან სულაც არა ჰქონდა საქმე. ის თავის გზას განაგრძობდა.

ბავშვებმა დაინახეს თუ არა გემები, სიხარულით მაშინვე ყვირილი მორთეს. იაპონიაში დაბადებულებს ღრმად გასჯდომოდათ გულში ზღვის სიყვარული.

— საით მიემგზავრებიან ეს გემები?

— ზოგი მდინარე იანცზე წავა, ზოგი საზღვარგარეთ!

— აი, იმ პარკში ჩვენ ვყოფილვართ. სად არის ის გემი, რომელიც იაპონიაში უნდა წავიდეს? აგერ, იქ?

— არა! ხუეიშანის ნავსადგურამდე კიდეც უნდა ვიმგზავროთ!

ასე ესაუბრებოდა ის თავის უფროს ვაჟიშვილს.

— იაპონიაში არ მინდა, მე უნდა დავრჩე შანხაიში მამასთან! — იძახდა მეორე ვაჟიშვილი, რომელიც მამის მუხლებს შუა იყო მოკალათებული.

— დედასთან წადი შვილო! იქ ზღვის ნაპირებზე ბევრი ნიჟარებია, მოაგროვე. მე ჩქარა ჩამოვალ თქვენს წამოსაყვანად!

— რათ მინდა ნიჟარები! ჩვენ იქ არასოდეს შეგვიგროვებია ისინი.

მამის გულში უსაზღვრო სევდა ტრიალებდა.

„ახალგაზრდა ქალი, როგორ შესძლებს თავი გაართვას გზაზე სამ ბავშვსა და ამდენ ბარგს“, ფიქრობდა ის, „გემზე ასვლა-ჩამოსვლა ხომ უნდა! შემდეგ მატარებელში დობინავენ. ყოველგვარი მოულოდნელობებია შესაძლებელი. გუშინ, როცა ბილეთს ვყიდულობდი, მოლარეს კიდევაც გაუკვირდა, რომ ისინი მარტო უნდა გამგზავრებულყვნენ. უცხონიც კი სწუხან ამ ამბავს და ნუთუ მე, მამა და ქმარი უღარდელი და გულგრილი უნდა ვიყო მათ მიმართ. არა, მე უნდა გავაცილო ისინი. მესამე კლასის კაიუტა შანხაიდან ნავსაკამდე ათი იუანე ღირს. მოგზაურობა რამდენიმე დღეს გასტანს. აქეთ-იქით გზაზე მე დამჭირდება ოცდაათი-ორმოცი იუანე. ბილეთს კი ავიღებდი გემზე, მაგრამ ჟურნალი? ყოველი ნომერი ჩემს სტატიას მოითხოვს, თუ წავედი, შეგობრებს გაუძნელდებათ. გარდა ამისა, ოცდაათი-ორმოცი იუანე ცოლ-შვილს ათი დღე ეყოფა. იაპონიაში კი, არც ისე ძნელია მგზავრობა, როგორც ჩინეთში. ვფიქრობ, რომ ცუდი არაფერი არ მოხდება. მათთან ერთად ხომ ბატონი ტ. მიემგზავრება. ის მათ დაეხმარება, მე კი ვერ გავაცილებ, არ შემიძლიან!..“

მას აზრები ეფანტებოდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მო-

ქვეულისყო; გაეცილებინა თუ არ გაეცილებინა. ასე მერყეობდა მთელ გზაზე ანნალნუდან ხუეიშანის ნავსადგურამდე.

პატარა ვაჟიშვილი, რომელსაც ერთი წელი შესრულებოდა, დედის გვერდით ჩუმად იჯდა. პირველ ხანებში იგი გაკვირვებით იყურებოდა გარშემო, მაგრამ ოთხთვალას ნჯღრევაზე მალე ჩასთვლიმა და დედის კალთაში ტკბილად ჩაეძინა.

საათზე მეტმა დრომ განვლო, სანამ ისინი ხუეიშანის ნავსადგურამდე მიაღწევდნენ. მღვრიე ხუანპუს ნაპირზე უზარმაზარი გემი იდგა. მის კიჩოზე სამი დიდი იეროგლიფით იყო გამოსახული, „ნაგასაკიმარო“. ნავსადგურზე სრული სიჩუმე იდგა. გარდა მტკირთავეებისა, სხვა არავინ იყო. ისინი სამუშაოს ელოდნენ. მგზავრები ჯერ კიდევ არ სჩანდნენ. ისინი გემზე ავიდნენ და თავიანთი ადგილი დაიკავეს.

ქმარი ისე ღრმად წასულიყო ფიქრებში, ვერც ახლა გადაეწყვიტა, გაეცილებინა ისინი, თუ არა. ბავშვები მხიარულად გრძნობდნენ თავს და ილუმინატორებთან ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა მდინარისათვის ეცქირათ. მათ ეცვათ დედის მიერ მოქსოვილი ქურთუკები. ამ ქურთუკებით წარამარა გამოედებოდნენ კედელზე გამოშვებულ ლურსმნებს.

პატარა ბავშვი, თითქოს ეთხოვებო, მამისაკენ ხელებს იწვდიდა და თან რაღაცას ტიტინებდა. იგი ხელში აყვანას თხოულობდა. მამამ ის გულში ჩაიკრა. ბავშვმა პაწია ხელები შემოხვია. იქვე და სიხარულისაგან ხტუნვა დაიწყო.

— იაპონიაში სახლები ძალიან ცივია, — უთხრა მან ცოლს, სათბობს ნუ დანინებ. ხშირ-ხშირად აანთე ხოლმე ღუმელი ნახშირიანი მაყალით.

— ახლა ყოველთვის მე მომიხდება წყალზე წასვლა. გარეცხვა, ოთახის გათბობა, საკმლის მომზადება — თითქოს თავისთვის შენიშნა ცოლმა და ხელი ზელს გადაუხვია—ძარღვებამდე დამისკდება ალბათ ეს ხელები.

— რათაც არ უნდა დაგიჯდეს მოსამსახურე დაიქირავე ათ იუანეით თვეში. მე ვფიქრობ ეს შესაძლებელია.

— შესაძლებელია, — ცოლს თვალები ოდნავ შეუწითლდა — ამბობენ, რომ მიწის ძვრის შემდეგ ტოკიოში მოსა-

მსახურეები ხელფასს არ ითხოვენ და მზათ არიან გემსახურონ თავშესაფარისა და კვებისათვის. მაგრამ ფუჟუოკაში კი სულ სხვა მდგომარეობაა. იქ, გარდა კვებისა და თავშესაფარისა, ხელფასიც უნდა გადაუხადო. მეშინიან ოცი იენიც რომ არ ეყოს.

— შანხაიში მე მთელ ძალას მოვიხმარ, რათა ფული ვიშოვნო... — მას სიტყვა გაუწყდა. ჩაფიქრდა, თუ რა გზით შეუძლიან მას ფულის შოვნა. სტატიები დაწეროს თუ განცხადება გამოაქრას, რომ ავადმყოფები მიიღოს? ან შანხაელ ზაგომარის ბანდაში ზომ არ შევიღეს და ბანდიტი გახდეს?

— ფუჟუოკაში მე მეგობრები მყავს — უთხრა ცოლმა — უკიდურეს შემთხვევაში მათგან შეიძლება ფულის სესხება და თავის გატანა. მაგრამ მე გულხელდაკრეფილი მაინც არ დავჯდები. მე ვიშოვნი სამსახურს.

— რა ეშველება სამ ბავშვს?

— პატარას მე თვითონ ვატარებ ზურგიით, სადაც ვიქნები. ხოლო უფროსები ზღვის ნაპირზე ითამაშებენ. ყოველ შემთხვევაში ასე სჯობია, ვიდრე შანხაიში.

ზარმა რამდენჯერმე ჩამოჰკრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამცილებლებს გემი უნდა დაეტოვებინათ. ცოლი სიყვარულით გადაეხვია ქმარს და კოცნა დაუწყო. მას თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

მამამ უკანასკნელად გულში ჩაიკრა თავისი შვილები. ბოლოს პატარაც დედას მისცა.

ბატონი ტ. რატომღაც არსად სჩანდა. ვინ იცის იქნებ დაეძინა, ან მგზავრობა გადასდო. ის კაიუტიდან გამოვიდა და მგზავრებში ძებნა დაუწყო. ბილეთი, რომელიც გუშინ უყიდა მას, თვითონ ჰქონდა, იმედს არ კარგავდა, რომ ის მალე გამოჩნდებოდა.

„თუ ყოველ შემთხვევაში არ მოვიდა, ცუდი არ იქნება. მე ამ ბილეთით ვისარგებლებ და გავაცილებო“, ფიქრობდა ის.

ნავსადგური გამცილებლებით იყო სავსე. ისინი შლიაპებისა და თეთრი ხელსახოცების ქნევით აცილებდნენ გემში მსხლმთ. აი, გამოჩნდა ოთხთვალაც, საიდანაც ბატონი

ტ. გამოვიდა. ის სწრაფად ავიდა გემზე და იმანაც თავის ცოლს წარუდგინა.

ზარმა მეორეჯერ ჩამოჰკრა.

„რა ვქნა? ბილეთი ვიყიდო თუ ჩავიდე?“ — კიდეც შეეკითხა თავის თავს. ვერ მოეფიქრებინა, როგორ მოქცეულიყო.

— ჩვენ რომ წავალთ, შენ მდგომარეობა შეგიმსუბუქდება — უკანასკნელად ჩაესმა ძას ცოლის სიტყვები — შეგიძლია მთელი შენი ძალა შემოქმედებით მუშაობას მოახპარო. ყველას სჯობია რომანი დასწერო. ჩვენსეუ ნუ იღარდებ. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დაებრუნდებით. თუ შეგეძლება ჩამოდი ძაპონიაში, როდესაც ალუბლები აყვავდებიან. დაისვენებ გულს გაიქარებ.

ცოლის სიტყვები მუსიკასავით ესმოდა ყურში. ისე, როგორც ამ შევიდიოდე წლის წინათ, როცა მათ ერთმანეთს უყვარდათ. ახლაც მისმა მოალერსე, მონარნარე ხმამ გამოაბნო ჩილი ჰპოვა მის გულში. „გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო საყვარელო, ჩემო ბეატრიჩე! — დუდუნებდა ის გუნებაში, დაახ, ჩემო ბეატრიჩე! შენ ჩემი ხარ! მართალი მითხარი, უმჯობესია დავწერო რომანი. ეს ყველაზე კარგი იქნება. დანტემ თავის შიყვარებულისათვის დასწერა „ღვთაებრივი კომედია“. მეც აუცილებლივ დავწერ რომანს. ამ რომანს შენ მოგაძღვნი, იგი უკვდაოგყოფს შენ, ჩემო ქალურო სინაზე!“

მან გადაწყვიტა შანხაიში დარჩენილიყო. ბატონ ტ-ს ხელი ჩამოართვა და სთხოვა მისი ცოლშვილისათვის გზაში ყურადღება მიექცია.

კაიჯტიდან გამოვიდა. ცოლს უნდოდა გაეცილებინა, მაგრამ მან უარი უთხრა, რათა ბავშვები არ ატირებულიყვნენ.

მესამედ ჩამოჰკრა ზარმა, კიჩოს ქვეშ წყალმა დაიბუხბუყა. გემი ხელნელა შემოტრიალდა და მძიმედ მოსწყდა ნაპირს.

ის კარგა ხანს გაჰყურებდა გემს. მერე გვერდით შემოტრიალდა და სულაფორიაქებულმა ნავთსადგური დასტოვა.

— რომანი... რომანი... — გაურკვეველად დუდუნებდა იგი — ერთ-ორ თვეში მე რაღაცას უნდა მივალწიო. წიგნის სათაური უკვე მოფიქრებული მაქვს, დავარქმევ „ძეგუან“

(სუფთა სინათლეს). შვიდი წლის წინათ, როცა იგი პირველად ვნახე, განა მისი წარბების ქვეშიდან ღვთაებრივი სინათლე არ გამოკრთოდა? განა, ახლაც ასეთივე სინათლე არ კიაღობს მის თვალებში? მარადიული სიქალე! ბეატრიჩე! „სუკთა სინათლე!“

ის ტრამვაიაში ჩაჯდა და ჰაეროვანი კოცნა გაგზავნა ხუან-პუს მიმართულებით. ტრამვაით ხანგრძლივმა მგზავრობამ მას ერთგვარად ნერვები დაუმშვიდა და უნებურად მოგონებებს მიეცა. ის ჩაუფიქრდა თავისი მოხეტიალე ცხოვრების განვლილ წლებს და ლიტერატურულ მოღვაწეობას. „ღიახ, მე ცხოვრებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, იდეალები განუხორციელებელი. ის, რაც განხორციელდა, არ არის იდეალი. ძვირფასი დრო მუქთად მეკარგება. ბოლოს და ბოლოს რას მივალწიე ამ ათ წელიწადში? მედიცინაზე განა ლაპარაკი ღირს? დროგამოშვებით ლექსებსა და მოთხრობებსაც ვწერდი, მაგრამ რა გამოვიდა? მათ შორის თუ არ ამოირჩევა ისეთი ნაწარმოები, რომელსაც შეუძლია მომიტანოს ნუგეში, სულის სიმშვიდე. როგორ შემიძლიან დავენდო ჩემს შესაძლებლობას? საერთოდ კი თავხედობაა! მე მეტისმეტად დიდი წარმოდგენა მაქვს ჩემს თავზე. როგორ შეიძლება დანტეს შევედარო. გაუგონარი უსირცხვილობაა! — მე!..“ — ფიქრებში ჩაძირული ისე გრძნობდა თავს, თითქოს კაშკაშა სინათლიდან ღამის ბინდბუნდში გადაისროლესო. იპედები, რომელსაც მისი ცოლი მასზე ამყარებდა, მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე: თითქოს გრძნობდა თავის უნიადაგობა!.. თავი უმძიმდებოდა, გული უწუხდა. უნდოდა თავზე ხელები მოეჭირა და დაეკვნესა, მაგრამ ხალხის ერიდებოდა.

თავის გაკიცხვა მას ჩვეულებად გადაექცა. რამდენადაც უფრო ახლოს ეცნობოდა იგი საზღვარგარეთელი მწერლების ნაწარმოებებს, იმდენად უფრო ნათლად გრძნობდა თავის უსუსურობას. მან დაინახა, რომ თავისი ცხოვრება ძალზე პრიმიტიული იყო. რომ მას არ ყოფნიდა ძალა, ღამაზად გადმოეცა თავისი ჩანაფიქრი. რაც უფრო მეტად გრძნობდა თავის სისუსტეს, მით უფრო მეტი ნაღველი იპყრობდა და

თანდათან უფრო ეზიზღებოდა თავი. და ახლა იქამდე მივიდა, რომ კალმის ალებაჲ კი არ უნდა.

— გააჩნია კი შენს ნაწარმოებებს, თუნდაც რაიმე პატარა ლირსება? — ეკითხებოდა ის თავის თავს. — მეგობრები შენ გეუბნებიან, რომ ნიჭიერი ხარ! ამასვე გეუბნებიან სხვებიც, მაგრამ სად არის შენში ეს ნიჭი? ო სირცხვილო, რა დიდი წარმოდგენა მქონია ჩემს თავზე. ეხ... მე ჩემი ოჯახის რჩენაც კი ვერ შევძელი და ცოლს ნება მივეცი თვითონ მოეწყო თავისი ცხოვრება. და მე უსირცხვილოდ ვატყუებდი, როგორც ჩემს თავს, ისე სხვებს. საზიზღრობაა, საზიზღრობა!

მას გაახსენდა ინგლისელი მწერლის ჯონი დევისონის ლექსი უბედურ მუსიკოსზე, რომელსაც ცოლი მოუკვდა სიმშობისა და სიცივისაგან. იგი შემოეხვევა ცოლის გათოშულ სხეულს და ამბობს:

ყველა არსი კარგავს ცნობიერებას,
როს სხეული მიწას შეერთდება;
არ მყავს ცოლი, მღაგავს შვილის ხსენებაც,
მძულს განგება, ის, რაც მიღმერთებია¹.

ლექსს ის იმეორებდა ტრამვაის ბორბლების ხმაურში და გრძნობდა, რომ მისდაუნებურად თვითონ გული ღიღინებდა ამ სევდიან სიტყვებს.

„არა, მე არც თუ ესე პატიოსანი და გულღია ვარ, ფიქრობდა ის. მუსიკოსმა სიკვდილის შექდეგ მაინც დასტოვა ნაწარმოები, რომლის მიხედვით მოიგონებენ მას. მე კი, რა მრჩება? ცოლშვილიც კი ღვთის ანაბარად მივატოვე. ვის დაეაბრალო? როცა მუსიკოსი კვდებოდა, ის ეხვეოდა თავისი ცოლის გვამს, მე კი, აქ მარტო დავრჩი ჩემი მისწრაფებებით, რომლის განსახორციელებლად ძალა არ შემწევს“. მან ინანა, რომ ცოლშვილი არ გააცილა: „რატომ არ აიღე ბილეთი და მათთან ერთად არ გაემგზავრე, რომ მათი განცდებიც გაგეზიარებინა? ოხ... უნამუსო, ეგოისტო! შენ პასუხისმგებლობის გრძნობაც კი არ გააჩნია“.

¹ ლექსი თარგმნილია კ. ბობოხიძის მიერ.

მძიმე ნაღველი უკუმშავდა გულს. ტრამვაი გამოცოცხლებულ მოედანზე მირახრახებდა, მაგრამ ის მაინც ვერაფერს გრძნობდა, ცხვირწინ ვერაფერს ხედავდა.

გულაფორიაქებული მიუახლოვდა სახლს. ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ არა შიგნით. სიკვდილზე საშინელი მოეჩვენა თავისი დაცარიელებული ოთახი. იგი ისევ სწრაფად გამობრუნდა უკან და ძინანსილუს ქუჩის ხეივნისკენ გასწია. დაწითლებული თვალები გაშტერებოდა და უაზროდ სადღაც შორს გაიყურებოდა. მანქანების ხმაურიც კი არ ესმოდა.

სანჯოუს აგარაკის მოსახვევთან გაჩერდა ის. სინათლის განმანწესებელზე დარჩა თვალი. ის ყოველთვის ამ ადგილზე სეირნობდა ხოლმე თავისი ვაჟიშვილებით. კარგახანს გასცქეროდა იმ ადგილს, მერე უნებურად სიმოლუს ქუჩა გადასცქრა და ფუსიუილოსაკენ განაგრძო გზა. აი, აქვე ახლოს სასულაერო აკადემია „შენჯი“ არის.

იქ გაჩერდა. შარშან ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს თავისი უფროსი ვაჟიშვილით აქ სეირნობდა. უეცრად ტუნგოს ხიდან ბელურას ბარტყი ჩამოვარდა. ვაჟები გამოეციდნენ ბარტყს და როგორც იყო დაიჭირეს. გაახსენდა მაშინ დაწერილი ლექსი:

მკრთალსხივოსანი ნამგალა მთვარე
განმარტოებით მიცურავს ცაზე;
ისევ ვსეირნობთ ბავშვებთან გარე
და ტყეთა ჩერო სიამით გვავესებს.
თუმცა ზეფირმა — პაპანაქება
ჯერაც ვერ მოსპო, ველარ აღაგმა.
თუმცა დაისი თანდათან ქრება, —
მაინც მიღამოს ბული თანახლავს.
ხის კენწეროდან ვარდება ბარტყი
და საცოდავის წრიპინი ისმის,
მისკენ მიჰქრიან ბავშვები, მაგრამ
ბულია დაკარგვა არ აკრთობთ მისი.
შეილს ვეუბნები: — ძვირფასო შეილო,
ჩვენც იმ ბარტყივით დაეკარგეთ ბუდე:
უცხო მხარეში მისებრ ეცოღვილობთ,
რით გადავლახოთ ეგ ტანჯვის ზღუდე?!

რადგან არ იცით სიმწარე ჯერაც,
ხალისით მიჰქრით, რომ ბარტყი ნახოთ,
თავდავიწყება თქვენი მე მჯერა —
დღეს მ' მავალზე თქვენ არც კი ნაღვლობთ! ¹

ხეს მიეყრდნო, გულიდან მძიმე კენესა აღმოხდა. თვალწინ წარმოუდგა თავისი ცოლშვილი. გაახსენდა წინათ რა ღარიბად ცხოვრობდნენ ისინი, მაგრამ მაინც ბედნიერად გრძნობდნენ თავს, რადგან ერთად იყვნენ. ახლა კი, რა ძნელია ეს მარტოობა გადაიტანოს. უცბათ თვალებიდან ცრემლები წასკდა. ღრმად ჩაუფიქრდა თავის თავს. როგორ ბევრი ჰყავს მას მტერი. შანხაისა და ნანკინის გაზეთები პირდაპირ სწამლავენ. რამდენი გამანადგურებელი სტატიები დაწერეს მის მიმართ. უცბათ მან თავის თავი წარმოიდგინა შანხაის ქუჩაში მანქანების ბორბლებით გასრესილი, დაფლეთილი, გასისხლიანებული... და შეიძლება კარგიც ყოფილიყო.

„მაშინ დატკბება ხალხი, რომელიც სხვისი უბედურებით ხარობს, მე დავიძინებ მუდმივი ძილით. მაგრამ რა ეშველება ჩემს ცოლშვილს? ან ჩემს მეგობრებს, რომლებიც იმედს მხოლოდ ჩემზე ამყარებენ? ცოლა იმიტომ გამერიდა, რომ ჩემთვის ხელი არ შეეშალა. მას იმედი აქვს, რომ მე რომანს დავწერ. ჟურნალიც ჩემს სტატიას ელოდება, როგორც ბარტყები საკვების მოსატანად წასულ დედას და მე ნუთუ უნდა დავიღუპო?.. ეხ, როგორი სენტიმენტალური ადამიანი ვარ...“

ათი წლის წინათ მე თითქმის მკვდარი ჩავედი იაპონიაში. ცოლმა ცხოვრებაში სული ჩამიდგა, თუმცა ამ ათი წლის განმავლობაში მე ტყუილ უბრალოდ არ მიცხოვრია. ჩემი ცხოვრება ხომ ბომბსა ჰგავს, მოვა დრო და, როცა იქნება გასკდება. ცოლი და ბავშვები უკვე ყვითელ ზღვაში მისცურავენ. მეც წავალ სახლში, ვიმუშავებ, — გადასწყვიტა მან, — ორ თვეში მე უნდა მოვასწრო „ძეგუანის“ დაწერა.

მას აგონდებოდა ახლა ძველი ადათი და წესი ქორწინების შესახებ, აგონდებოდა როგორ გაექცა ამ წესს იაპონიაში და იქვე სიყვარულით შეერთო ის, ვინც ახლა მისი ცოლია.

¹ ლექსი თარგმნილია კ. ბობოხიძის წიგრ.

იგონებდა მასთან გატარებულ ცხოვრებას და, არც გაუგია როგორ მიუახლოვდა სახლს.

ეესტიბიულში საათი ღამის პირველს უჩვენებდა. ძველმა მოსამსახურემ ვახშამზე მიიპატიჟა, მაგრამ მან მტკიცე უარა უთხრა. სწრაფად აირბინა საფეხურები და სახლის კარები გააღო. დაცარიელებულ ოთახიდან შემაქრეოლი სიცივე გამოვარდა. შეკრთა, ოთახის შუა გაჩერდა. ოთახი ჩვეულებრივად იყო მოწყობილი. ორი ბავშვის საწოლი იდგა, ერთი ცარიელი იყო, მეორეზე დახვეული საზაფხულო საბანი იდო, რომელსაც ის ძილის დროს იფარებდა. ცრემლები წასკდა. წაბარბაცდა, თითქოს ხელი ჰკრესო და მაგიდის გვერდით სკამზე დაეცა. სამარისებური სიჩუმე იდგა. სული რომ მოითქვა, საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია, იქიდან ფეხმოდრილი დედოფალა და რამდენიმე საბავშვო ილუსტრირებული ჟურნალი ამოიღო, რომლებსაც მისი ბავშვები კითხულობდნენ ხოლმე. შემდეგ დაწნულ კალათიდან ცოლის ჩინური კაბა ამოიღო, გულში ჩაიკრა და კოცნა დაუწყო. კაბას სუნამოს სასიამოვნო სურნელი ასდიოდა. ახლა უფრო მთელი სიმწეავით ეტკინა მას გული.

ბოლოს ჟურნალებიც და დედოფალაც კალათში ჩაჰყარა, დაკეტა. მაგიდას მიუჯდა და ხელში ფუნჯი აიღო. სახატავე ქალაღლის ფურცელზე გამოჩნდა იეროგლიფი „ძეგუან“.

უცებ ფუნჯი ხელში გაეყინა, ჩაფიქრდა.

— რით დავიწყო, რომელი სტილით დავწერო? — ეკითხებოდა თავის თავს, — პირველი პირით სჯობია თუ მეორეთი? ან იქნებ პიესის სახით სჯობდეს? არ ვიცი, როგორ დავიწყო ჩემი ცხოვრების აღწერა! — ფიქრები ეხლართებოდა ერთმანეთში. ხელებით საფეთქლებს ისრესდა, ცდილობდა მოეფიქრა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. უძილო ღამეებისაგან და ცოლ-შვილზე ფიქრით განაწამებს თავი აღარ ემორჩილებოდა. მაგრამ გრძნობა მაინც არ ღალატობდა. მეზობელ სახლიდან ფეხის ხმა გაისმა. მას მოეჩვენა თითქოს მისი ცოლი კიბეზე ამოდიოდა. სადღაც ბავშვმა იტირა, მან გაიფიქრა, რომ ეს მისი ვაჟი ტირის.

— სად არის ჩემი ცოლი? სად არიან ჩემი შვილები? რო-

გორ მინდა, რომ ისინი ფუკუოკაში მშვიდობით ჩავიდნენ, რომ გზაში არაფერი შეემთხვეთ... ეხ... დღეს მე არ შემიძლია მუშაობა... — მან ფუნჯი გვერდით გადასდო, ტანსაცმელი გაიხადა და მოწყვეტილი ლოგინში ჩაეცა. ცხენების ფრატუნის, მანქანების საყვირის ხმაური ისევ ჩაესმოდა ყურებში. ყვითელი ზღვა, ოქროსფერი ნიჟარები, ჩამოვარდნილი ბარტყი, „ძეგუან“, ცოლის სურნელოვანი კაბა, ბეატრიჩე, ბოლოს ერთმანეთში აირია. თვალები მილულა და ამ ორი დღის განმავლობაში ფიქრებით დაქანცულმა, განერვიულებულმა და განცდებით გადაღლილმა დროებით დავიწყებას მისცა ყველაფერი.

ჩუს ბავანის თვითმკვლელობა

რამდენიმე დღე გამუდმებით თოვდა, რის გამო მდინარის სანაპირო და უძიანპუს მიდამოები თეთრ სუდარაში გახვეულიყვნენ. მთები, ნიუჯუშანი და ბაიპიშანი ჩამავლ მხის სხივებს ამაყად გასცქეროდნენ.

არ ისმოდა ჩიტების ელურტული და არც ადამიანის ჩამიჩუმი. ომია და ახლომახლო სოფლის მოსახლეობა სადღაც გაქცეულა. საითაც არ უნდა გაიხედო ვერ შეამჩნევ კვამლსა და ვერც მამლის ყვილს გაიგონებ. ირგვლივ სათეთრეა. მხოლოდ შეუპოვარი იანძი და მზე ქათქათა თოვლს ტყვედ არ ჩავარდნიან.

მდინარე იანძის მქუხარე ტალღები ცოცხალ არსებასავით მოგრილებენ და გეჩვენებთ თითქოს ისინი ნაპირზე დაფენილ თოვლს დამაჯერებელი ხმით გასძახიან: „დიღხანს ვერ იზეიმებთ, რადგან მზე. მალე დაგიმორჩილებთ, დადნებით, ჩემთან მოხვალთ და თუმც თან ტალახს წამოიღებთ, მაგრამ მე მაინც მიგიღებთ. სანამ გვიან არ არის დამმორჩილდით! მოიხარეთ ქელი იჩქარეთ ჩემსკენ, რომ ერთად ვიმღეროთ ცხოვრების ჰიმნი“.

უცებ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ყრუ გუგუნის მოისმა, რომელიც რატომღაც ნაპირს დაძვერებულ ზღვის ტალღების გრგვინვას გაგონებდათ. თანდათან ხმაური გახშირდა, მოახლოვდა და მკაფიოდ მოისმა გაქანებული ცხენების ფლოქევების ხმა, რომელიც ნაპირს მოაწყდა და ოცდაშვიდი მხედარიც გამოჩნდა. ორთქლი თეთრ ნაკადად იფრქვეოდა ცხენების ნესტოებიდან და მხედრებს სახეზე ბოლქვბოლქვად ეფინებოდათ. რაზმს მუქნაცრისფერ ცხენზე მჯდომი, მალალი, ძალოვანი კაცი მიუძღოდა. თუმც დანარჩენი

ოცდაექვსი მას ვერ შეედრებოდა, მაგრამ ისინიც ჯმუხა ვაჟაკები იყვნენ.

მეომრები სხვადასხვა ფერის, რუხ, ნაცრისფერ, წაბლა ცხენებზე ისხდნენ, წვრილცხვირიანი ჩექმები, შავი ჩაფხუტი და ჯავშანი ეცვათ. მარჯვენა ხელში წითელფოჩებიანი შუბები ეჭირათ, მარცხენაში კი მზის საათის მაგვარი ბრინჯაოს ფარები ეკავათ, რომელზედაც ვეფხვის თავი იყო გამოკვეთილი. ყველაფერზე, გარდა ჩექმებისა ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლის კვალი ემჩნეოდათ. მთელი სისწრაფით მომავალი, ღონეგამოცლილი ცხენები ნაპირს დაძვრებული ტალღის მსგავსად. თავგზადაბნეულნი შეჩერდნენ და სხვადასხვა მიმართულებით მიმოეფინენ. შავად გამოწყობილი მხედრებიც მდინარის ნაპირს მოედვნენ. ისინი მრავალფეროვან ნიჭარას მოგაგონებდათ, რომლებსაც წყალი მიმოქცევის დროს ნაპირზე გამორიყავს ხოლმე.

მდინარესთან მოვარდნილი, ოფლში გაღვრალი, არაქათგამოცლილი მეომრებისა და ცხენების უმრავლესობა დაქრილნი იყვნენ: ერთნი მსუბუქად, მეორენი მძიმედ. მხედრისგან განთავისუფლებული, რამდენიმე ცხენი იმ წამსვე თოვლით გადაფენილ ქვებზე წამოწვა, მაგრამ არა ისე, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. არა, ეს ცხენები წამოწვნენ, რომ აღარასოდეს ამდგარიყვნენ. დაქრილები ზოგი ძირს წამოწოლილიყო, ზოგი კი შუბზე დაყრდნობილი ადგა. ერთ-ერთ მებრძოლმა ფარი და შუბი გადაადგო, ბარბაცით წყლის დასალევად მდინარისკენ გაემართა, პირქვე დაემხო. ადგომა ველარ შესძლო და ასე გვამივით გაუნძრევლად იწვა. რაზმის მეთაური, მაღალი წარმოსადეგი, თითქმის ორ მეტრიანი სიმაღლის ვაჟაკი, რომელიც ყველა დანარჩენებისაგან განსხვავდებოდა თავისი მხარბეკით, წყალს გაჰყურებდა, მისი ცხენი კი გაბოროტებული, იმის გამო რომ მდინარისაკენ გზა გადაუღობეს, ქვებზე ფეხებს შეუჩერებლივ აბაკუნებდა. ფრუტუნებდა და ნესტოებიდან თეთრი ორთქლი ამოსდიოდა. პატრონი ერთხანს მღუპარედ იდგა, შემდეგ შუბი ქვაზე მიაყუდა, ფარი და მუზარადი უნაგირზე ჩამოსდო, მას ხშირი შავი თმა ერთ კონად შეჰქუჩოდა, შავი წვერების ჩარჩოში

ნასმული გაფითრებულ სახეზე ორი მოზრდილი ქრილობა მოუჩანდა, საიდანაც წვერებზე შავი სისხლი ეღვენთებოდა. გარეგნობით 30 წლისას მიკავდა. ორბიტიდან ამოვარდნილი ჩასისხლიანებული თვალებით მან მრისხანედ ჯერ მდინარეს გადახედა, ხოლო შემდეგ თავის მეტბოლეს.

ყველა სდუმდა. სიჩუმეს მხოლოდ ცხენების ფრუტუნნი არღვევდა.

უეცრად ნიჩბების ხმაური გაისმა, შემკრთალმა გოლიათმა სელი მოვარაყებულ ხმალს წაავლო. ქარხნის მიმართულე-ბიდან არც თუ ისე დიდი ნავი მოსცურავდა, რომელსაც მენავის ტანისამოსში გამოწყობილი საშუალო ასაკის მამაკაცი მართავდა. მისი სახე და მოძრაობა ჩვეულებრივ მენავეს არაფრით მოკავდა. გაფითრებულ, ჩამომკვანარ სახეს, მაღალ შუბლიდან ჭკვიანური თვალები დაჰნათოდა.

მას ნავი ნაპირისაკენ მიჰყავდა და სწორედ გოლიათის მახლობლად შეაჩერა. მენავე მისალმების ნიშნად ნავზე აღიმართა, ხელები მკერდზე დაიკრიფა და წარმოსთქვა:

— დიღო მთავარო, თუ არა ვცდები, თქვენ აღმოსავლეთის ჩუს¹ გამგებელი ბრძანდებით, გთხოვთ საჩქაროდ ნავში ჩაჯდეთ, რადგანაც ვშიშობ, რომ მღევარი მალე აქ გაჩნდება.

გოლიათს, რომელსაც მენავემ დიდი მთავარი უწოდა. ნამდვილად ჩუს ბავანად² წოდებული სიან უი იყო. მას სახე დაეძაბა და აშკარა მღელვარება დაეტყო.

— ვინ ხარ? — ხმამალა შესძახა მენავეს.

— მე უძიანის ტინეანი³ გახლავართ. ჩემს გვარს შექდეგ მოგახსენებთ. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდიხანია გაიქცნენ. გუშინ საღამოს, როცა თქვენ ქალაქამდე მოაღწიეთ, სიბნელით ვისარგებლე, შევაკეთე, გავწმინდე ნავი და გიცდიდით. გთხოვთ აჩქარდეთ. დაყოვნება სახიფათოა.

ბავანი ყოყმანობდა, საერთოდ იგი ჯიუტი იყო, მაგრამ უკანასკნელი ბრძოლების მწარე გამოცდილებამ ძალზე

¹ აღმოსავლეთის ჩუს — ერთ-ერთი სამთავრო III ს. ჩვ. წელთაღრიცხვით.

² ბავანი — ერთპიროვნული მბრძანებელი.

³ ტინეანი — პოლიციის უფროსი.

ფრთხილი გახადა. სოფელ გაისტან¹ დამარცხების შემდეგ ის თითქმის ორი დღის განმავლობაში გარბოდა. ინლინის² მახლობლად გზას ასცდა. მოხუცმა გლეხმა, რომელიც მეგზურობას უწყევდა, მოატყუა და სიან უი უზარმაზარი ტბის პირას აღმოჩნდა, რომელზედაც გასვლა შეუძლებელი იყო. იქ, მტერი წამოეწია და გააფთრებულ ბრძოლის შემდეგ მის რაზმიდან ოცდარვა ცხენოსანი გადაჩჩა. მერე მან გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. ქალაქ დუნჩინთან³ კვლავ მტერს შეეფეთა და ბრძოლაში ორი მებრძოლი დაჰკარგა. სიან უი დაოხენილი ოცდაექვსი მებრძოლით დასავლეთისაკენ გაემართა, ქარბუქში ორი დღის ქენების შემდეგ სოფელ იანძინს მიაღწია. გზაზე უკაცრიელი სოფლები ხვდებოდათ. დაჭრილი, დაქანცული მებრძოლები იჭრებოდნენ სახლებში, რომ რამეთი დანაყრებულიყვნენ. ჩუს ბავანი ამჟამად განრისხებულიყო, არა იმდენად იმპერატორ ლიუ ბანზე, რაჲდენადაც მოხუც გლეხზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელნიც მის გამოჩენისთანავე გარბოდნენ.

ცა უდროო დროს მოიღრუბლა, სწორედ იმ წუთს, როცა იგი მტრის მიერ განადგურებული უკან იხევდა. სიან უი სიძულვილით ადვსილიყო ზეცისადმი: ილინელი მოხუცი და გულქვა მოსახლეობა ზეცის მიერ არის წარმოგზავნილი, რათა მას დაბრკოლება შეუქმნას. მდინარე და ტინყანიც ბარიერებია, ფიქრობდა იგი. მას თვალწინ ნათლად ესახებოდა მატყუარა მოხუცი გლეხის სახე და ნავში მჯდომი უძინანს ტიანყანი. ესეც ალბათ ლუ ბანის მზვერავია.

— ძალზე პატარა ხომ არ არის შენი ნავი?

— კი მაგრამ, მე მხოლოდ ამის შოვნა შევძელი ჩემი აზრით აქ ცხენი და ერთი ადამიანი თავისუფლად მოთავსდება.

„ექვი აღარ მეპარება, ეგ ნამდვილად შოლალატეა, მან იცის, რომ მე ცურვა არ ვიცი, ნავს შეაცურებს შუა მდინარეში და

1. გაისტა მდებარეობს ადრინდელ სამაზრო ქალაქ ლინზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

2. ინლინი მდებარეობს სამაზრო ქალაქ დინუანის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

3. დუნჩინი მდებარეობს დინუანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

იქ დამახრჩობს“. ფიქრობდა ჩუს ბავანი და მზად იყო ხმლით თავი წაეცალა ტინჯანისათვის. ხელის კუნთები, რომლითაც სატევზრს ჩასკიდებოდა, შეირხნეს, თითქოსდა ბრძანება მიიღესო, მაგრამ იმ წამსვე თავში გაუელვა: „დაევშვათ მოვკალი, შემდეგ? ჩვენ ჩრდილოეთელები ვართ, მე და არც ჩემმა მეომრებმა ცურვა არ ვიცით. ნუთუ აღსასრულის დღე დადგა?“ ბრძანება კუნთებისადმი და ეკვისადმი შეცვლილი იქნა, ნდობით—„არა, უფალი ჩემზე ძლიერია, მე არა მაქვს უფლება მის მოციქულს შევებრძოლო“ და მან ხმაღს ხელი შეუშვა.

— დიდებულ მთავარო, სასწრაფოდ ნავში ჩამოდით. — აჩქარებდა მენავე, რადგანაც ბავანს ყოყმანი შეატყო — არცერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება, ძიანდუნამდე¹ მივალწევთ, თუმც ის რაიონი დიდი არ არის, რამდენიმე ასეული მცხოვრებია, მაგრამ შესძლებენ ყველაფრით მოგამარაგონ, ხელახალი ბრძოლისათვის. აჩქარდით! მდევარი თუ გამოჩნდა, მაინც ვერ შესძლებს უნაეოდ მდინარის გადმოლაზვას. ბავანს გაეცინა. ერთი თვეა რაც მის სახეს ღიმილი არ მიჰკარებია. უკანასკნელ დროს ხალხისა და ზეცის სიძულვილმა აღავსო მისი სული, მაგრამ ამჟამად რატომღაც დაწყნარდა.

— მადლობელი ვარ შენი — გულთბილად უპასუხა მან და კვლავ ფიქრებში გაეხვია; „არა, რადგანაც ზეცამ ჩემი დალუპვა გადასწყვიტა, წინააღმდეგობა უნაყოფოა, აღარაფერი ეშველება. მას შემდეგ რაც მე და ბიძაჩემმა გუძის მოსახლეობა ავაჯანყეთ და რვა ათასი მებრძოლით იანძის აღმოსავლეთი ნაპირი გადავლახეთ, რვა წელი გავიდა. ვიბრძოდით, ვმონაწილეობდი სამოცდაათ შეტაკებაში და აი, აღარავინ შემრჩა, ყველანი დაიღუპნენ. ბიძა დინტაოსთან ბრძოლაში მოჰკლეს, მხოლოდ მე გადავრჩი და ახლა, ძიანდუნში დაბრუნებისას თანასოფლელებმა თანაგრძნობაც რომ გამიწიონ, რა თვალით უნდა შევხედო მათ?“

— ნუ ყოყმანობთ, დიდო მთავარო, — დაჟინებით ეუბნებოდა მენავე — მდევარმა რომ მოგისწროთ?!

¹ ძიანდუნი არის ქვემო იანძის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რაიონი.

— არა, არ შემიძლია!

სინ უიმ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და კვლავ ფიქრი განაგრძო: „აჯანყების დროს ყოველ მხრიდან გვაწყდებოდა ხალხი, თანაგვიგრძნობდნენ, გაგვაჩნდა ცხენები, საკმელი, მებრძოლები, ახლა ყველაფერი შეიცვალა, სადაც კი მივალთ, ყველა გაგვირბის, ხოლო ვინც რჩება, მოხუცებიც კი, ჩემს მოტყუებას ცდილობენ. ზეცას ჭეშმარიტად ბოროტება სურს ჩემთვის. მან მძიმედ ამოიოხრა და დამუშტული ხელებით ჰაერი გააპო.— მე ჯერ კიდევ ძლიერი ვარ და ნუთუ ახლა უნდა დავიღუპო?“ მას თვალები ცა მიაპყრო.—დიდ მთავარო, ნუღარ აყოვნებთ, უფალი გეხმარებათ, თქვენ გაუძელით ამდენ ბრძოლებსა და კვლავ ძლიერ ჯანმრთელი ხა.თ. განა ყოველივე ეს ზეცის წყალობა არ არის?

— არა, არა! — კვლავ თავი გაიქნია სიან უიმ — მე ვიცი, რომ შენ კარგი ადამიანი ხარ, ტინქან, მაგრამ რა თვალთ შევხედო ძიანდუნში მყოფ ჩემს თანამემამულეებს? იცი, რას ვეტყვი! — უეტრად წარმოსთქვა მან, როცა უძრავად მწოლი მეომარი დაინახა.—ეს ჯუნ ლი-მეია. წელს ქვემოთ არის დაჭრილი და მოძრაობა არ შეუძლიან. ჩემი სურვილია, რომ შენ სწორედ ის გადაარჩინო. — ორმა მებრძოლმა მომაკვდავი მაღლა ასწიეს და ჩაფხუტი მოხადეს. დაჭრილს სახეზე მიწისფერი ედო. ჯუნ ლი-მეი დუნჩენთან ბრძოლის დროს ცხენიდან გაღმოვარდა და ზურგი ძლიერ დაუზიანდა, შემდეგ ორი დღის ცხენით განუწყვეტელმა ჰენებამ ისე ატკინა წელი, რომ განძრევა აღარ შეეძლო.

— ტინქან აი, ამაზე — განაგრძო სიან უიმ და თავის მუქნაცრიფტერ ცხენზე მიუთითა; ხუთი წელი ვჯირითობდი, ძალზე შემეყვარდა. ამ ერთგული ცხოველის მოკვლა არ შემიძლია და გთხოვ, რომ ესეც გადაარჩინო. ამ დროს ჯუნ ლი-მეიმ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა და წამოიყვარა, რომ გადაარჩენას, ბავანთან ერთად სიკვდილი ურჩევნია. მავრამ მეთაურის ბრძანებით დაჭრილი ძალად ჩასვეს ნავში. შემდეგ სიან უიმ ცხენს რკინის ჩაჩქანი და თუჯის ფარი მოხსნა და ისიც ნაპირთან მიიყვანა.

— მიჩუქნია შენთვის ეს ცხენი, მხოლოდ გთხოვ, რომ ჯუნ ლი-პეი ძიანდუნში მიიყვანო.

მებრძოლებმა ცხენი ნავის შუა ადგილას მოათავსეს, ხოლო დაჭრილი კიჩოზე წამოაწვინეს. რჩებოდა კიდევ საკმაოდ ადგილი რამდენიმე კაცი საათვის. აჰ ხნის განმავლობაში უხმოდ მყოფმა ტიანჩინმა კვლავ სცადა სიან უის დაყოლიება.

— დიდო მთავარო, მე თქვენმა დიდსულოვნებამ აღმაფრთოვანა. ჩემის აზრით არ უნდა მიეცეთ მწარე ფიქრებს, რადგანაც არსებობს ხალხური თქმულება: „ღმერთი შორსაა და ხალხი კი ახლოს“. უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოინახოს ყველა გზა ადამიანებთან. თქვენ რომ ყოველთვის ასე დიდსულოვანი ყოფილიყავით, ჭეშმარიტად გეფიქრათ და მთელი ძალდონე მოგეხმარათ უბრალო ხალხის გადასარჩენად, რომელნიც მწუხარებისა და შიმშილისაგან იტანჯებიან, მაშინ არა მარტო ზეცა, არამედ მთელი ხალხი თქვენ მხარეზე იქნებოდა და ძიანდუნის მცხოვრებლებიც დაგეხმარებოდნენ. ჯერ კიდევ გვიან არ არის...

სწორედ ამ დროს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ყრუ გუგუნი მოისმა, სწორედ იმდღევარი, როგორც ბაჯანის მებრძოლთა მოახლოვებისას. სიან უის თვალის გუგები გაუფართოვდნენ. ხოლო დანაარჩენმა ოცდახუთმა მებრძოლმა ყურები დასცქვიტა. კიჩოზე მწოლ ჯუნ ლი-მეიმაც სცადა წამოდგომა, მაგრამ ვერ შესძლო.

— დიდო მთავარო, დაყოვნება აღარ შეიძლება, ნავში ჩაჯექით, სწრაფად! — აჩქარებდა ტინჯანი. სიან უის ენა არ დაუძრავს. მარცხენა ხელით უხმოდ აიღო ფარი. ოცდახუთი რაინდიც დაემორჩილა ბრძანებას. მათ თავიანთი ფარები სწრაფად მალა ასწიეს. ხმაური მოახლოვდა და ახლა შესაძლებელი გახდა ხალხის ყიყინისა და ცხენების ფეხის ხმის გარჩევა.

ყიყინა, ხმამალალი, უწესრიგო და უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სიან უის მხედრების მოახლოვების დროს. აქედან შეიძლებოდა გამოგეტანათ დასკვნა, რომ აქეთკენ ცხენებს რამდენიმე ასეული მხედარი მოაჰქენებდა.

სიან უიმ თვალები დააბრიალა და ქარქაშიდან ხმალი

ამოაძრო. ოცდახუთმა მხედარმა იგივე გაიმეორა. ოცდაექვსი მახვილი, რომელიც თავისი ცივი ელვარებით მეტოქეობას უწევდნენ თოვლს, დილის მზის სხივებზე კაშკაშა ცისარტყელებად ალაპლაპდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ხმაური ზვირთივით ნაპირს მოაწყდა და მის შესახვედრად, საბრძოლო ძახილით ოცდაექვსი მებრძოლიც დაიძრა. უეცრად, თითქოს ორი მძვინვარე ტალღა შეეჯახათ ერთმანეთს, ისე მიმოიფრქვია ირგვლივ სისხლის შხეფები. ტიანჯანმა ნავი ნაპირს მოაცილა, ღუზა ისრის გასროლის სიშორემდე ჩაუშვა, ყორნისფერ ცხენს შემოაჯდა, ბრძოლის მსვლელობას თვალყურის დევნება დაუწყო და კიჩოზე მჯდომ ჯუნ ლიმის უყვებოდა ყველაფერს, რასაც ხედავდა.

— აი, მტრის რიგებში შეიჭრნენ, ისე ვით ვეფხვები ცხერის ფარაში. ოი, მე ვხედავ როგორ ილუპებიათ ადამიანები და ცხენები, მტერი გაიშალა და ჩვენები კრახანას ხროვასავით ალყაში მოიქცია.

— სიან უის რა დამართა? სად არის? — ეკითხებოდა აღელვებული ჯუნ ლი-მეი.

— კარგად ვერ ვარჩევ, რადგანაც ცხენი ძიგძიგებს და ნავიც ქანაობს. ო, ცოცხალია, ცოცხალი. ყველაზე მედგრად იბრძვის, ჩაფხუტი გადაუგდია.

— და მერე ეგ სახიფათო არ არის?

— დიახ. ნამდვილი მეომარია, განუსაზღვრელია მისი ძალა, არც სხვები ჩამორჩებიან. ო, როგორი მოხერხებულნი, შეუპოვარნი და სწრაფები არიან. ოცდაექვსი კაცი ერთი ადამიანივით იბრძვის. ეს ხომ არაადამიანური ძალაა? ოჰო. ხალხი იეულიტება! რა მოხდა?

— სიანი, მთავარი სიანი, დაჭრილი ხომ არ არის?

— აჰა, მან ფარიც გადააგდო და ხელი ჩასკიდა მოწინა-აღმდეგეს, რომელიც ფარის მაგივრობას უწევს. მე ვხედავ თუ, კატის კნუტებივით, როგორ მიმოფანტა მტერი. დიახ. იგი უძლიერესი ადამიანია, ვერვინ ბედავს მასთან ორთაბრძოლას. სიან უის რაზმს მჭიდროთ აქვს ალყა შემორტყმული. მინდორი მკვდრებით და დაჭრილებითაა მოფენილი. აი, დაეცა შავ ჩაფხუტიანი მებრძოლი, მას მოყვა მეორე...

— სად არის ის? სად არის მთავარი სიანი?

— ცოცხალია, მხოლოდ თავში დაუჭრიათ და მთელი სახე დასისხლიანებია. ოპო, ცხენიდან ჩამოხტა, ხმალი დაუვარდა, ხელს კიდებს ცხენსა და ისვრის. მას რამდენიმე კაცილა შერჩა, ო... შავ ჩაფხუტიანი დაჭრილი მეომრები მიწაზე იბრძვიან, მტერს ფეხებს უჩეხავენ. ოპ, კიდევ რამდენიმე კაცი დაეცა.

— მთავარი სად არის? როგორ არის მთავარი სიანი?

— მარტო დარჩა. მტერს მოკლული ცხენები და ადამიანები დაუშინა. ირგვლივ მკვდორები და დაჭრილებია. ალყაში მოაქციეს, მაგრამ ახლოს მისვლის ეშინიათ. გაკვარცხებულნი უყურებენ, სინ უის სახე სისხლით შეღებია. ვაღაცას შუბი აართვა და მტერს რალაცას ეუბნება.

ოცი წუთი გასტანა ბრძოლამ, დაეცა მისი ოცდახუთი მებრძოლი. თვითონაც რამდენჯერმე დაიჭრა. სიან უი მიხვდა, რომ მოახლოვდა მისი ხანმოკლე, მაგრამ მღელვარე ცხოვრების დასასრული. სწორედ ამ დროს მან შეაშინია მოწინააღმდეგეს შორის მწვანე აბჯარში გამოწყობილი ისეთივე აწოვანი ვაეკაცი, როგორიც თვითონ იყო და შესქაპა:

— ეი, ლუი მა-ტუნ! მე გაჩუქე შენ ეგ ჩაფხუტი და ჯავშანი, რომელსაც ერთ დროს მე თვით ვატარებდი. ძველო მეგობარო, მიიღე ჩემგან უკანასკნელი საჩუქარი. გავიგე რომ ლუი ბანმა ჩემი თავი ძალიან ძვირად, ათიათას მანეთად შეაფასა. მე ბევრი სიკეთე მახსოვს შენგან და ამიტომ ჩემს თავს შენ გაჩუქებ.

სიან უიმ ეს სიტყვები ისე ხმამაღლა წარმოთქვა, რომ ნავში მყოფებმაც ნათლად და სიტყვა-სიტყვით გაიგონეს. ჯუნ ლი-მეი კბილებს აკრატუნებდა და ცრემლებს უხმოდ ყლაპავდა. ცხენზე მჯდომი ტინეანი კი კვლავ ნაპირს გასცქეროდა.

— ოი, ოი, მთავარმა სიანმა კისერი გამოილადრა და შავ ჩაფხუტიან მეომრებს შორის დაეცა. — წამოიყვირა ტინეანმა და სიმწრისაგან სახე მოეღრიცა, ველარ შესძლო ყურება, ცხენიდან ჩამოვიდა, ღუზა აუშვა და ნავი მდინარის შუაგულისაკენ შეაცურა.

როცა ხუანის მეომრები დარწმუნდნენ სიან უის სიკვდილში, ერთდროულად ადგილიდან მოწყდნენ ნადავლის ხელში ჩასაგდებად, ამ ჭაპანწყვეტაში, რამდენიმე კაცი გაისრისა. ისინი ვინც რაიმე იგდო ხელთ, მშვიერ ძაღლებს დამსგავსებოდნენ, რომელნიც ჩხუბის დროს ძვალს რომ იგდებენ ხელში უკან მიუხედავად გარბიან ხოლმე, რამდენიმე წუთის შემდეგ ჯგუფჯგუფად დაყოფილი მტრის რამდენიმე ასეული მეომარი თვალს მოეფარა.

ჭუჭყიან თოვლზე ეყარა შუბები, ხმლები და დასახიჩრებული მეომრები. ტინეანი კი კვლავ ნიჩბებს ამოძრავებდა, მაგრამ მიცურავდა არა მოპირდაპირე ნაპირისაკენ, არამედ იქითკენ სადაც ახლახან სისხლისღვრა დამთავრდა. ჯუნ ლი-მეი შეშფოთდა.

ტინეანმა ნავი ნაპირს მიაბა, ჯუნ ლი-მეის მახლობლად ჩამოჯდა და წარმოსთქვა:

— მამაცო ჯუნ ლი-მეი, სიმართლე უნდა გითხრა: მე აქაური სწავლული კაცი გახლავარ, როცა ტინეანი გაიქცა. თავი ტინეანად გამოვაცხადე და არა კეთილი განზრახვით მოვედი დღეს აქ.

აღშფოთებულმა დაქრილმა ხელი შუბს წაატანა.

— ცუდად ნუ გამიგებთ, — შეეცადა დაეწყნარებინა იგი მენავეს — მე ხუანის სახელმწიფოს მზვერავი არ გახლავარ. მოგეხსენებათ ალბათ, რომ ხალსი და განსაკუთრებით სწავლულები ცუდად არიან განწყობილი სიან უის მიმართ, რადგან თვითონ დაჰკარგა ჩვენი ნდობა. პირველად იგი სწორად მოქმედებდა. როცა დაჩაგრულმა ხალხმა გადასწყვიტა ცინსკის დინასტიის დესპოტიზმის განადგურება, ამ დროს სიან უი ემორჩილებოდა უბრალო ადამიანების ნება-სურვილს, ამიტომაც ისინი ეხმარებოდნენ მას, არ იშურებდნენ არაფერს. სიცოცხლესაც და არ გასულა ორი წელი, რომ ცინსკის დინასტია დაემხო. რა ძალამ გააკეთა ყოველივე ეს? თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ჩვენი დროის გამოჩენილი ადამიანის დამსახურებაა? დღეს გავხდით მოწმე იმისა, თუ რა მოელის გმირს, რომელიც განმარტოვდება. სიან უის ეგონა, რომ ელვისებური გამარჯვებები და ცინსკის დინასტიის დამხობა, მის ძლიერე-

ბის მეშვეობით მოხდა და ამიტომაც ხალხს აღარ აქცევდა-
ყურადღებას, მან სინანში გაანადგურა სასახლეები, გადარწ-
წიგნები და მშვიდობიან მოსახლეობის ქობახები. უკან და-
ბრუნებისას თან წამოიღო მრავალი ოქროულობა და წამო-
იყვანა ქალები.

ცინ ში-ხუანიც სწავდა წიგნებს, მაგრამ განა სიან უი
უკეთ მოიქცა? სინანში. ცოცხლად დამარბა ორასი ათასამდე
ტყვედ ჩავარდნილი მეომარი. დაუფრთხვით, რომ იგი ფქრობდა
თავი დაესღვია შემდგომი საფრთხისაგან, მაგრამ იგი ასევე
მოექცა თავის მოკავშირეებს, იგი ყველგან სწავდა სასახლე-
ებს, ქალაქებს. ტყვედ მიყავდა მოხუცი და ახალგაზრდა. ქა-
ლი და კაცი. განა ამისაგან არ იტანჯებოდა ხალხი? განა.
სიან უი უკეთ იქცეოდა, ცინ ში ხუანის ტირანიასზე, რომე-
ლიც გამოჩენილ სწავლულებს ცოცხლად მარხავდა? სიან
უიმ ცინსკის დინასტიის დამხობის შემდეგ მთელი ჩინეთი
ომში ჩააბა, მას სურდა დიქტატორობა, ამიტომ მოაკვლევინა
ჩუს მმართველი ხუან ვანა, ბრძანა თვალყური ედევნებინათ
ხანის მთავარზე. სჯეროდა ტყვედ ჩავარდნილ მტრის (უთა-
ურებისა და ექვიანობდა თავის თანამებრძოლებზე. თუ გუ-
შინდელი მტერი შერიგებას მოითხოვდა, იგი მათ ტიტულე-
ბით აჯილდოვებდა, ხოლო მეგობრებს ექვიანობის ნიადავზე
სახტიკად უსწორდებოდა. მაშ, ვინ ყოფილა ორი წლის მან-
ძილზე ხალხის განადგურებაში დამნაშავე? აი რატომ სძულ-
და ხალხს სიან უი, ცინ ში ხუანის მსგავსად. იცოდეთ, რომ
მთელი ხალხი მისი წინააღმდეგი იყო, შეიძლება, ითქვას, რომ
ჩვენ მუდამ მზად ვიყავით მოვხმარებოდით, ყველა იმას.
ვინც სიან უის კისრის მოგრებას დაუპირებდა და სიმართლე
თუ გნებავთ, მეც დღეს სწორედ იმ მიზნით მოვედი, რომ სიან
უი შუა მდინარეში გადამეგდო და მასთან ერთად საიქიოში
გაემგზავრებულიყავი, თქვენ შეგიძლიათ, ამისათვის მომკლათ,
მაგრამ მე სიკვდილის არ მეშინია.

ტინჯანი დადუმდა. უცდიდაჯუნ ლი-მეის გადაწყვეტილე-
ბას, მაგრამ დაქრილი თავჩალუხული იჯდა.

მენავემ კვლავ განაგრძო.

— თუ ვიმსჯელებთ იმით, რაც დღეს აქ ვნახე, შეიძლება

ითქვას, რომ მთავარი სიანი კეთილშობილი ადამიანი ყოფი-
ლა და ჩემი აღრინდელი გადაწყვეტილება იმ წამსვე შეიცვა-
ლა სურვილით, გადაწყვიტა იგი ძიანდუნში. არ მოკლოდი,
რომ ასე უჭკოდ, დაასრულებდა სიცოცხლეს. ამის მიზეზი,
მაპატიეთ პირდაპირობა, გაუხათლებლობა იყო. გაუხათლე-
ლი და გამოუცდელი ადამიანი თუ კი ქვეყნის მართვას გა-
ნიზრახავს, უეჭველად გაუცრუვდება იმედი, სამწუხაროა, რომ
მისი ბიძა სინ ლიანი აღრე გარდაიცვალა. მის შემდეგ არავინ
აღმოჩნდა სიან უის ქკუის დამრიგებელი. სწორედ ამ გარე-
მოებამ ვნება მიაყენა თვით მას, ხალხსა და მთელ ჩინეთს.
ბიძა მისი აღრე რომ არ მომკვდარიყო, მშვიდობა ამ ქვეყნად
დიდხნის წინ დამყარდებოდა. საზარელია სიან უის მიერ
ჩადენილი დანაშაულის მოსმენა, მაგრამ უფრო საშინელია
ის, რომ მისმა უწესობამ შეარყია ჩვენი ქვეყნის მორალური
საფუძველი: შესაძლებელია ასი წლის შემდეგ ხალხი მომ-
რავლდეს, მაგრამ ვშიშობ, რომ ათასი წლის შემდეგაც ვერ
შევძლებთ, კულტურისა და ხელოვნების მიმართ მიყენებუ-
ლი ზარალის ანაზღაურებას. ციან ში-ხუანი, ზოგიერთ ადა-
მიანების წიგნებს სწვავდა, ჩუს ბავანი კი ცეცხლს აძლევდა
საბუთებსაც კი, რომელიც ცინსკის დინასტიის შემდეგ გა-
დარჩა. თქვენ კარგად გახსოვო ალბათ, რომ ციან ში-ხუანის
სასახლე სამი თვის განმავლობაში იწვოდა. დაფიქრდით.
რამდენი წიგნი განადგურდებოდა?

ტიანეანი რამდენიმე ხანს გაჩუმდა. ჯუნ ლი-მეისაც კვლავ
უხმოდ დაეხარა ძირს თავი.

— მაგრამ, დღეს გული ამიჩუყა ბავანის ყურადღებამ
თავის ცხენისადმი და თქვენდამი, მამაცი ჯუნ ლი-მეი, განა,
ბევრი მოინახება ისეთი ადამიანი, რომელიც სიკვდილის
უფსკრულთან მდგომი დაივიწყებს თავის თავს და იზრუნებს
სხვაზე? ყველასათვის ცნობილია, რომ როდესაც ხანის გამ-
გებელ ლუი ბანს გაქცევის დროს საშიშროება ემუქრებოდა,
ეტლიდან თავისი შვილების გადაყრა დააპირა. ეგ დამახასია-
თებელია ბოროტი ადამიანისათვის. სიან უი, ლუი ბანზე პა-
ტიოსანი იყო, მას რომ თავისი კეთილშობილება განევრცო
ყველაზე, მაშინ მის სიცოცხლეს, დღევანდელი ბედისწერა

არ ეწერებოდა, მაგრამ ის ამას ვერ ხედებოდა, მას ეგონა, რომ ზეცას სურდა მისი დაღუპვა. განა შეიძლება ზეცის გამტყუნება, როცა თვით სცდებოდა? ზეცა ხომ უტყვია. მდაბიო ხალხი ამბობს: „თუ კაცი თავის „მე“-ზე ფიქრობს და არა ხალხზე, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებსო“. სიან უის მაგალითი ყველასათვის ჭკუისსასწავლებელია. — ჯუნ ლი-მეიმ გაპირვებით წამოიწია და აცრემლებული თვალები-ცას მიაპყრო.

— მთავარო სიან, მთავარო სიან! ეს ჩვენ, გაუნათლებელმა მეომრებმა დაგლუპეთ შენ, მივაყენეთ ზიანი, ხალხსა და ქვეყანას! ჩინეთი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ვეღარ გაიმართება წელში, ეს ხომ უდიდესი ბოროტებაა? ჩვენ უფრო დავიმსახურეთ სიკვდილი, ვიდრე ცინ შუ-ხუანმა. მთავარო სიან, დამიცადე.—დაჭრილმა უკანასკნელი ძაღლონე შოიკარიფა, ქარქაშიდან ხმალი ამოაძრო, მაგრამ ტინჯანმა ხელი გაუკავა.

— მამაცო ჯუნ ლი-მეი, თვითმკვლელობით არ უნდა დაასრულოთ სიცოცხლე. ყველაზე საშინელი ისაა, როცა ადამიანს არ ესმის, მაგრამ როცა გაიგებს, მისი გადარჩენა ადვილია. მომისმინეთ; თქვენ სამხედრო ხართ, მე კი სწავლული. არსებობს ადამიანისათვის მხოლოდ ერთად-ერთი სწორი გზა, უარყო პირადი ინტერესები და კეთილი გაუკეთო სხვას, ამით შენს ადამიანობას აამაღლებ. თქვენ თავის მოკვლა გადაწყვიტეთ, მაგრამ რა სარგებლობას მოუტანს ეგ ადამიანებს? თუ ნამდვილად ვაჟკაცი ხარ, ეცადე ხალხს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა აღმოუჩინო. თვითმკვლელობა არასდროს არ არის გვიან, მხოლოდ საჭიროა, რომ სიკვდილიც. რაიმე საქმეს ემსახუროს. ყველაზე პატიოსანი გზა ადამიანისათვის ის არის, რომ დაეხმაროს ქვეყანას, გაპირვებულთ და მზად იყოს ხალხისათვის თავი გასწიროს. ჩემი სახელი აქვეა, ამიტომ შემოვაბრუნე ნავი, წაგიყვანთ და გიწამლებთ, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ თქვენი ვალის მოხდა შესძლოთ. ჩვენ ჯერ კიდევ საშიშროება მოგველის, დასავლეთელი ბუნები ჩვენ განადგურებას აპირებენ, სწორედ ახლა სჭირდება ხალხს ისეთი მეზობელი, რომელიც სამშობ-

ლოს გადარჩენისათვის სიკვდილს არაფრად ჩააგდებს. თქვენ დიდი პასუხისმგებლობა გენიჭებათ და ამიტომ კარგად უნდა დაფიქრდეთ. დამიჯერეთ, ჩემის აზრით სწორედ დაუფიქრებლობა იყო მთავარ სიანის უკანასკნელი შეცდომა. არ ეშინოდა სიკვდილისა და ეგონა, რომ სწორედ სიკვდილი მოუტანდა გმირის სახელს. მას მხოლოდ თავისი „მე“ ახსოვდა: არ ადარდებდა, ხალხი, ჩინეთი... და თქვენ არა გაქვთ უფლება მის გზას დაადგეთ.

ჯუნ ლი-მეიმ ხელები მათრახივით ჩამოიქნია და თავი კვლავ დაბლა დახარა. ტინქანმა სატევარი გამოართვა, ქარქაშში ჩაუღო და დაყვავებით მიმართა:

—ხანის ჯარი უკვე შორსაა, სახლისაკენ გავემართოთ! წარმოსთქვა ეს და ცხენი ნაპირზე გადაიყვანა, რომელიც მთელი ბრძოლის განმავლობაში ცახცახებდა. შემდეგ დაჭრილი მოიკიდა მხარზე და დიდი ვაი-ვაგლახით ცაენზე შესვა.

სწავლულმა თავის სახელი არც დაჭრილს გაუმხილა, ხელი ჩასჭიდა ცხენს და ხელში მისი შუბი და ფარი დაიკავა. ამგვარად მათ გადალახეს სისხლში ამოვლებული გვამები და ნამდვილ ადამიანთა გზას დაადგნენ.

მზე მალლიდან დაჰყურებდა დედამიწას, რომლის პეიზაჟი თითქმის იგივე იყო, რაც ბრძოლის წინ. თუ არ ჩავთვლით აქეთ-იქით უწყესოდ მიმოფანტულ სისხლიან გვამებს. მზე აცხუნებდა, მაგრამ თოვლი კვლავინდებურად წინააღმდეგობას უწყევდა მის სხივებს. იანძის ტალღები ადრინდელივით რჩევა-დარიგებას აძლევდნენ თეთრ თოვლს: „დიდხანს ვერ იზეიმებთ, რადგან მზე მალე დაგიმორჩილებთ, დადნებით, ჩენთან მოხვალთ, თუმც თან ტალახს წამოიღებთ, მაგრამ მე მაინც მიგიღებთ. სანამ გვიან არ არის დამმორჩილდით! მოიხარეთ ქედი! იჩქარეთ ჩემსკენ, რომ ერთად ვიმღეროთ ცხოვრების ჰიმნი“.

სწავლულის მიერ მიტოვებული ნავი კი თითქოს ინძის ბრძანებას დაემორჩილაო, მდინარის ტალღებზე რიტმიულად ირწყოდა.

სიმა ციანის რისხვა

ეს მოხდა ტიან-ხანის ერის მეოთხე წლის იანვარში, ხანის იმპერატორის უ-დის¹ დროს. ერთხელ, როცა სიმა ციანი, თავის კაბინეტში ჭილობზე იჯდა და მუშაობაში იყო გართული, ამთავრებდა უკანასკნელ, ავტობიოგრაფიულ თავს „შიძის“², შევიდა მისი შვილიშვილი იან ხუეი, თოთხმეტი წლის ბიჭი, და თავდაკვრით მოახსენა:

— ბატონი ენ შაო-ცინი გეახლათ.

სიმა ციანმა თავი ასწია და წარმოსთქვა:

— შემოვიდეს.

ბაღრი მთვარესავით სავსე სახით სიმა ციანი შუახნის ქალს ჰგავდა და ხმაც ქალისა ჰქონდა.

სანამ სიმა ციანს წესრიგში მოჰყავდა თავისი ჩანაწერები, იან ხუეიმ შემოიყვანა საშუალო ტანის, სქელი, დიდმუცლიანი კაცი, რომელსაც გაქუცული უღვაშები აქეთ-იქით კუდებივით ეკიდა. ეს ღიპიანი გახლდათ სწორედ ენ შაო-ცინი — იჯოუს ოლქის განმგებელი. იმ დროს პროვინციელი ჩინოვნიკები ვალდებული იყვნენ ყოველ იანვარს სასახლეში გამოცხადებულყვნენ. და ენ შაო-ცინიც ანლახან ჩამოსულიყო სანიანში³ სიჩუანიდან.

¹ ჩინელი იმპერატორების მმართველობის წლები, დაწყებული უ-დიდან, იყოფოდა რამდენიმე ერად, რომელთაგან თვითეული აღინიშნებოდა საკუთარი დღეიზით. იმპერატორი უ-დი მართავდა ჩვენს ერამდე 140-დან 86 წლებში, ტიან-ხანის ერა მოიცავდა პერიოდს ჩვენს ერამდე 100-დან 97 წლამდე. ამგვარად, ტიან-ხანის ერის მეოთხე წელი შოლის ჩვენს ერამდე 97 წელს.

² „შიძი“ — სიმა ციანის „ისტორიული ჩანაწერები“ (145 — 86 წწ. ჩვენს ერამდე). სიმა ციანი იყო ხანის დინასტიის დროის გამოჩენილი ჩინელი ისტორიკოსი.

³ სანიანი — ხანის იმპერიის სატახტო ქალაქი.

სიმა ციანი წამოიძარტა მის შესახვედრად და ორივემ, ნიშნად მისალმებისა მკლავებგადაჭდობილთ, ოღნავ დაუკრეს თავი ერთმანეთს.

— როდის ჩამოხვედი დედაქალაქში, შაო-ცინ?

— ეს წუთია, და არც დამისვენია, პირდაპირ შენსკენ გამოვეშურე, — სტუმარი ოღნავ ცხვირში ღუღღუნებდა. — შენი უღვაშები სადღაა, ძი-ჩან? ¹

— უღვაშები? ჰმ... — სიმა ციანი შეიშმუშნა და გაჩუმდა.

— მე მახსოვს, რომ შენ ჩემზე ორი წლით უფროსი ხარ. მე ახლა ორმოცდა შვიდისა ვარ, შენ კი, ალბათ უკვე ორმოცდა ცხრისა, არა?

— დიახ!

— მაგრამ შენ ვერ მოგცემს კაცი ოცდაათზე მეტს. წინათ შენ ატარებდი გრძელ წვერსა და უღვაშებს და გამხდარიც იყავი. ახლა გათეთრებულხარ და გასქელებულხარ. შენ რომ გიცქერი ძალაუნებურად მაგონდება ანდაზა: „კარგი ცხოვრებით ადამიანი ფუვედბაო“. კარგად ეცხოვრება ხალხს მეფის კარზე! შენ კი ხმაც შეგცვლია, ძი-ჩან! სასახლის ქალები, ალბათ, წყალობას არ გაკლებენ, ჰა? ხა-ხა-ხა!

შეუსვენებლივ მოლაყბე ყენ შაო-ცინს აზრადაც არ მოსვლია, რომ ყოველი შისი სიტყვა ლახვარივით ესობოდა სიმა ციანის ისედაც დაწყლულეზულ გულს. სიმა ციანს წინათაც არ უყვარდა ეს თავისი მეგობარი — ჩინუშუ, ახლა კი სიძულვილი მის მიმართ უფრო გაუღვივდა.

— დაჯექი, გეთაყვა, წავისაუბროთ.

ტიან-ხანის ² ერის მეორე წლის ზაფხულში, როცა სიმა ციანი ორმოცდა შვიდი წლისა იყო, დედას, სპასალარ ლი ლინისას, რომელმაც ბრძოლა წააგო ჰუნებთან და მოწყალედ დანებდა გამარჯვებულს, სიკვდილი მიუსაჯეს. სიმა ციანი მხურვალედ გამოესარჩლა მას იმპერატორის წინაშე. მან განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ლი ლინმა ეს ჩაიდინა ტაქ-

1. ძი-ჩან — სიმა ციანის მეორე სახელი.

2 ანუ ჩვენს ერამდე 99 წელს.

ტიკური მოსახრებებითო. ამით მან თავზე დაიტეხა იმპერატორის ~~სისხვა~~ და თვითონ მოხედა საპყრობილეში, სადაც ექვსი თვის პატიმრობის შემდეგ, შემდგომი წლის იანვარში, სასახლის კანონების თანახმად დასაჯეს — დაასაჭურისეს.

მაგრამ იმავე წლის მარტში, როცა იმპერატორი აპირებდა ტაიშანის¹ მთისკენ გამგზავრებას, რათა ციურა ღმერთებისა და მიწის სულებისათვის მსხვერპლი შეეწირა, მას დასჭირდა ლიტერატურული ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც მის ნაღვაწს განაღებდა და მისი არჩევანი წილად ხედა სიმა ციანს, რომელიც ამრიგად აღზევდა და დაინიშნა „ჯუნშულინად“, — იმპერატორის კანცელარიის მმართველად. ამ დროისათვის ეს თანამდებობა ძალიან საპატიოდ ითვლებოდა. იმპერატორის ედიქტში ჩაწერილი იყო: „ნება ეძლევა მას ისარგებლოს უძველესი წიგნებით, ნებისმიერ დროს შევიდეს მოხსენებით იმპერატორთან. ხელფასი დაენიშნოს ათასი დანი² ხორბლით“. თქმა არ უნდა, რომ ასეთი ყურადღება დასჯილი სიმა ციანის მიმართ აიხსნებოდა არა მარტო მისი ტალანტის აღიარებით, არამედ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზითაც: სიმა ციანი საჭურისი იყო. ხოლო იმპერატორს ცოტა როდი ყავდა ცოლები, ხასები და, სიმა ციანის ადგილზე რომ სხვა ყოფილიყო, სიმა ციანივით ნიჭით ცხებული და ამავე დროს სრულფასოვანი მამაკაცი — განა ეს იმპერატორისათვის მუდმივი მოუსვენრობის საბაზი არ იქნებოდა?

ასე განდიდდა სიმა ციანი თავისი უბედურების წყალობით. ჰდრე, როცა ეშინოდათ, რომ რაიმე უსიამოვნებას არ გადაჰყროდნენ, ნათესაებმა და მეგობრებმა, სიმა ციანს, საპყრობილეში ჩაგდებულსა და კაცობა დაკარგულს, ზურგი შეაქციეს და მის ოჯახსაც ჭირიანებივით ერიდებოდნენ. ახლა კი, როცა სიმა ციანმა ესდენ მაღალი თანამდებობა დაიკავა, ყველა მათ განსაკუთრებული გულმოდგინებით დაიწყეს მისი ყურადღების დამსახურებისათვის ბრძოლა. ისინი ამტ-

¹ ტაიშანი — ჩინეთის ხუთი ყველაზე უდიდესი მთიდან ერთ-ერთი. მდებარეობს შანდუნის პროვინციის ტერიტორიაზე.

² დანი — საწყაო. დაახლოებით ერთი ჰექტოლიტრის ტოლი.

კიცებდნენ, რომ „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ სხვები, უკვე უარს არ ეტყოდნენ, რომ მათაც იმავე ფასად გაეკეთებინათ კარიერა. ამ ადამიანებს იმედი ჰქონდათ, რომ სიმა ციანის ხელქვეით იმუშავებდნენ, და სიმა ციანი უშუამდგომლებდა მათ იმპერატორის წინაშე. მაგრამ სიმა ციანი ამ ამბავს სულ სხვანაირად უყურებდა. მიიღო რა მაღალი თანამდებობა საჭურისობის წყალობით, იგი ორმაგად შერცხვენილად თვლიდა თავს. ხოლო მეგობრების ქცევამ, რომლებიც ასეთი ფარისევლნი აღმოჩნდნენ, კიდევ უფრო აღაგზნო მისი რისხვა ადამიანის გამოუსწორებელი სიმდაბლისადმი. როგორადაც არ ცდილობდა ის, დაევიწყებინა თავისი შერცხვენა და დამშვიდებულებაც, რაღაცა ყოველთვის მაინც აგონებდა ამას და პირველ ყოვლისა — ორგანიზმში მომხდარი ცვლილებები დასაჭურისების შემდეგ: სიმა ციანი გასუქდა, ხმა დაუწვრილდა, ლამაზი წვერი და უღვაშები, რომლითაც წინათ ამაყობდა, თანდათან გასცივიდა. ვაჟკაცი კაცი გადაიქცა ქალურ არსებად.

შაო-ციანი სიმა ციანის პირდაპირ ჩამოჯდა, მაგრამ უცებ, თითქოს რაღაცა გაახსენდაო, თავიანთი სცა.

— ო, სრულიად დამავეიწყდა, სულით და გულით გილოცავ მაღალ თანამდებობას, ჩვენო დილო ჯუნშულინ!

სიმა ციანის დაჭრილ გულს კიდევ ერთი ისარი მოხვდა.

— ჩვენ, შენი მეგობრები, ვამაყობთ შენი განდიდებით, მე შესაძლებლობა არ მქონდა მენახე შარშან იანვარში, როცა დელაქალაქში ჩამოვედი, მაშინ ხომ შენ ჯერ კიდევ სასჯელს იხდიდი. მას შემდეგ მხოლოდ ერთი წელიწადი გავიდა და შენ კი ასე ამალღდი!

ამ სიტყვებმა სიმა ციანს რისხვა გაუღვიძეს. ცხადია, ისინი ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს შარშან, როცა სიმა ციანი სასჯელს იხდიდა სატუსალოში, მაგრამ ენ შაო-ცინმა ხომ სიმა ციანის შვილების ნახვაც კი არ ინება.

— თუ შენში კიდევ დარჩა ჩემდამი მეგობრული გრძნობის ნატამალი მაინც, ნურასოდეს ნუ გამახსენებ წარსულს, — წარმოსთქვა სიმა ციანმა. — მე დამსაჯეს სასახლის კანონით და ამის შემდეგ გავხდი ჯუნშულინად. ნუთუ შენ ამას თვლა

იმპერატორის კეთილგანწყობილებად? კმ, ისტორიაში პირველად ვლინდება კეთილგანწყობილება ამნაირად. გესმის შენ, რომ ეს სიკეთე მე დავიმსახურე მხოლოდ ჩემი დასახიჩრების წყალობით?

სიმა ციანის წყრომით განცვიფრებულმა ენ შაო-ცინმა ნაჩქარევად გააქნია თავი.

— უფროსო ძმაო, რას ამბობ? მაგ სიტყვებისათვის ხომ... ხომ იცი, კედლებსაც ყური აქვთ.

— ეხ, შაო-ცინ, — გაიღიმა სიმა ციანმა, — არა ღირს ასე შეშინებად. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მე აღარ მიფიქრია სიცოცხლესა და სიკვდილზე, მე მზადა ვარ მოვკვდე ყოველ წუთს, მხოლოდ ერთი რამ მაძარდებს — აი ეს წიგნი „შიძი“, რომელსაც ვწერ! — და მან მიუთითა გრაგნილების გროვაზე, რომლებიც მთელ ოთახში იყო მიმობნეული. იქნებოდა ასზე მეტი. — მე ვწერ ამ წიგნს ათა წელია. საპყრობილეში ჩაჯდომამდე სათანადო გულმოდგინებით არ ვმუშაობდი, მაგრამ უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე, დილეგში თუ გარეთ, წესრიგში მოვიყვანე ყველა ჩემი ჩანაწერი. ახლა უკვე სანახევროდ მზადა მაქვს წიგნის უკანასკნელი თავი — ჩემი ცხოვრების აღწერა. აი სარჩევი.

ამ სიტყვებით სიმა ციანმა აიღო ერთ-ერთი გრაგნილი და გაშალა.

— უცქირე, სულ იქნება-თორმეტი ბენძი, ათი ბიაო, რვა შუ, ოცდაათი შიძია, სამოცდაათი ლეჯუანი¹. ქებას არ ესაქიროებ, მაგრამ მაინც შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ნაწარმოებში, ისევე როგორც წიგნში „ჩუნციუ“,² სამართლიანი მოწონებულია და უღირსი დაგმობილი, მაგრამ ჩემი გადმო-

¹ აქ ჩამოთვლილია სიმა ციანის „ისტორიული ჩანაწერების“ განყოფილებები: ბენცი — მოვლენათა ქრონიკა, დალაგებული იმპერატორთა მმართველობის წელთა მიხედვით; ბიაო — ქრონოლოგიური ცხრილები; შუ — განყოფილებები, რომლებიც იძლევიან ზნეობის, ადამიანების, მეცნიერების, მუსიკის გაგებას, ჩამოთვლიან გადასახადებს, რიტუალებს და ა. შ. შიძია — დიდგვაროვან თავდათა შთამომავლობის ისტორიები; ლეჯუანი — დიდი ადამიანების ბიოგრაფიები.

² „ჩუნციუ“ („გაზაფხული და შემოდგომა“) — ლუს სათავადოს მატთანე, შედგენილი კონფუციის მიერ.

ცემა უფრო ნათელი და გასაგებია. ეს ნაშრომი მუდამ იცოცხლებს. ძალაუფლების მქონეთ ფიზიკურად შეუძლიათ გამანადგურონ, მაგრამ ჩემს სულიერ ქმნილებას კი ვერ მოსპობენ. მე მსურს მათთან ორთაბრძოლაში ჩავება. და იმასაც ვნახავთ, ვის ელის უკვდავება, ვისი ავტორიტეტი და ზეგავლენა აღმოჩნდება უფრო ძლიერი, ვინ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს მომავალ თაობებს. უგუნურთ, მუცლით მხოხავთ ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, ვძულვართ ჩვენ ლიტერატორები. მე კი მინდა ვაგრძნობინო მათ, თუ რა ნიშნავს იყო მწერალი!

ამ წიგნშია ჩაქსოვილი, ჩემი სული, ჩემი სისხლი და ხორცი, მთელი ჩემი სიცოცხლე. აქ ხორცშესხმულია ყოველივე კარგი, რაც იყო ჩინეთის მმართველობაში, რელიგიაში, რიტუალებში, მუსიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ჩვენს ქვეყნის კანონებსა და მოქალაქეებს შორის, რაც ის არსებობს. მე შეიძლება ყოველ წუთს მომკლან, ნაკუწ-ნაკუწ დამგლიჯონ, მაგრამ მწამს — ჩემი სული უკვდავია. სიცილად არ მყოფნის ამ ქვეყნიური ძლიერება. ხა-ხა-ხა... ჩემი სიცილი გაანადგურებს მათ!

— დიახ, დიახ, დიახ, — თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა სიმა ციანის გაცხარებით დარეტიანებული ჟენ შაო-ციანი მაგრამ ნათელი იყო, რომ ის უფრო ამჯობინებდა მის გაკიცხვას, ვიდრე მსგავსი სიტყვების მოწონებას.

— აი ესენი „მოხეტიალე რაინდთა ბიოგრაფიები“ და „მდიდართა ბიოგრაფიები“ ჩემი უკანასკნელი ნაშრომებია და მე კმაყოფილი ვარ მით, — განაგრძობდა სიმა ციანი. — მე ხოტბას ვასხამ მოხეტიალე რაინდებს, ვუმღერი ჯუ ძია-ს და გო ძე-ს, რომლებიც სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ და გაჭირვების ჟამს შველოდნენ სხვებს. განა ექნებოდათ ადგილი დედამიწაზე ტირანებს, ყველა ადამიანი რომ ასეთი იყოს? არა, ეს იქნებოდა არაბუნებრივი! და რას წარმოადგენს თავად ტირანი? ტირანი ქედს იხრის სიმდიდრის წინაშე და მსხვერპლად აწირავს ადამიანების სიცოცხლეს. შენ, ალბათ, განსოვს უ ში-ლოს და ქვრივი ბას ისტორია, — ისინი ცხოვრობდნენ ცინ ში-ხუანის ეპოქაში. უ ში-ლო ოდესღაც და-

ტაკი იყო, არაფერი ებადა. იგი გაგზავნეს დიდ კედელთან სასახლერო სამსახურში. მას ესმოდა ვაჭრობის საქმე და დაიწყო ჩინური აბრეშუმის ნაწარმის გადაცვლა ძროხებსა და ცხვრებზე ჰუნებთან. ჰუნები ერეკებოდნენ მასთან აურაცხელ ჯოგებს, და ის გამდიდრდა. ბებერმა გაიძვერა ცინ ში-ხუანმა კი, ეს რომ გაიგო დაიწყო მის წინაშე ლაქუცი და თავისთან სატახტოში მოიწვია.

ქერივი ბა — დიდგვაროვანი წარმოშობისა არ იყო, გამდიდრდა სინგურის მოპოვებით. ხოლო, როგორც კი გაუჩნდა ფული, მაშინვე, რა თქმა უნდა, გამოჩნდა ქერივი მამაკაციც, რომელმაც თავისი ხელი შესთავაზა. და უსირცხვილო იმპერატორი ცინ ში-ხუანი, მაშინ ფეხებს რომ ძლივს ითრევდა, დაუყოვნებლივ პირადად ეახლა სააშოკოდ, თუმცა ბა ქერივი იყო. იგი ხოტბას ასხამდა მას როგორც „უბიწო“ ქალს და „ქალთა ქველმოქმედების გოდოლიც“ კი ააგო მის პატივსაცემად. აი ისინი — ტირანები! ეშმაკმა დალახვროს! დაწვა წიგნები და ქედი მოიდრიკო ძროხებისა და ცხვრების წინაშე, თავს ლაფი დაასხა სწავლულთ და ნეტრიტის სარტყელი¹ უბოძო მდიდარ ქერივს — აი, რის მაქნისები არიან ტირანები... ხა-ხა-ხა! მე ღვარძლიანად დავცინი მათ ჩემს შრომაში. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ხალხი ამ ქვეყნად უმეცარი დარჩეს. მე მსურს, რომ ყველა მდიდარი იყოს. გულახდილად გეტყვი, შაო-ცინ: მე რომ მდიდარი ვიყო და ისეთი მეგობრები მყავდეს, როგორიც ჩაინდები ჯუ ძია და გო ძე იყვნენ, ვერავინ ვერ გამიბედავდა ასე დასჯას, ხოლო ჯუნშულინის ბილწ წოდებაზე გაგონებაც კი არ მენდომებოდა. მწერლები, რომ ისევე მდიდრები ყოფილიყვნენ, როგორც უ ში-ლო ან ქერივი ბა იყო, ტირანები თავისი ნებით დაიწყებდნენ მათს წინაშე საკუთარი თავის კოდვას და მუცელზე ხოხვას.

ვინ დაუშვებდა მწერლისათვის კაცობა წაერთმიათ და

¹ ნეტრიტის სარტყელი — განსაკუთრებული კეთილგანწყობილების სიმბოლო. ქერივისთვის ნეტრიტის სარტყელის ბოქებით, იმპერატორს იგი თავისი ხარკის მდგომარეობაზე აპყავდა, თუმცა მორალით მას გარდაცვლილი ქმრის ერთგულება მართებდა.

აქმულებინათ ტირანს ემსახურეო? რაში მჭირდება მე ეს ჩინი? ხომ არ გგონია, რომ რაკი სამუდამოდ უნაყოფო ვიქმენ დავეკმაყოფილდები შრომით, რომელიც აგრეთვე უქმია, ამოკლილი აქვს ცოცხალი სული?

ერთადერთი ნატვრა მაქვს — დავამთავრო ჩემი წიგნი. ვიდრე ეს დასრულებული არ არის, მზადა ვარ ავიტანო სირცხვილიც და დამცირობაც. მე ამას შენ გეუბნები გულახდილად, — შენ ჩემი მეგობარი ხარ და არაფერი მაქვს შენთან მოსატყუარი.

ყენ შაო-ცინი, ვითომ თანახმა ვარო, უწინდებურად გაურკვეველად აკანტურებდა თავს. ისმენდა რა მრისხანე მხილებას, რომელიც ნიაღვარივით მოსკდა მოსაუბრის ბაგეთაგან ამა ქვეყნის ძლიერთა მისამართით, მან ჯერ გაიფიქრა, მე ხომ არ ვყავარ მხედველობაშიო, რადგან თვითონაც არა ერთხელ დაუმცირებია თავი სიჩუანში ქალაქ ჩენდუს მდიდრების ჯო და ჩენ-ის წინაშე. იგი საგანგებოდაც კი გაემგზავრა ქვრივი ბას საფლავის სათაყვანებლად. დღეს ყენ შაო-ცინი სწორედ ამაზე აპირებდა ლაპარაკს, მაგრამ სიმა ციანის რისხვამ ხელი ააღებინა განზრახვაზე. ხოლო სიმა ციანმა, როცა ახსენა, რომ მის მეგობართა შორის არ არიან ჯო ძია და გოძე, ყენ შაო-ცინმა იგრძნო, რომ სახე წამოუხურდა. ძარტო მაშინ, როცა გაიგონა, რომ სიმა ციანი მას ძველებურად თავის მეგობარს უწოდებდა, იგი ცოტათი დამშვიდდა და უფრო მეტი გულმოდგინებით დაიწყო თავისი თავისაგან „მეგობრის“ წარმოდგენა.

— ძი-ჩან, შენ ნამდვილად უკედავი ხარ, შენ ჩვენი დროის კონფუცი ხარ, — წარმოთქვა მან და თან ხელის თითებს თავის უზარმაზარ მუცელს აჭერდა: თითქოს გულში რაკი არა აქვს გულწრფელობა, მუცლიდან ცდილობს გამოწელოსო, — ახლა ყველა თავს იქცევს „ცუციანის“¹ ამოხსნით, განაგრძობდა იგი, — მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის მინიშნება შენზე და კონფუცზე. თვითონ განსაჯე: „ცუ“ ხომ

¹ ცუციანი — საქანელა.

ელერს, როგორც კონფუციუსის სახელი, ¹ ხოლო „ციანი“ — როგორც შენი სახელი.

გულწრფელად ამბობდა ეენ შაო-ცინი, თუ იგონებდა, მისმა ლაყბობამ აღელვებული სიმა ციანი მაინც გააღიმა. მისი ღიმილით გამხნეებულმა ეენ შაო-ცინმა განაგრძო:

— მხოლოდ, ჩემო მეგობარო, ზოგი რამ შენც უნდა გახსოვდეს, მაგალითად, ის, თუ როგორ სწავადა ცინ ში-ხუანი წიგნებს.

— გმადლობთ მზრუნველობისათვის, — უპასუხა სიმა ციანმა, — მაგრამ მე უკვე გავითვალისწინე ეგ. ყოველი გრაგნილიდან, რომელსაც მე ვამთავრებ, იღებენ ასლს, — ამაში მე მეხმარება ჩემი საყვარელი შვილიშვილი იან ხუეი. აქ მხოლოდ მეორე პირებია. ამ გრაგნილების უმრავლესობა მისი ხელითაა გადაწერილი. ნიჭიერი ბიჭია! მისთვის საკმარისია ერთხელ გადაწერა, რათა დაიმახსოვროს. თვითონაც უკვე ჩემი ცოცხალი ასლია. ხელთნაწერი ინახება ქვის ზანდუქში, ხოლო ზანდუქი სხვაგანაა გადამალული — არც სტიქიურ უბედურებას, არც ბოროტგამზრახველთ მისი მოსპობა არ ძალუძთ. მომავალში, როცა ჩემი წიგნი მკითხველთა შორის გავრცელდება, თუნდაც ათასი ცინ ში-ხუანი რომ გაჩნდეს, ისინი მაინც ვერაფერს დამაკლებენ. მას მთელი ხალხი შეინახავს მახსოვრობაში.

— დიახ, დიახ — თავის ქნევით უდასტურებდა ეენ შაო-ცინი, — შენ ყველაფერი გავითვალისწინებია. როგორმე ამ დღეებში მეც შემოვივლი ასლის გადასაღებად და თან წავიღებ იჯოუში. თუმცა იჯოუ მიყრუებული ადგილია, მაგრამ იქ დღემდეა შემორჩენილი შენი სახელგანთქმული ნათესავის სიმა სიან ჟუ-ს ხსოვნა. ² წამოსვლის წინ მე საგანგებოდ გავიარე ლინცუნში, სადაც ცხოვრობს შენი მეორე ნათესავი, ვიყიდე მის დუქანში რამდენიმე ძინი საუკეთესო ღვინისა და უკვე გადავეცი იგი შენს შვილიშვილს. მახსოვს შენ წინათ უარს არ ამბობდი სმაზე. ახლა როგორაა საქმე?

¹ კონფუცი (ლათ. Confucius) — დამახინჯებული კუნ ფუ-ძი, რაც ნიშნავს მასწავლებელი კუნი. კონფუციუსის სახელი — ციუ.

² სიმა სიან-ჟუ — ძველი ჩინეთის სახელგანთქმული პოეტი.

— გმადლობთ ყურადღებისათვის, — ღიმილით უპასუხა ცოტათი დამშვიდებულმა სიმა ციანმა,—მაგრამ ალტჰმა მაქვს დადებული არ დავლიო ღვინო, ვიდრე „შიძის“ არ დავამთავრებ.

— მაგრამ შენ ხომ უკვე ამთავრებ მას, მაშ, ამ საღამოს შეიძლება დავლიოთ კიდევ.

— კარგი, გაგიწევ კამპანიას.

ყენ შაო-ცინი მთლად დადნა სიმა ციანის თავაზიანი თანხმობით.

— ო, ეს დიდი პატივია ჩემთვის, — წარმოთქვა მან კმაყოფილი სახით, თან უფრო მონდომებით აჭერდა თითებს მუცელს, — მაგრამ მე ხომ ისეთი მსმელი არა ვარ, როგორც შენ, მეშინია არ დავითრო.

— ბედნიერი კაცი ხარ, — შენიშნა სიმა ციანმა,—ცხოვრობ იჯოლუში, რა შესანიშნავი ბუნებაა იქ!

რომ გაიგონა, როგორ აქებდნენ მის მშობლიურ მხარეს, ყენ შაო-ცინმა გადაწყვიტა თვითონაც მოპირფერებოდა:

— აბა, რას ამბობ, იქ განსაკუთრებული არა არის რა. ჩვეულებრივი მთები, წყალი, ვაკე, დამბა, — ესაა სულ. რაც გინდა თქვი, — მაინც მიყრუებული ადგილია. ჩემის აზრით, უმჯობესია. იყო საჭურისი დედაქალაქში, ვიდრე იმპერატორი იჯოლუში...

აქ მან ენაზე იკბინა და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მისი მოსაუბრე საჭურისი იყო. იმავე წუთს მიიღო მამებლური პოზა, და ბოდისად დაიღვარა.

— ო, ძმაო ჩემო, წამომცდა. გემუდარები არ მიიკარო გულთან ახლოს. ნამდვილად, მე ძალიან მინდა ვიმუშაო შენს ხელქვეით, შენ ეხლა მაღალი თანამდებობის პირი ხარ და მე გთხოვ, გამიწიო დიდი სამსახური. მართალია ჩემი ნიჭიერება შეზღუდულია, — ეს შენ იცი, — მაგრამ მე მზადა ვარ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღო... მე არ მეშინია ზოგიერთი რამის დაკარგვისაც კი... შენ ხომ იცი, რომ ჩვენთვის, მსუქნებისათვის, არსებითად სულერთია: გვექნება კაცობა თუ არა... ხა-ხა-ხა!

მაგრამ სიმა ციანს დიდხანია არ მოსწონდა მოსაუბრის

მხიარული განწყობილება, და გადაწყვიტა. რაღაც არ უნდა დასჯდომოდა თავი დაეღწია მისგან.

— თუ შენ არა გაქვს სხვა რაიმე სერიოზული საქმე, მაშინ ბოდის მოვხდი, შაო-ცინ, მე უნდა დაეამთავრო სამუშაო.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — უპასუხა ეენ შაო-ცინმა, თან ჩქარობდა ჭილობიდან წამოდგომას. მე სწორედ მისასვლელი ვარ სპასალარ ერ შისთან. საღამოთი კი მოგინახულებ და დავლევთ.

ორივენი წამოდგნენ და გავიდნენ.

მალე სიმა ციანი თავის კაბინეტში დაბრუნდა.

იგი ჯერ კიდევ მთლად არ დამშვიდებულიყო. აწითლებულ ლოყებზე მღელვარება კიდევ ემჩნეოდა.

იგი დაიხარა თავის მაგიდაზე და ხმამაღლა წაიკითხა იმ წუთში დაწერილი სტრიქონები: „როცა შემისრულდა ორმოცდა შვიდი წელი, მე ვიყავი წოდებით მთავარი სახელმწიფო მემბტიანე. მაშინ მე გამოვესარჩლე ლი ლინს, და თავს დამატყდა მკაცრი სასჯელი: საპყრობილეში ჩამაგდეს. ეჰ! ნუთუ, მე დამნაშავე ვარ? რაშია ჩემი დანაშაული? უფრო მეტიც, დამასახიჩრეს და ხეიბრად მაქციეს. ხანგრძლივი და ღრმა ფიქრის შემდეგ მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ: წიგნები „შიძინი“ და „შუძინი“ სახელოვან იქმნენ სწორედ იმიტომ, რომ მისი ავტორები ცდილობდნენ გამოეთქვათ თავისი ყველაზე სანუკვარი ნაზრევი“.

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, მან სტაცა ხელი ყალამს, და, ჯერ კიდევ რისხვით ანთებულმა დაწერა შემდეგი:

„ძველ დროს სი ბომ, იულის საპყრობილეში დამწყვდეულმა, დაწერა წიგნი განმარტება წიგნისა „ჯოუ ი“, კონფუცუმა, ჩენ და ცაის სათავადოების მბრძანებელთაგან წამებულმა დაწერა „ჩუნ ციუ“. ციუი იუანმა განდევნილობის ჟამს შექმნა პოემა „ლისაო“, ძო ცუ-მინმა, დაკარგა რა მხედველობა, შეადგინა შრომა „გოუი“, სუნ-ძის ამოჭრილი ჰქონდა მუხლის კვირისთვეები, მაგრამ მან დაწერა „სამხედრო ხელოვნების ტრაქტატი“. ლუი ბუ-ვეიმ, რომელიც იძულებული იყო გადახვეწილიყო შუს სათავადოში, მომავალ თაობებს მისცა

თავისი „მატიანეები“. ხან ფეიმ, რომელიც დაიჭირეს ციანის სათავადოში, შექმნა თავისი წიგნები „შონასა“ და „გუფინი“¹ და „შიძინის“ წიგნის 300 ლექსიდან უმეტესი ნაწილი ბრძენთა მიერ შექმნილია ჟამსა ბობოქარი რისხვისასა“.

დაამთავრა რა ეს სტრიქონები, მან უნებურად წაიღო მარცხენა ხელი ნიკაპისაკენ. ეს ჩვევა სიმა ციანს დასჩემდა მას შემდეგ, როცა თავისი მუშაობით კმაყოფილი დაშინალურად ეალერსებოდა ხოლმე წვერს, მაგრამ ამჯერად მისმა ხელმა მხოლოდ სიცარიელე იგრძნო.

— ჰმ, — გაჯავრებით ჩაიბურტყუნა სიმა ციანმა, შემდეგ დაეუფლა თავს, ცოტა კიდევ იბუზღუნა და მამინვე დაასრულა უკანასკნელი თავი „შიძი“ — თავისი ცხოვრების მოკლე აღწერა.

1936 წ. ზირტი.

¹ სი ბო, ანუ ჯოუ ვენ-ვანი, — მამა ჯოუს დინასტიის დამწყობის უ-ვანისა; ცუი იუანი — ძველი ჩინელი პოეტი, პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე (340 — 278 წწ. ჩვენს ერამდე); ძო ცუ-მინი-ლუს სათავადოს ისტორიოგრაფი. შეადგინა „ჩუნ ცუს“ კომენტარები; „გოუი“ — „სახელმწიფოთა აღწერა“; სუნ-ძი, ან სუნ უ, — გამოჩენილი ძველი ჩინელი სტრატეგი და სამხედრო თეორეტიკოსი, ცხოვრობდა ჩვენს ერამდე VI — V საუკუნეების მიჯნაზე; სამხედრო ხელოვნების ტრაქტატის ავტორი; ლუი ბუ-ვეი-ცინ ში-ხუანის დროინდელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი; ხან ფეი — დიპლომატი და მწერალი (ჩვენს ერამდე III საუკ.); „შო-ნანი“ — „ბჭობა სიძნელეთა შესახებ“; „გუ-ფინი“ — „განდევნილის რისხვა“.

ძია ის სევდა

გაუთავებლად უჩიოდა ბედს ძია ი¹, მას შემდეგ, რაც სასახლის გადაბერებულმა დიდებულებმა შურიტ ცილი დასწამეს ხანის იმპერატორ ვენ დისტან² და ჩანშაში გადაასახლეს ვანის დამრიგებლის თანამდებობაზე. ამ მარცხის შემდეგ ბუნებით ისედაც სუსტი ჯანმრთელობის ძია ი სრულიად აღარ უფრთხილდებოდა თავს.

ქალაქი ჭაობიან ადგილას იყო გაშენებული. ნოტიო ჰავა ტუბერკულოზის განვითარებას უწყობდა ხელს. ტუბერკულოზის ჩხირები, რომლებმაც უკვე კარგა ხანია დაისადგურეს ძია ი-ს ფილტვებში, დაუნდობელ დიდებულებთან ერთად გადავიდნენ შეტევაზე.

ძია ი გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. მას უკვე ოთხი წელიწადი ტანჯავდა სენი. დღითიღლე ხდებოდა და ილეოდა. საღამოობით პატარა სიცხეს აძლევდა, ღამე კი ცივ ოფლს ასხამდა. ეს ყველაფერი უორკეცებდა დარდს. ძია ი-ს კარგად ესმოდა, რომ სასახლის დიდებულებთან ბრძოლაში მარცხი განიცადა. ხშირად ეუფლებოდა სურვილი, თავი დაედრჩო მდინარე სიანშუიში, ციუი იუანის მსგავსად, რომელსაც თავის სულიერ მოძღვრად თვლიდა.

ხანის იმპერატორის ვენდის მმართველობის მერვე წელს, ძია ის გადასახლებაში ყოფნის მეხუთე წელს ზაფხულში, ცაზე კომეტა გამოჩნდა. ყველა ცრუმორწმუნე შიშმა შეიპყრო. ამბობდნენ კომეტის გამოჩენა დიდი შფოთის მაუწყებე-

¹ ძია ი (11 ს. ჩვ. წ. აღ-მდე) თვალსაჩინო პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე, მის შემოქმედებას ციუი იუანის შესამჩნევი გავლენა ატყვია. ძია ი ავტორია ცნობილი ოდისა „ტირილი ციუი იუანის გამო“.

² ვენ დი (179 — 158 წლ. ჩვენს წ. ა-მდე) ხანის დინასტიის იმპერატორი.

ლია, ისეთისა, როგორც მოხდა 20 — 30 წლის წინათ, როცა ლიუ ბანი¹ და სიან იუი² ძალაუფლებისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს. თვით ვენ-დიც კი საგონებელში ჩავარდა.

სწორედ ამ დროს ძია ი დედაქალაქ სიანიანში ჩამოვიდა. იგი ჩანშის ვანს ახლდა, რომელიც მეფეს ეახლა სასახლეში. ვენ-დის უცბად მოაგონდა ძია ი. გადაწყვიტა მიეპატიჟებინა სასახლეში და გაეგო მისი აზრი კომეტას გამოჩენის შესახებ.

იმპერატორის ამ გადაწყვეტილებას ვერაფერი შეუშლიდა ხელს, რადგან მოხუცების უმეტესობა, რომლებსაც სძულდათ ძია ი, სააქაოს გამოეთხოვა. გუან ინი სენმა შეიწირა, ჯოუ ბომ საპყრობილეში დაასრულა სიცოცხლე, ფან ძინი საიდუმლოდ მოკლეს. გარდა ამისა მას შემდეგ, რაც ძია ი გადაასახლეს მისი ბედი აღარავის შურდა.

ერთ საღამოს, როცა ცაზე რამდენიმე კომეტა გამოჩნდა, ვენ დიმ ძია ი მისაღებ დარბაზში გამოიძახა. ძია ის და იმპერატორის გარდა დარბაზში მხოლოდ ერთი კაცი იყო, პირველი მინისტრი ჯან ცანი.

როგორც რაციონალისტი და სიუნ-ძის³ მოძღვრების თავგამოდებული მიმდევარი, ძია ი უარყოფდა სულების არსებობას და სასწაულები არ სწამდა. მან დაურიდებლად და გულახდილად გაუზიარა ვენ დის თავისი შეხედულებანი.

— კომეტები საშიში არ არის — ამბობდა იგი. — კომეტები მხოლოდ და მხოლოდ ბუნების იშვიათი მოვლენებია. კომეტების გამოჩენამ შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს,

¹ ლიუ ბანი — ერთ-ერთი ბელადი გლეხთა აჯანყებისა, რომელმაც ცინის იმპერია დაამხო. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ლიუ ბანმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და დააარსა ხანის დინასტია. ისტორიაში ბაო-ძუ-ს სახელითაა ცნობილი. მართავდა 206 წლიდან 195 წლამდე (ჩვ. წ. აღ-მდე).

² სიან იუი-მხედართმთავარი და ჩუს სამთავროს ფაქტიური მმართველი. ლიუ ბანის მეტოქე ძალაუფლ. ბრძოლაში. ჩვენ წ. აღ-მდე 202 წელს ლიუ ბანმა მოახერხა გაისიასთან სან იუს ლაშქრის განადგურება. ბრძოლაში თვით სიან იუი დაიღუპა.

³ სიუნ-ძი (298 — 238 წლებში ჩვ. წ. აღ-მდე) ჩინელი ფილოსოფოსი. კონფუციის მიმდევარი. სიუნ-ძის ფილოსოფიაში მატერიალიზმის ელემენტები გვხვდება.

მაგრამ შიში — არავითარ შემთხვევაში, რადგან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ადამიანებთან და მათ საქმიანობასთან. მათ არ შეუძლიათ გამოიწვიონ არც უბედურება და არც ბედნიერება. გაოცება შიშს იწვევს, ვერაგი და გაიძვერა ადამიანები კი ამას თავიანთი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად იყენებენ. ამრიგად კომეტებსა და ადამიანების ბედობას შორის მართლაც და არსებობს მჭიდრო კავშირი, რადგან უგუნურები ბრმად იმეორებენ ყველაფერს, რასაც მათ ჩასძახიან და ნამდვილად შეუძლიათ დიდი შფოთის ატეხა. ადამიანს, რომლის ხელშიც არის ძალაუფლება, ასეთ დროს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მართებს, რასაკვირველია, აუცილებელია ხალხის განათლება, ადამიანების გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა, მაგრამ ამ საქმეში აჩქარება მიზანშეწონილი არ არის. პირველყოვლისა ახლებურად უნდა იქნას ახსნილი, ის რაც ხალხისათვის უკვე ცნობილია. ასე მაგალითად კომეტას ცოცხის ფორმა აქვს და ამიტომ კომეტის გამოჩენისას ყოველგვარი ძველი თქმულებების საწინააღმდეგოდ საჭიროა იმის თქმა, რომ ზეცათა მეუფემ ცოცხი მოიმარჯვა ცისქვეშეთიდან სიავის, ბიწიერების, ფათერაკისა და უბედურების გამოსახვეტად. თუ ასეთ რამეს ეტყვი ხალხს, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებულნი სიმშვიდეს ჰპოვებენ, გაიძვერებს კი ვერაგული ზრახვების განხორციელება გაუძნელდებათ.

ძია ი ამ მსჯელობის დროს რა თქმა უნდა სუნ ძის აზრებს იმეორებდა მისი წიგნიდან „ცის შესახებ“, მაგრამ ვენ დისათვის ყველაფერი ეს ახალი და უჩვეულო იყო. ძნელია იმის აღწერა, როგორ გაეხარდა იმპერატორს. როცა დამშვიდდა, სხვა ზეციური სასწაულების არსის შესახებაც გამოკითხა ძია ის. საუბარმა შუალამემდე გასტანა.

ძია ის გადაავიწყდა სენი, ღელვისაგან გული უთრთოდა. სმენად ქცეულმა ვენ დიმ რამდენჯერმე მიაჩოჩა ძია ისკენ თავისი ჭილოფი, სანამ მის მუხლებთან არ აღმოჩნდა.

პირველი მინისტრი, ჯან ცანი, თავად იყო გატაცებული ზეციური სასწაულების შესწავლით და ძია ის სიტყვები კომეტის გამოჩენის ახლებურად ახსნის შესახებ, თავის თავზე

მიიღო. ამასთან ჯან ცანმა შეამჩნია, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ძია ის ნალაპარაკებმა ვენ დიზე და იგრძნო, რომ მდგომარეობა და ძლევამოსილება შეერყა. მაგრამ თავისი დღევა ჯან ცანს არ გამოუმჟღავნებია.

უკვე სამჯერ შეიქმნა საჭირო, დარბაზში მდგომი წყლის საათის გადაბრუნება. ბოლოს გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებით, ჯან ცანმა წარმოთქვა:

— ჩემის აზრით ძია ი სწორია: ძველი მოვლენა საჭიროა ახლებურად განიმარტოს და მე ვფიქრობ მისი რჩევა ყურადსაღებია. თქვენი მეფური ბრძანებულებით ახალი განმარტება ხვალვე უნდა გავრცელდეს მთელს ქვეყანაში, მაგრამ უკვე გვიანაა, ბატონი ძია ი კი ვერ არის ჯანზე და ამიტომ ზედმეტად ნუ დადლით მბრძანებლო. უკვე დროა, რომ მოათავოთ საუბარი.

ჯან ცანის სიტყვებმა ვენ დის, სტუმრის ავადმყოფობა მოაგონა. მან შეხედა მის გაფითრებულ, თითქოს და სანთლიდან გამოძერწილ სახეს და ავადმყოფურად ანთებულ თვალებს.

— მართალია — თქვა მან — თითქოს ჯან ცანის სიტყვებზე პასუხობდა, — ჯანმრთელობა, ძვირფასო ძია ი ძველებური აღარა გაქვს. ახლა წადი, დაისვენე, ხვალ საღამოთი კი, განვგარძოთ ჩვენი საუბარი.

ძია იმ დარბაზი დატოვა.

სტუმრის წასვლის შემდეგ ვენ დიმ გულახდილად უთხრა ჯან ცანს ძია ისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ.

— რაც არ უნდა იყოს ძია ი დიდად ნიჭიერი ადამიანი, — თქვა მან, — მე დიდხანს არ მინახავს იგი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ცოდნით გადავჭარბე მას, მაგრამ დღეს, როცა მის მსჯელობას ვუსმენდი, დავრწმუნდი, რომ ვერც ერთი ჩვენი თანამედროვე მას ვერ შეედრება.

— დიახ, დიახ, დიახ, — კვერს უკრავდა ჯან ცანი, — ბატონი ძია ი გენიოსია, მაგის მსგავსს მთელ მსოფლიოში ვერ ნახავ. ადამიანი, რომელიც ასეთი ბრწყინვალე ნიჭითაა დაჯილდოვებული, ძლიერ განსხვავდება უბრალო ადამიანებისაგან, ამიტომაც ბევრმა ვერ გაუგო და შურდათ მისი. მე მახსოვს

მის მიერ ჩანშაში დაწერილი — „ტირილი ციუი იუანის გამო“. ისეთი შესანიშნავი ლექსია, რომ გეგონებათ ციუი იუანი აღდგა მკვდრეთით და დაწერაო. ამ ოდაში ასეთი სიტყვებია:

ვაი, ვაი რომ უბედობის ეამს,
ცად ეკრძალებათ ფრენა ფენიქსებს
და მიკიოტნი დანავარდობენ.

ეს სტრიქონები აშკარად ციუ იუანის ეპოქას გამოხატავენ, მაგრამ მოშურნეებს ეს არ ესმით. ისინი ცდილობენ დამტკიცონ, რომ ეს თემა ძია იმ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოიყენა, რომ ცილი დასწამოს ახლანდელ საიმპერატორო კარს, ამბობენ თითქოს იგი თავის თავს ადარებს ციუი იუანს, თქვენ კი ჩუელ სიან-ვანს. აი, რატომ ყავს ასე ცოტა მომხრე. კიდევ რამდენიმე წელი რომ შეეკავებინა თავი, დამსახურებულ დიდებას მოიპოვებდა. რაც არ უნდა იყოს, დიდ იმედებს იძლევა.

ასე დასწამა ცილი ძია ის კიდევ ერთმა მოხუცმა.

ძია ის რჩევა მიიღეს. მისი მდგომარეობაც შეიცვალა: ჩანშის ვანის დამრიგებლის თანამდებობიდან გადაიყვანეს ლიანის ვანის დამრიგებლის თანამდებობაზე. თუმცა ფორმალურად ძია ი და ჩანშის ვანის დამრიგებელი თანასწორი უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის ამბავი, რომ ლიანის ვანი ხანის ვენ-დის ყველაზე საყვარელი უმცროსი შვილი იყო, თანაც დედაქალაქისაგან ლიანი გაცილებით უფრო მოკლე მანძილით იყო დაცილებული, ვიდრე ჩანში. ამრიგად ძია ის ლიანში გადაყვანა, შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო, როგორც მისი საგრძნობი დაწინაურება. ამიტომაც ძია ი შედარებით უკეთეს გუნებაზე იყო.

ჯან ცანის სიტყვები ვენ-დიმ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, იგი მართლაც ფიქრობდა, რომ ძია ისთვის კარგი მდგომარეობა შეექმნა. ხელი შეეწყო მისთვის დიდების მოპოვებაში, შემდეგ კი პირველი მინისტრის მონაცვლედ გაეხადა. ლიანის ვანის დამრიგებლად დანიშვნის შემდეგ, ვენ დი ხშირად უხმობდა მას სასაუბროდ. გულმართალ ძია ის იმპერატორთან ძველებურად თავისუფლად ექირა თავი, ყოველ-

თვის პირდაპირი და გულახდილი იყო. ძისი ცხოვრილი თხზუ-
ლება „მართვის საქმეების შესახებ“, რომელიც ათი ათას სი-
ტყვას შეიცავდა და დღესაც, ორი ათასი წლის შემდეგაც არ
დაუკარგავს სიმახვილეს, ხელისუფალთ ეკალივით ესობოდათ
თვალში. იმ დროს როცა, სხვები სამსახურში დაწინაურების
დროს მღეროდნენ და ცეკვავდნენ, ძია ი ყოველთვის რამეს
„უჩივოდა“, „ღვრიდა ცრემლებს“, „ობრავედა.“ ამიტომაც
ხმები დაუყარეს, სულით ავადმყოფი: ძია ის მოწინააღ-
მდეგები მოუთმენლობისაგან ხელებს ისრესდნენ და შესაფერ
დროს ელოდნენ, რომ გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყვნენ
მის წინააღმდეგ.

თუმცა დღევანდელ ჩინეთს იმდროინდელისაგან ორიათ-ს
წელზე მეტი ყოფს, ქვეყნის მდგომარეობა თითქმის არ შეც-
ვლილა. შიდა ჩინეთი ფეოდალიზმის დასაყრდენს წარმოად-
გენდა, ცალკეული სამთავროების მმართველები, რომლებიც
მრავალრიცხოვან ჯარებს ფლობდნენ, განუწყვეტლივ ებრ-
ძოდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ კი, მეფის ძალაუფლების ჩაგ-
დებასაც კი ლამობდნენ. არც ქვეყნის საზღვრებს გარეთ იყო
უკეთესი მდგომარეობა. დღევანდელი გუანდუნის პროვინ-
ციის ტერიტორიაზე მდებარე სამთავრო ნანიუე, ჯერ კიდევ
არ იყო შემოერთებული ჩინეთთან, ჩრდილოეთიდან ჩი-
ნეთს ჰუნები ემუქრებოდნენ, რომლებსაც იმხანად ისე თავ-
ხედურად ეჭირათ თავი, თითქოს შეეძლოთ რა წუთშიც მოე-
სურვებოდათ, მაშინ გადაეყლაპათ ჩინეთი, როგორც ხანის
გაო-ძუმ სამსოცათასიანი ჯარით გაილაშქრა ჰუნების
წინააღმდეგ, მაგრამ საქმე ისე შეუტრიალდა, რომ კინაღამ
თვითონვე არ ჩავარდა ტყვედ. იმ დროიდან ხანების საიმპე-
რატორო კარი ველარ ბედავდა ჰუნებთან მტრობას და მშვი-
დობიანობის შესანარჩუნებლად ხარკის სახით უგზავნიდა ჭა-
ბუკებსა და ქალიშვილებს, იასპს და ძოწეულს. საქმე იქამ-
დეც კი მივიდა, რომ, როცა ლიუი-ხოუმ¹ თავი დედოფლად

¹ ლიუი-ხოუ. — ხანის დინასტიის დამაარსებლის გაო-ძუს მეუღლე. 187
წლიდან ჩვენ წ. აღ-მდე, იმპერატორ ხუეი-დის გარდაცვალების შემდეგ
იყო რეგენტი და თითქმის რვა წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას ტახტის
პერიტორიის მემკვიდრის მაგივრად.

გამოაცხადა, ჰუნების ხანმა მოდუმ შეურაცმყოფელი წერილი გაუგზავნა, რომელშიაც მოითხოვდა, რომ დედოფალი მისი საყვარელი გამხდარიყო. ლიუი-ხოუ ასე დაიბნა, რომ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და საპასუხო წერილში პირიება სთხოვა: აქო და მოხუცი და ულამაზო ვარო და დიადი ხანის ტანის ქვედა ნაწილის წაბილწვა მეუხერხულებო. წერილთან ერთად დედოფალმა ხანს საჩუქრებიც გაუგზავნა. ხანის ვენ-დის მმართველობის ხანაში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. კარის დიდებული ჯუნსინ იუე. რომელიც ვენ-დომ გააგზავნა ჰუნების ხანთან — დაემოყვრდეთო, გამცემი აღმოჩნდა, როცა ჩრდილოეთის საზღვარს მიაღწია, ჰუნებთან გადავიდა და დაიყოლია ისინი, უარი ეთქვათ ვენ-დის წინადადებაზე.

ერთხელ თვითონ ვენ-დომ გადაწყვიტა ჰუნებზე გალაშქრება. ტაიუიანში ჩავიდა. იქ რამდენიმე დღე დაჰყო და უცბაო გაიგო, რომ ძიბების ვანმა ამბოხება ატეხა, რომ მისთვის დედაქალაქში დაბრუნების საშუალება მოესპო. ვენ-დი იძულებული გახდა აღარ გაელაშქრა ჰუნების წინააღმდეგ და ჩაეჭრო ძიბების ვანის ამბოხება. რასაკვირველია, ის მხედართმთავრები, რომლებმაც ამ საქმეში თავი გამოიჩინეს, დააჯილდოვეს და წაახალისეს.

ერთი სიტყვით, ჩინელები, რომლებსაც გარედან ძლიერი მტერი ემუქრებოდა, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას უნდებოდნენ, ამ დროს კი კარის ზოგიერთი მაღალი წოდების დიდებული ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ დაემტკიცებინა, — ჩინეთში მშვიდობა და სიამტკბილობა მეფობსო. და განა ასეთი მდგომარეობა არ ააცრემლებდა პატიოსან ადამიანს?

თუმცა ძია იმ ბევრი ცრემლი დაღვარა და ჯანზეც ძალზე სუსტად იყო, მაგრამ სულით არ დაცემულა. მისი თხზულების განყოფილებაში, რომელსაც „შეიძლება გახდეს ნამდვილი მოაზრე“ ეწოდება, არის შემდეგი სიტყვები, რომლებიც ჰუნებს შეეხება.

„მე მიმაჩნია, რომ ჰუნების სამფლობელო მხოლოდ და მხოლოდ ხანის სახელმწიფოს მავრაა. უნდა რცხვენოდეთ დიდებულებს, რომლებიც ნებას აძლევენ ერთ მავრას, მუ-

ქარის ქვეშ ჰყავდეს მთელი ქვეყანა. რატომ არ უნდა ხელმწიფეს ვასალური სახელმწიფოს მმართველად დამნიშნოს, რომ ჰუნებზე გავიმარჯვოთ? ჩემი გეგმის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ყელში ვწვდეთ ხანს და ჩვენს ნებაზე ვახტუნოთ, შეგვეძლება დავაჩოქოთ ჯუნსინ იუე და გემოზე გავჯოხოთ. ამის შემდეგ ჰუნები მეფის ყოველ ბრძანებულებას დაემორჩილებიან“.

ეს სტრიქონები შეიძლება მივაკუთვნოთ „თავდაცვითი ლიტერატურის“ ყველაზე ადრეულ ნიმუშებს, მაგრამ იმ ხანებში უგუნურები მხოლოდ ხითხითებდნენ ძია ის სიტყვებზე, — სულით ავადმყოფის მონაქორია, პოეტის ბოდვებიაო.

რასაკვირველია, ძია ი არ იყო არც სულით ავადმყოფი და არც „ბოდვების“ შემთხვეული „პოეტი“, პირიქით, მას ყოველი წერილმანი კარგად ჰქონდა მოსაზრებული და აწონილდაწონილი.

ამაში დავრწმუნდებით თუ გავიხსენებთ, როგორ წვრთნიდა იგი ლიანის ვანს. ლიანის ვანი პატარობიდანვე იყო გატაცებული წიგნების კითხვით, მაგრამ ძია ი არ აძლევდა ნებას, მარტო წიგნებში ყოფილიყო თავჩარგული. იგი აიძულებდა მას ცხენოსნობა და მშვილდოსნობა ესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მის ჯანმრთელობას ვნებდა, ძია ი ვანთან ერთად ოსტატდებოდა სამხედრო ხელოვნებაში. მისი მიზანი ნათელი იყო, — ძია ი იმედოვნებდა, რომ ცოდნასა და სამხედრო საქმეს დაუფლებული ლიანის ვანი, შემდგომში შეძლებდა გარეშე მტრების მოგერიებას და წესრიგის დამყარებას ჩინეთში.

მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ისეთი კეთილი და შესანიშნავი ადამიანი, როგორც ძია ი იყო, საბოლოოდ საშინელი ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირი გახდებოდა?

ლიანის სამთავროში თავისი ჩამოსვლის თითქმის მეოთხე წელს, იმპერატორ ვენ-დის მმართველობის მეთერთმეტე წელს, ლიანის ვანთან ერთად ძია ი სასახლისკენ გაემართა. დედაქალაქამდე მთელი გზა ცხენებით გაიარეს, როცა სიანის ანის კედლებს მიუახლოვდნენ, ლიანის ვანმა, რომელიც ახ-

ლახან გახდა სრულწლოვანი, გაიფიქრა, მოდი ერთი. ხალხს ვუჩვენებ, როგორი ცხენოსანი ვარო, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გააქენა ცხენი. საუბედუროდ სიანიანის ხიდზე ცხენს ფეხი დაუცდა. ღიანის ვანი უნაგირიდან გადმოვარდა, თავის ქალა გაუტყდა და იმ წამსვე განუტევა სული.

ძია იმ საკუთარი თვალთ ნახა ეს საშინელება.

ღიანის ვანის სიკვდილმა, რომელიც მისი ყველა ოცნების გაცრუებას მოასწავებდა, ისეთი თავზარი დასცა, რომ ყელიდან სისხლი წასკდა და ქლექმა ძალიან დარია ხელი.

ბოროტი მოხუცები სიხარულით ცას ეწივნენ, რომ საშუალება მიეცათ გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყვნენ. ავადმყოფ ძია ის საშინელი ბრალდებები წაუყენეს:

— ახალგაზრდაა და გამოუცდელი. სულით ავადმყოფობამ კი წონასწორობა დააკარგინა.

— იგი არასწორად ზრდიდა ვანს. თუ კაცს მეცნიერება სურს, სამხედრო საქმე საჭირო არ არის! თუ მდიდარი მშობლების შვილები ცდილობენ ვანზე იღვნენ ასეთი სახითათო საქმიანობისაგან, მაშინ რაღა ითქმის მთელი ქვეყნის მბრძანებლის, ხელმწიფის შვილზე.

— დამრიგებელი, რომელიც აღზრდას საფუძვლად ცხენოსნობას და მშვილდოსნობას უდებს და არა კლასიკურ წიგნებს, ბრძენთა ნაანდერძეებს უგულუბელყოფს.

— ასეთი დანაშაულისათვის არა მარტო თვითონ, არამედ მისი ნათესავებიც სიკვდილით უნდა დაისაჯონ.

— ძია ი თვითონ უნდა გადამხტარიყო სიანიანის ხიდიდან, რომ თავისი სიკვდილით ხელმწიფის პატიება დაემსახურებინა...

— თავმოყვარეობა დაკარგა, თავი მოიავადმყოფა და პირიდან სისხლს ანთხევს!..

— ამბობენ ტუჩები დაიკბინაო. ზოგიერთს კი ექვი აქვს ბეტელს ლექავს და ამიტომ აფურთხებს წითელ ნერწყვსო.

— ჩვენის აზრით, უკეთესი იქნება მისი ჰუნებთან გაგზავნა. სცადოს ერთი ჯუნსინ იუეს გაჯოხვა.

...გამოჩენილი გენიოსი კი არა, უფრო სწორად გამოჩენილი სულელია!..

ძია ის იმ დროისათვის ისე გაუმწვავდა სენი, რომ გამოჯანმრთელების არავითარი იმედი აღარ იყო. თავისთავად ცხადია, რომ იგი სამსახურიდან დაითხოვეს. იმ დღეს შემდეგ რაც მშობლიურ ლოიანში დაბრუნდა, ძია ი ლოიანიდან აღარ ამდგარა. ასე გაატარა ერთი წელი. მძიმე შოგონებები მოსვენებას არ აძლევდნენ. აგონდებოდა ლიანის ვანის სიკვდილი, ფიქრობდა არეულობაზე ჩინეთში. ფიქრობდა ამოდ დახარჯულ ძალღობეზე, იმაზე, რომ ძხოლოდ ოცდაცამეტი წლის იყო და უკვე მარცხი განიცადა. და რაც უფრო მწარე იყო მისთვის დაძარცვების შეგნება, მით უფრო მეტი ძალით იპყრობდა სევდა და აღშფოთება. ძალაც დაეკარგა.

ერთხელ, საღამოხანს, მზის ჩასვლის წინ, ძია ი მარტო იწვა და ჭერს შეჰყურებდა.

ისე გახდა, რომ ყვითელ ტყავგადაჭიმულ ჩონჩხს დაემსგავსა. ასე ეჩვენებოდა, თითქოს ფეხებზე ათას ფუთიანი ქვა ეკიდა და უფსკრულისაკენ ეშვებოდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიბრძოლა რამდენჯერმე. ამ დროს მის წინ გაძვალტყავებული, დაძბუნებული მოხუცი გაჩნდა, რომელსაც კისერზე შემოდგომის ფოთლების გვირგვინი ჰქონდა ჩამოკიდებული და ლოტოსის ფურცლებისაგან ნაკერი სამოსელი ეცვა, რომელიც ისეთი გრძელი იყო, რომ ძნელი იყო გარჩევა, ჰქონდა თუ არა მოხუცს ფეხები. მოხუცი დაეინებით ჩააცქერდა ძია ის და დაუძახა. მისი ხმა ეცნაურა ძია-ის.

— ბატონო ძია ი, მიცანით?

ძია ის ღრმად ჩაცვენულ თვალებში წამით სიხარულმა გაიელვა.

— ნუთუ ბატონი ციუი იუანი ბრძანდებით? — წარმოსთქვა მან ჩახლეჩილი, სუსტი ხმით და დიდის გაჭირვებით დაიწყო ლაპარაკი. როცა სუნთქვა ზომაზე მეტად უჭირდა, ისვენებდა, — გამდლობთ, რომ მანძილის სიშორის მიუხედავად, მოხვედით. ძლიერ ბევრი რამ მაქვს სათქმელი თქვენთვის... მე ვხედავ, რომ მარცხი განვიცადე... ოცდაცამეტი წელი ვიცხოვრე... იმ დროიდან, რაც აზროვნების უნარი შევიძინე, უსინდისოდ ერთი ნაბიჯიც არ გადამიდგამს... არასო-

დეს არ ჩამიდენია უმსგავსი საქციელი... მთელი მონდომებით ვსწავლობდი, ვცდილობდი იმის არსში ჩაწვდომას, რაც წიგნებში ეწერა, და არასოდეს არ მომქონდა თავი ყველაფრის მცოდნედ. არასოდეს არ ვამბობდი, რომ მესმოდა ის, რაც სინამდვილეში არ მესმოდა... მინდოდა ნამდვილი სწავლული გავმხდარიყავი — მინდოდა, რომ ცოდნა სისხლში გამჯდომოდა. ზერელე ცოდნა არ მაკმაყოფილებდა...

გავფრბოდი საკუთარი თავის ავტორიტეტად აღიარებას... არასოდეს არ მქონია განზრახვა ვისმესთვის ცილი დამეწამებია... არ ვცდილობდი აღზევებას. სხვების დაღუპვის ფასად და პირადი კეთილდღეობისა და სარგებლობის მიზნით არა ვცდილობდი სასახლის კარზე ჩემს გარშემო დამქაშების შემოკრებას. — მას შემდეგ, რაც ტინევი უ გენის უფრადლება მივიქციე და ხელმძღვანის რყალობის ღირსი გავხდი, ძალღონე არ დამიშურებია ჩემი მოვალეობის შესასრულებლად.

...არ იყო არცერთი წუთი, რომ მე ჩინეთის კეთილდღეობაზე არ მეფიქრა. თუ რამე კარგი აზრი გამიჩნდებოდა, იმ წამსვე საჯაროდ გამოვთქვამდი... რომ ხალხს რაც შეიძლება მალე გამოეყენებინა იგი თავის სასარგებლოდ... თუ რამე ნაკლს შევამჩნევდი... გულახდილად მივუთითებდი... იმ იმედით, რომ ადამიანები მალე გამოასწორებდნენ მას. მხოლოდ იმიტომ, რომ ძალაუფლება მომეპოვებინა, არავის არ ველობებოდი გზაზე, არასოდეს არ ვცდილობდი ვინმე უფსკრულში გადამეჩხება... ჩინეთი დიდ საფრთხეშია... ქვეყნის შიგნით არეულობაა. ყოველ წუთს გვემუქრება მტრის შემოსევა... მე ვოცნებობდი, რომ ლიანის ვანი სათავეში ჩაუდგებოდა სახელმწიფოს... ამიტომ ვასწავლიდი ცხენოსნობას და მშვილდოსნობას... ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ ამის მსხვერპლი გახდებოდა. მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი... ძალღონეს არ ვიშურებდი, რომ ადამიანი გავმხდარიყავი... მაგრამ ოცდაცამეტი წლის რომ შევიქენი... დიან ზუსტად ოცდაცამეტი წლის... დიდი უბედურება შემემთხვა და არ შეიძ-

† ტინევი — მოხელის თანამდებობა, რომელიც შემოღებული იყო ცინის დინასტიის (III ს.ჩვ წ. აღრიცხვაში) დროს. ეს თანამდებობა არსებობდა ხანის დინასტიის დროსაც.

ლებოდა, რომ მარცხი არ განმეცადა... რატომ დამცინიან ასე?... არ მესმის, მასწავლებელი კიუი იუანო, რა გული უდევთ მკერდში იმ მოხუცებს... რატომ ბრაზობენ ჩემზე. რატომ ცდილობენ შემავიწროვონ, რატომ არ ემეტებათ ამ ქვეყანაზე ჩემთვის თავისუფალი ადგილი, რომ შემეძლოს მტკიცედ ვიდგე მიწაზე, ორივე ფეხით!.. ახლა, მე ავადა ვარ და მოძრაობა არ შემეძლია... მაგრამ ვილაძეები ერთთავად მიგზავნიან დედაქალაქიდან ანონიმურ სალანძღავ ბარათებს... დარწმუნებული ვარ, რომ მათ ის საპატიო მოხუცები აგულღიანებენ... ვის რა ვაწყენინე ისეთი, რომ ასე მმტრობენ? არეულობა ჩვენი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ყოველდღიურად იზრდება, ისინი კი ამას არავეითარ ყურადღებას არ აქცევენ. ისინი მხოლოდ იმას ფიქრობენ, როგორ მომდონ შარი, როგორ მიმტრონ, როცა იციან, რომ მე არ შემეძლია და ჩემი ღირსების დამცირებადაც ვთვლი, მათ დარტყმებს დარტყმითვე ვუპასუხო... რა მიზანი ამოქმედებთ? მასწავლებელი კიუი იუანო, თუ შეიძლება ამიხსენით, მე ეს არ მესმის.

ძია ის სული ეხუთებოდა, თავის მონოლოგს რომ წარმოთქვამდა. თითქოს ბოდავდა, მაგრამ კიუი იუანი ძველებურად იდგა მის თვალწინ და ესაუბრებოდა

— ბატონო ძია ი, შენ ზომაზე მეტად ხარ აღზნებული, ჭკვიანი კაცი ხარ და დარწმუნებული ვარ, რის შესახებაც შეკითხვები, ყველაფერი მშვენივრად გესმის. აი, მაგალითად, შენ გიკვირს, რომ მოხუცები ცდილობენ რაიმე გავნონ, განა ამის მიზეზი შენთვის ნათელი არ არის? საქმე იმაშია, რომ მეტისმეტად ჭკვიანი ხარ, მეტისმეტად ამაღლებული სულის პატრონი. მაგათმ მტრობა შენ სიმშვიდეს უნდა გგვრიდეს! შენ მაგათზე ძლიერი ხარ და ამიტომ ეშინიათ შენი, გრძნობენ, რომ შეგიძლია წაართვა მათ თანამდებობა და თავიანთი უშიშროებისათვის იძულებულნი არიან „წყლის დონის თავისებურ რეგულირებას“ მიმართონ. ისინი ცდილობენ დამცირონ, ან მოსპონ ადამიანი, რომელიც მათზე მაღლა დგას, ასე იქცეოდნენ ისინი მუდამეამ და არა მარტო შენს მიმართ! მაგრამ შენ ზედმიწევნით მტკიცე და უდრეკი ხარ. ამიტომაც არის, რომ მთელი ბრბო ერთად გაყრის ისრებს. შენ თვითონ

იწვევ მათ საბრძოლველად, რადგან ძლიერი ხარ. მართალია ისინი შენ დარტყმას დარტყმაზე გაგემებენ, ყოველგვარ სისადაგლეს კადრულობენ, მაგრამ სულის სიღრმეში პატივს გცემენ და ეშინიათ შენი.

გეკითხები, რისი გულისთვის უნდა ედავო მათ და მიუშვირო მკერდი მათ შხამიან ისრებს? ისინი ზიანს გაყენებენ, შენ კი ბრაზობ და შფოთავ, ეს კი შენს ჯანმრთელობას ვნებს. შენ თვითონ მიძვრები მათ მიერ დაგებულ ხაფანგში. მათ სწორედ იმისი იმედი აქვთ, რომ სულიერად და ფიზიკურად დაეცემი, შენთვის კი საუკეთესო თავდაცვაა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სულის გამაგრება. მათ მტრობას შენ ისე უნდა უყურებდე, როგორც კოლოს კბენას. შენი მტრები მხოლოდ-და შეცოდების ღირსნი არიან, რადგან ბუნებით, კოლოები არიან და მხოლოდ ისე შეუძლიათ მოიქცნენ, როგორც კოლოები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომბაძო მე. როცა კოლოები დამესიენ, მე სულმდაბლობა გამოვიჩინე და თავი დავიღრჩე. მაგრამ შენ მედგრად უნდა იდგე და თავი დამარცხებულად არ აღიარო. ჩინეთში ბევრია ისეთი, ვინც შენ მხარს გიჭერს, ისეთები კი, რომლებიც გმტრობენ, ძლიერ ცოტანი არიან. იმათ გულისათვის ვინც მხარს გიჭერს, ვალდებული ხარ, თავს მოუფრთხილდე, ვალდებული ხარ გაუძღვე მათ, თუ გინდა რომ ქვეყნის შიგნით წესრიგი დამყარდეს და გარეშე მტრების თავდასხმის მუქარა მოისპოს.

ჰკვიანი ადამიანების უმეტესობა აღფრთოვანებულია შენი სულისა და რწმენის სიმტკიცით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩასთვალო თავი დამარცხებულად! არავითარ შემთხვევაში, შენ გაიმარჯვები!

ყველაფერი ეს თვით ძია იმ წარმოსთქვა გონებაში, ძია ის წარმოდგენაში ჩამოყალიბებული ციუი იუანის სახე, პალიუცინაციამ კონკრეტული და რეალური გახადა.

— დიახ, მასწავლებლო, — ძია იმ წინ გაიშვირა თეთრი ხელი, თითქოს ხელი უნდა ჩამოართვას მოჩვენებასო და წამოიძახა — „თქვენი სიკვდილი დამარცხებას არ ნიშნავს. მართალია თქვენ დაიღუპეთ, მაგრამ ჩვენთვის, ჩინელებისათვის, თქვენ ყოველთვის ძალისა და სიმტკიცის განსახიერება იქნებით.

ხვენთვის, ჩინელებისათვის, თქვენი სიკვდილი განუყრელად არის დაკავშირებული სამართლიანობის მცნებასთან.

თქვენი დალუპვიდან 100 წელი გავიდა, მაგრამ სიკვდილი თქვენ არ შეგხვდებათ და ვერც ათასი და ვერც ათიათასი წლის შემდეგ შეგხვებათ. თქვენი გულწრფელობა გვაერთიანებს ჩვენ, ჩვენო მასწავლებელო. თქვენი სიკვდილით თქვენ ყველადამარცხეთ. მე თქვენ მოგყვებით მასწავლებელო, თქვენ მოგყვებით.

ძია იმ მუშტები მოკუმშა და სცადა საწოლიდან წამოდგომა, მაგრამ უცებ გაიჭიმა და ბალიშზე დაეცა.

პატარა მაგიდაზე მდგარი სანათურის პატარა, მუხუდოს ოდენა ალი აციმციმდა პაერის შერხევაზე, რაც ძია ის დაცემამ გამოიწვია, და ჩაქრა. ოთახში უკუნეთი სიბნელე ჩამოწვა. მხოლოდ ფანჯრის კუჭკუტანაში აღწევდა განთიადის პირველი სხივი.

1936 წ. 3 მაისი.

გამგზავრების წინ

— ოჰ, რა საამო სურნელებას აფრქვევენ ყვავილები!

— დიახ, ეს ყვავილები ყავისფერი ხისაა, რომლებმაც წელს რატომღაც ძალზე ცოტამ იხარა.

— ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ჩვენ აღრევე ვერ ვიგრძენით მათი არომატი.

— სამშობლოში ბრუნდებით?

— დიახ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მინდა დავისვენო ისეთ აგარაკზე, სადაც მინერალური წყლებია.

— შესანიშნავია, ინჟინერი ბრძანდებით?

— არა ექიმი!

— ესე იგი. დიდხანს ცხოვრობდით აქ, ფუკოუკაში?

— დიახ, ექვსი-შვიდი წელი.

— ექვსი-შვიდი წელი? სახლში რომ დაბრუნდებია, ალბათ ბევრი რამ მოგაგონდებათ.

— გავიხსენო გატარებული წლები? ვშიშობ, რომ დღევანდელი თქვენთან სეირნობისა და ამ ყვავილების სურნელების გარდა, არაფერი მექნება მოსაგონებელი.

— ხა, ხა, ხა... რას ამბობთ! რას! მადლობელი ვარ ქათინა-ურისათვის! სადგურში არსებულ მომსახურეობის ბიუროში აი მუშა იქირავა საზიდარი და ამჟამად უკან ბრუნდება საზიდრას მოხუც მეპატრონესთან ერთად. მათ უხმოდ გაიარეს ტაძარი ხაკოზიაკი, აი მუს საყვარელი სასეირნო ადგილი, სადაც ექვსიოდე თვეა არ ყოფილა, მას შემდეგ რაც აიძულეს ოჯახიანად დაეტოვებინა ეს ადგილსამყოფელი. ყვავილების სურნელება, რის გამოც ლაპარაკი გაიმართა, მოდიოდანსწორედ ტაძრის ირგვლივ მდებარე ბაღიდან. გავიდა რამდენიმე წუთი და მგზავრები სიომოს ტაძარს მიუახლოვდნენ. საკურთხევლის

წინ გაფენილ ჰილობზე აი მუს ბავშვები თამაშობდნენ. მამას დანახვაზე პატარებმა შეჰყვირეს.

— ეს თქვენი ყაჩაღანებია?

— დიახ!

— რა ბედნიერი ყოფილხართ!

— მე კი არ ვიცი, როგორ მოვექცე მათ, რაც უფრო ბევრია ბავშვები, მით უფრო ნაკლებია ფული.

— კარგია ბევრი ბავშვი. რაც ძეგია, მით უკეთესი! ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ და ბავშვებიც რომ არ გვყავდეს, სულ მთლად დავიღუპებოდით! მე თვით ხუთი მყავს. უფროსი გათხოვდა და სამი თვის წინათ შვილი შეეძინა. ორნი მუშაობენ. ჟმეკროსები კი სკოლაში სწავლობენ.— მოხუცი თავისი ოჯახის შესახებ სიხარულითა და სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდა.

აი მუს ოდნავი მწუხარება დაეტყო და შეეკითხა:

— დღეში რამდენ საათს მუშაობთ?

მოხუცმა გადაიხარხარა, — ხა, ხა, ხა... აი, უკვე ოცი წელია დილიდან საღამოს შვიდ საათამდე ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი დღე არ გამიციდებია. — ამ საუბარში იყვნენ, რომ სახლს მიუახლოვდნენ, სადაც ცალთვალა მეწვრიმალე ეზოში მდგარ საბავშვო ეტლს ათვალიერებდა.

— ო, რა ჩქარა მოსულა, — წარმოთქვა აი მუმ.

ამ შემსყიდველმა ჯერ კიდევ აპრილში, სამშობლოში გამგზავრების წინ აი მუსგან ძველმანები შეიძინა. ამ ნივთებისაგან ყველაზე ძვირფასი ახლად ნაყიდი ფისგარმონია იყო, რომელიც ასორმოცდაათი იუანი ღირდა, მეწვრილმანემ სამოც იუანად ჩაიგდო ხელში და კარგი მოგებაც ხვდა წილად. ახლაც, აი მუმ როგორც კი შეატყობინა სხვაგან მიევმგზავრებო, შემოაჯდა ველოსიპედს და მაშინვე იქ გაჩნდა. მოსულები საუბარს განაგრძობდნენ და თან ნივთებს ჰკრავდნენ.

— დაახლოებით რამდენს აკეთებთ დღეში?

— მუშაობაზეა დამოკიდებული, როცა სამუშაო ბევრია, მეტს აკეთებ, როცა ცოტაა—ნაკლებს. საშუალოდ ორი იუანი გამოდის, უპასუხა მოხუცმა.

— ორი იუანი? არც თუ ისე ცოტაა!

— ჰო, თვიდან-თვემდე კაცი თავს გაიტანს!

აი, მუს შანსაი გაახსენდა. ის იქ მთელი დღე წელში მოხრილი მუშაობდა და ხშირად ტრამევის ფულიც. არ გააჩნდა. იგი დარწმუნდა, რომ მისი შრომა უფრო იაფად ფასობდა ვიდრე საზიდრის პატრონისა. მაგრამ აი მუს რომ კარგად სკოდნოდა მოხუცის მდგომარეობა, ამ სიტყვებს კი აღარ წარმოსთქვამდა, არამედ თანაგრძნობას გაუწევდა. ამ დროს მისი მეუღლე მეწვრილმანეს ევაჭრებოდა, რომელიც საბავშვო ეტლს ათვალიერებდა და ფასს კი არ ადებდა.

— საზოზინო დრო არა მაქვს, სთქვი, რამდენს იძლევი წარმოთქვა მკაცრად, მოთმინებიდან გამოსულმა აი მუს მეუღლემ.

— ე... ხ... — გაბმით ამოიოხრა მეწვრილმანემ — გაქვთ კიდეც რამე? — შეეკითხა კვლავ, როცა ოთხკუთხედი საწერი მაგიდა შეამჩნია.

— აი, ეტლი და მაგიდა. დანარჩენი ნივთები მეზობლებს ვაჩუქეთ!

— ე... ხ... კვლავ ამოიოხრა მეწვრილმანემ. — რადგანაც ორი ნივთილა გაგაჩნიათ, ნახევარი იუანი მიიღეთ!

— რამდენი?

— ნახევარი!

— ხა, ხა, ხა... — გადაიხარხარეს ცოლ-ქმარმა. — შენ ხუმრობ! ამას წინ, როცა ეს ნივთები ლომბარდში დავაგირავეთ, იქაც კი ოთხ იუანზე ნაკლები არ მოუციათ.

— უნდა გაითვალისწინოთ, — გააწყვეტინა მეწვრილმანემ — ეს ნივთები მოძველებულია, თუ ვიყიდე, უნდა შევაკეთო და ისიც საექვოა, შევძლებ თუ არა მათ გასაღებას! მდიდრები არ ყიდულობენ და ლატაკებს კი ფული არ გააჩნიათ!

— შენც აიღე და იაფად მიეცი, მაშინ ყველა იყიდის!

— შენ ძალზე ძუნწი ყოფილხარ, მიზეზს ეძებ მოსატყუებლად, იცი რომ ამ ნივთებს თან ვერ წავიღებთ, გსურს იყილო იაფად და ძვირად გაყილო! უმჯობესია ვაჩუქოთ ვინმეს, ვიდრე ნახევარ იუანად მოგცე! — წარმოსთქვა გაბრაზებულმა აი მუს მეუღლემ.

— შარშან არ შემინიშნავს; განა, ეს ნივთები არ არის? შეეპასუხა ვაჭარი!

— არა! მაგრამ სიმართლე თუ გსურს, ოდნავ ნახმარია. შანხაიში ოცი იუანი მივეცი. ახალი, ასი იუანი ღირს იაპონიაში. შენ, ასე თუ ისე უნდა იცოდე ფასები!

მეწვრილმანეს სახეზე დაუჯერებლობა გამოეხატა და დამცინავად გაიცინა, — ხა, ხა, ხა!..

— რას იტყვი? მივცეთ ნახევარ იუანად? შეეკითხა ჩინურ ენაზე აი მუ მეუღლეს.

— ნახევარი იუანი ძალზე ცოტაა!

— ამ პატივცემულ მოხუცის ქალიშვილს ბავშვი შესძენია, ხომ არ ვაჩუქოთ მას?

— შესანიშნავი აზრია. შევეკითხოთ, აიღებს თუ არა?

— ჩვენ გვაქვს მაგიდა და საბავშვო ეტლი, გვსურს ვაჩუქოთ თქვენ, მიმართა მოხუცს აი მუ.

— რას ამბობთ! რას ამბობთ!

— თუ გვირდებათ, ნუ მოგვერიდებით, ხომ გაგონეთ, რომ მათში მხოლოდ ნახევარ იუანს გვაძლევენ.

— რას ამბობთ! რას! ეგენი ას იუანზე ნაკლები არ ღირს, მაგრამ თქვენი დიდსულოვნება ასიათას იუანზე უფრო ძვირფასია. — წარმოთქვა მოხუცმა.

— მომისმინე მოხუცო, — გააწყვეტინა აი მუს მეუღლემ — ჩვენ ოთხი თვის კურდღელი და რამოდენიმე წიწილა გვყავს. ისინიც თქვენთვის გვიჩუქებია.

— რას ამბობთ! რას!

— სალამოს გამოიარეთ, მაშინ წიწილებს სძინავთ და მათი დაქვერა უფრო ადვილია.

— რით გადაგიხადოთ სამაგიერო, — წამოიძახა მოხუცმა და სახე მადლიერების გრძნობით გაებაღრა:

შემდეგ აი მუს მეუღლემ სამზარეულოდან გამოიტანა ოქროსფერი თევზი.

— ესეც თქვენი იყოს თავისი აკვარიუმინად.

მოხუცს აღელვებისაგან ლაპარაკის უნარი წაერთვა. ცალთვალა მეწვრილმანე კი უხმოდ იდგა და ამ სურათს თვალყურს ადევნებდა, შემდეგ ხელები ჯიბეში ჩაიწყო და გზას გაუდგა.

ბ ა ლ ლ ა

I

1938 წლის 23 ოქტომბრის გარიყრაჟზე, ორი დღით ადრე ჩვენი ჯარების მიერ უხანის დატოვებამდე, ლტოლვილთა რაჭ-დენიშე გემი ერთიმეორის მიყოლებით მოშორდა აავმისადგომა და გაემართა ზემოთ, მდინარების მიმართულებით.

ერთი მათგანი, საკმაოდ მოძველებული გემი, რომელსაც მშვიდობიანობის უამს ბორნად იყენებდნენ, გადატვირთული იყო ლტოლვილებით და მათი ხარახურით. მიუხედავად იმისა, რომ მისი ქშინვა და ხენეშა უკვე კარგახანია ისმოდა მდინარეზე, იგი ჯერ კიდევ უხანის მახლობლად იმყოფებოდა.

II

ის იყო გემი მოსცილდა ნაპირს, რომ მაშინვე მიწყნარდა ის აუწყრელი ღრიანცელი, რომელიც იდგა ჩაჯდომიანას. თუმცა წესრიგი არავის დაუმყარებია. ძალიან სივიწროვე იყო. მაგრამ ყველამ იპოვა თავისი ადგილი.

საუბრის მოყვარულნი ალაპარაკდნენ.

საკმარისი იყო ერთმანეთის მეზობლად მოწყობილიყვენენ, რომ უცნობთა შორისაც კი, ნაცნობებზე ხომ აღარას ვამბობთ, — თავისთავად იბმებოდა საუბარი.

სალაპარაკო თემა ძალზე მრავალფეროვანი იყო. ლაპარაკობდნენ ანტი-იაპონური ომის პერსპექტივების შესახებ, სახელმწიფოთა მშენებლობაზე, უხანის ბედზე, იაპონელი ავაზაკების მხეცობაზე, ჩვენი ჯარების გმირობაზე, საერთაშორისო თანაგრძნობაზე, დაბოლოს, კარაქზე, მარილზე, შეშაზე,

ბრინჯზე, განშორებასა და შეხვედრებზე, სიმწარესა და სიხარულზე. ერთი თემა ცვლიდა მეორეს ისე, როგორც მდინარის აგორებული ტალღები გადაეცლებიან ხოლმე ერთმანეთს. მრავალხმიანი გაურკვეველი ბუბუნი ბანს აძლევდა მანქანის მონოტონურ ხმაურს, რომელიც ქვევიდან მოისმოდა.

ლაპარაკით დაღლილი ზოგიერთი მგზავრი ტვირთზე დამხობილიყო, ზოგი ტიხარს ჩამოყრდნობოდა და ასე თვლემდა... გემზე ბუფეტიც კი არ იყო, ამიტომ ლაყბობისაგან მომშეულმა ყველაზე წინდახედულებმა საგზალი ამოალაგეს და საუზმობას შეუდგნენ. ამის გამო ზოგიერთი ჰანგები საერთო ყაყანში ნაწყვეტ-ნაწყვეტლა ისმოდა. მაგრამ მანქანის ხმაური არ ცხრებოდა, არ წყდებოდა სხვა ხმებიც.

ხანგამოშვებით მოისმოდა ბავშვების გულგამგვირავი, წვრილი, ლითონის ზურნის ჭყვიტინის მსგავსი ტირილი. იგი მოდიოდა საიდანდაც გემის უკანა მხრიდან.

III

გემის ერთ-ერთ კუთხეში, იქ, სადაც პატარა კვადრატული ხის ძელი ერთ ჩიმღე გამოშვერილიყო გემბანიდან, იჯდა ახალგაზრდა წყვილი.

კაცი იქნებოდა ოცდა ექვსი წლისა, გამხდარი და ფერმკრთალი, ეცვა მაუდის სტუდენტური ფორმა მუქი იისფერი სპილენძის დიღებით. მაშინვე მიხვდებოდით, რომ იგი იაპონიიდან ახლახან დაბრუნებული სტუდენტი იყო.

ქალი მოკლედ შეკრეჭილი თმით, მაღალყელიან ჩინურ კაბაში, ყოველგვარი სამკაულის გარეშე, უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ის არ იყო ტანმადალი. მოყვითალო, ხალეზიან სახეზე არაფერი ესვა.

ორივენი აღელვებულნი იყვნენ და ასაკის შეუფერებლად დაღვრემილნი. ქალს, ხელში ეჭირა შვიდიოდე თვის ბიჭი, გამხდარი, პატარა მაიმუნის მსგავსი. დროდადრო ბავშვი ჩაბუჩრებით ტიროდა.

ალბათ საჩქარო გამომგზავრებისა, ან გამოუცდელობის გამო მშობლებს საკმლის წამოღება დაეწყნოდათ. გემი უკვე

კარგა ხანია გზაში იყო, და ორივეს აწუხებდა შიმშილი და წყურვილი. ყველაფერზე უარესი კი ის იყო, რომ ბავშვიც იტანჯებოდა.

რძე დედას ისედაც არ ჰყოფნიდა, ახლა კი შიმშილის, წყურვილისა და მღელვარების გამო უფრო გაუშრა, და ძალიან მალე ბავშვმა სულ გამოსწოვა. დედა პირში აჩრიდა ბავშვს ცარიელ, რეზინის საწოვარასავით ძუძუებს, მაგრამ ამას არ შეეძლო დაეცხრო მისი სულ უფრო მზარდი მადა. ბავშვი შეუსვენებლივ ტიროდა. ახალგაზრდა მშობლებს არაფერი დარჩენოდათ იმის გარდა, რომ ბავშვი მალ-მალე ხელზე ენანავებინათ, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. ბავშვის აუტანელმა კივილმა მეზობლებიც გააბოროტა და გააბრაზა. ბოლოს მამამ, რომელსაც კილოზე ადვილად შეატყობდით, რომ ჩრდილოელი იყო, გაჯავრებულმა თქვა, თან მტირალ ბავშვს არწევდა:

— ადრე რომ მცოდნოდა, რომ ეს მოგველოდა, სჯობდა დავრჩენილიყავი ხანკოუში! სულერთია მაინც შიმშილით დავიხოცებით.

ქალს თავი დაეხარა, თითქოს არ უსმენსო ქმარს.

— ხომ იცოდი, რომ გემზე არაფერი იშოვებოდა, თან მაინც წამოგეღო რამე. იყიდა ერთი ქილა რძის კონსერვი და, მორჩა! — ბურტყუნებდა მამაკაცი.

— შენ რა, მხოლოდ ახლა შენიშნე ყველაფერი — თავის აქნევით, ნერვიულად უპასუხა ქალმა და გამოართვა ბავშვი. — თუ ჩემი გულის გახეთქვა გინდა!

— ვის რაში უნდა შენი გულის გახეთქვა! — გაცეცხლდა კაცი.

— ნუთუ შენთვის ძნელი იყო გეყიდნა რამე, შენ ხომ მთელი დღეობით სადღაც დარბოდი.

— მაგრამ ფული ხომ შენ გქონდა, რატომ იძუნწე? — არ ეშვებოდა ქმარი.

— განა შენ არ იცი, რამდენი გვაქვს ფული? — შეუტია ცოლმა.

ამ საბუთმა კაცი გააჩუმა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მახ იაპონურად ჰკითხა:

— სად არის ის ათასი იუანი?

— ბავშვის მოსასხამშია ჩაკერებული, — უნდომლად, მაგრამ იაპონურადვე უპასუხა ქალმა და ანიშნა ბამბის წითელ წამოსასხამზე, რომელშიც ბავშვი ჰყავდა გახვეული.

ბავშვი, თითქოს მიხვდა, რომ ცარიელი ძუძუთი მატყუებენო, უფრო ხმამაღლა აჩხავლდა.

IV

უეცრად საიდანღაც ციდან თვითმფრინავის გაურკვეველი გუგუნი მოისმა. იგი თანდათან ახლოვდებოდა. მგზავრებს თითქოს დენმა დაარტყაო: ყველა ერთბაშად გაუჩინდა.

ბავშვის ხმამაღალმა ბლავილმა გემბანზე მყოფთა ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია.

მეზობლად მჯდომმა მოხუცმა ქალმა ჩურჩულით ლოცვა აღავლინა. თავისი საქმიანობის შეუწყვეტილად, მან მსუსხავი თვალით და განრისხებული ყესტით ანიშნა მშობლებს, ბავშვი გააჩუმეთო.

რაც უფრო ახლოვდებოდა თვითმფრინავის გუგუნი, მით უფრო მძიმდებოდა ატმოსფერო გემზე და უფრო ხმამაღალი ჩანდა მშიერი ბავშვის კნავილი.

ამას მოთმინებიდან გამოყავდა გარშემო მყოფნი. უფრო ნერვიულებმა ახალგაზრდა მშობლებს ლანძღვა დაუწყეს.

— რას გადაგვეკიდეთ! — ბრანზიანად დაიღრინა მამამ, — ბავშვი მიზეზობს, რა უნდა ვქნათ? თვითმფრინავში ხომ არ გაიგონებენ მის ხმას!

— არამზადავ! — აღშფოთდა ბებერი, რომელიც ლოცვას კითხულობდა.

— იაპონურ თვითმფრინავებს ისეთი მიმღები აქვთ, რომლებშიც ყველაფერი ისმის, რასაც ქვევით ლაპარაკობენ! ო, მოწყალეო ბუდა! ო, მოწყალეო ბუდა!

განრისხებული სახის ახმახი ბავშვს მივარდა.

— თუ ეს ეშმაკის ნაშიერი არ შეწყვეტს ბლავილს, წყალში გადავისვრი!

მოულოდნელად მან ხელიდან გამოგლიჯა ბავშვი დედას

და წყალში ისროლა, — მშობლებმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს.

ღედამ გულსაკლავად დაიბღავლა, წამოხტა და უნდოდა გადაჰყოლოდა ბავშვს, მაგრამ ქმარმა დაიჭირა.

— გამიშვით! უშველეთ ჩემს შვილს, ჩქარა უშველეთ!

— ო, მოწყალეო ბუდა, მოწყალეო ბუდა!...

ტალღით ატაცებულმა წითელმა მოსასხამმა ერთი გაი-
ელვა და იქვე შთაინთქა მორევში.

— ა-ა...ა! ბავშვი, ბავშვი! ჩემი შვილი! — ყვიროდა გაგი-
ეებული ღედა და განთავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ქმარს
ისევ მაგრად ეჭირა.

ირგვლივ აჩოჩქოლდნენ და შეუტიეს.

— ეგენიც იმას უნდა მივაყოლოთ! — გაისმა ვიღაცის
პრისხანე ხმა.

— გაჩუმდი შე უკეთურო! — გააღმასდა მლოცველი-ბე-
ბერი. — ო, მოწყალეო ბუდა! მოწყალეო ბუდა! — აბუტ-
ბუტდა ისევ.

— დამეხსენი! -- ყვიროდა გამწარებული ახალგაზრდა
ღედა, და თან ქმრის ხელიდან გასხლეტას ლამობდა. თანდა-
თან იგი დასუსტდა და მიყუჩდა. სღუმდა ქმარიც.

სიმწრით გათავებულს, ხმა არ ამოუღია.

V

წუთიც და, თვითმფრინავის გუგუნმა თანდათან იკლო,
ჯერ შორითლა ისმოდა, ბოლოს, სულაც მიწყდა.

როგორც ეტყობა, ეს იყო მტრის მზვერავი, რომელმაც ან
კურსი შეიცვალა და გაგვშორდა, ან შეასრულა თავისი ამო-
ცანა და უკან გაბრუნდა.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. მლოცველი ბებრუხუ-
ნა გამოცოცხლდა:

— რაოდენ ძლიერია ბუდა, უსაზღვროა მისი გულმოწყა-
ლება! საკმარისია მან შეხედოს და მტრის თვითმფრინავები
გარბიან უკანმოუხედავად. თქვენ ჯერ კიდევ არაფერი იცით!
ამას წინათ იაპონელები ბომბავდნენ ქალაქ ჩანჩუნის ტაძარს

და ბომბი პირდაპირ ბუდას ქანდაკებაზე ჩამოაგდეს. მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ ასწია ბუდამ თავისი უწმინდესი ხელი, დაიჭირა ეს ბომბი, ააგდო ზემოთ და ჩამოაგდო იაპონელების თვითმფრინავი...

ახალგაზრდა დედის მძიმე, გულამოსკენილმა ამოხვრამ გააჩუმა იგი.

— ქალბატონო, თავს ნუ იკლავ, — მიმართა მას ბებრუხუნამ, — თუმცა ბავშვი დაგელრჩო, მაგრამ მან ყველანი იხსნა გემზე, მათ შორის შენცა და შენი ქმარიც. მოწყალე ბუდა თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანს მას. შენი ბავშვი აუცილებლად ანგელოზად გადაიქცევა! თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ და გაისად უკვე მეორე შეგვეძინება.

ახალგაზრდა ქალი კვლავიხდებურად სლუკუნებდა. სულ რაღაც ნახევარი საათის წინ წყევლა-კრულვას რომ ანთხედნენ ადამიანები, ახლა თითქოს იმათაც ეცოდებოდათ დედა რომელმაც შვილი დაკარგა. ის არამზადა კი, რომელმაც ბავშვი დააღრჩო, ალბათ სინდისმა შეაწუხა, იმანაც ისარგებლა აურზაურით და სადღაც მიიშალა. თუმცა მას შეიძლება, უბრალოდ, ბავშვის მამის შურისძიებისა შეეშინდა.

დედა უცებ ისევ ხმამაღლა აქვითინდა. ქმარმა ხელი მოხვია მას და როგორც იქნა სიტყვა დასძრა.

— ნუ სტირის ჩვენ ვერავის ვერ დავადანაშაულებთ! ყველაფერში იაპონელი ბანდიტები და ჩვენი ხალხის უმეცრებაა დამნაშავე. ათასობით ბავშვები დაიღუპნენ იაპონელთა ბომბებ ქვეშ! ჩათვალე, ვითომ ჩვენი შვილიც იმისგან მოკვდა... არაუშავს! ჩვენ ჯერ ახალგაზრდები ვართ, გადაუვხდით...

— უკიდურეს შემთხვევაში ფული ხომ მაინც გაქვთ? — შეაწყვეტინა მას ბებერმა.

ამ სიტყვებზე ახალგაზრდა დედამ მსწრაფლ შესწყვიტა ქვითინი.

— რა სთქვი? — თითქოს უცებ აამოფწიზლდაო იგი.

— თქვენ, ალბათ, ფული გექნებათ, თქვენ ხომ იაპონიიდან მოღიხართ, — გაიმეორა ბებერმა, — ჩახვალთ სიჩუანში, ჩუნცინში და ახალ ცხოვრებას დაიწყებთ!

ახალგაზრდა დედამ უცებ მთელი ხმით გაღიხარხარა:

— საოცარია! ჩვენ ფული?! ის ჩვენმა ბავშვმა წაიღო თან! ჩვენმა ბავშვმა! საოცარია! საოცარია!.. ჩვენმა ბავშვმა წაიღო!...

ამ წუთიდან, მეზობლის მსგავსად, რომელიც მონოტონურად გაიძახოდა: „მოწყალეო ბუდა! მოწყალეო ბუდა!“ — ისიც დაუსრულებლად ერთიდაიმავეს იმეორებდა: „ხა, ხა, ხა, საოცარია! საოცარია!.. ჩვენმა ბავშვმა წაიღო თან!...“

VI

შაშში რომ ჩავედით, ახალგაზრდა წყვილი ნაპირზე გადმოვიდა. ქალი განაგრძობდა ხარხარს და იმავე სიტყვებს გაიძახოდა.

კაცი აკავებდა მას და სდუმდა, სდუმდა..

არავინ იცის, ვინ იყვნენ ისინი და რა დაემართათ.

1942 წელი, 14 ივლისი

დინდუნური ჩანაწერები

(სამი ჩანახატი)

დინ-დუნი

სულიერი მღელვარებით ვფიქრობ „დინ-დუნ“-ის ხმაზე. მაგრამ არა იმ დინ-დუნზე, რომელსაც ოდესღაც გამოსცემდნენ ძვირფასი სამკაულები მეფის სარტყელზე; არც იმ ხმაზე, თქარათქურში რომ გაისმის ჩორთით მიმავლის ფლოქვებ ქვეშ; მე ვფიქრობ იმ ხმაწკრიალა დინ-დუნზე, რომელსაც გამოსცემს გამკვირვალე წყაროს წყლის წვეთი, ჩავარდნილი უღრმეს ჭაში.

ამ ჭას ზემოდან დიდი ხე გადაჰფარებია, და ისეთ ჩრდილს ჰფენს, რომ მის სიგრილეში მკვდარიც კი გაცოცხლდება. რა საამოა უსმინო წვეთების ვარდნის რიტმს, ხოლო ისინი, ეს წვეთები სულ ცვივიან და ცვივიან უღრმეს ჭაში. რანაირი მარად უქცნობი შეგრძნებაა სიგრილისა!

ძველად სასახლეთა წყლის საათების წვეთები, რომლებიც ღამის მკაცრ სიჩუმეში ღვენთავდნენ, ალბათ ასეთივე გრძნობას იწვევდნენ, მაგრამ ამის შეცნობამ მე არ მომიწია. შეიძლება, შორეულ მთებში, განმარტოებულ ხრამის პირს, იქ, სადაც მორაკრაკებს ნაკადული, კიდევ შეიძლება მოისმინო რაღაც ჯერაც განუცდელი რიტმი, რომელიც სულის სიღრმემდე ჩაგწვდება, მაგრამ ბავშვობაში მე არ მიცხოვრია მთებში და არც აროდეს მიფიქრია განდევგილად დავყუდებულ იყავ მიუვალს კლდეზე. ამიტომ, როცა სულიერი მღელვარებით ვფიქრობ დინ-დუნის ხმიანობაზე, მე ყოველთვის მაგონდება წყალი, რომელიც ეცემა ჭაში, და ეს უთუოდ ძიადინის ჭის წყალია. თითქმის ყველამ, ვინც კი ძიადინში ცხოვრობს, იცის რომ „მთვარის საგუბარის“ წინ არის ჭა

დინ-დუნ; ლედის ხე აჩრდილებს ქას, და ბროლივით გამ-
ჰვირვალე წყალი განუწყვეტლივ წვეთავს: დინ-დუნ, დინ-
დუნ.

ძიადინს სწვევია პოეტი ვან იუი-იანი. ალბათ სწორედ
მან შეუტვალა სახელი ქას — „წკრიალა კვადრატის ორმოდ“.
იმიტომ ხომ არა ნეტავ, რომ ზედაპირი ამ ქას ოთხკუთხი
ფორმისა აქვს? ან იქნებ იმიტომ, რომ ქაში წვეთ-წვეთ ჩამ-
დინარე წყალი თავისი ხმით მოგვაგონებს ძველებურ მუსიკა-
ლურ საკრავს ფანსიანს? შესაძლოა ამ სახელწოდებაში იგუ-
ლისხმება ერთიც და მეორეც, მაგრამ საეჭვოა, რომ ის უფრო
მგრძნობიარე იყოს, ვიდრე დინ-დუნი.

და ყოველთვის, როცა მაგონდება ნაზი დინ-დუნი, მე
ფიქრს ამ ქასთან გადავყავარ.

ბავშვობაში მე ვსწავლობდი ქალაქ ძიადინის მახლობლად
ცაოტანის ტაძართან არსებულ დაწყებით სკოლაში. ჩემი
გულითადი სკოლის ამხანაგი ცხოვრობდა დინდუნის შესა-
ხვევში, დინდუნის ქის მახლობლად. შაბათობით, როცა მოს-
წავლევები სახლებში ბრუნდებოდნენ, მე ვაცილებდი ხოლმე
ჩემს მეგობარს. მე რე ისიც აუცილებლად გამაცილებდა ხოლ-
მე უკან, ხოლო შემდეგ კვლავ მე მივდედი სახლამდე. ასე
დახეტიალობდით, ბინდში გახვეულნი, და ჩვენს ყურამდე
აღწევდა წკრიალა დინ-დუნ, დინ-დუნ.

რა წარუშლელი, მშვენიერი მოგონებაა!

მაგრამ მას შემდეგ შეუმჩნევლად გავიდა თითქმის ორ-
მოცი წელი. მეგობარი, რომელთანაც ერთად ოდესღაც დაე-
ყილობდით, უკვე ოცდაათი წელია, რაც იმ ქვეყანას წავიდა.
ოცდაათი წლის წინათ მე უკვე სანახევროდ დავკარგე სმენა.
დღე და ღამე ჩემს ყურებში მხოლოდ ბუზების ბზუილია
ისმის განუწყვეტლივ, დღე და ღამე ვგრძნობ თავში ქარის
წისქვილის ხმაურს. სხვა რამეებთან ერთად უნაზესი დინ-
დუნიც გაჰქა საუკუნოდ

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე მეორედ შევიარე
ძიადინში. მივედი „მთვარის საგუბართან“ და ძალიან ვნა-
ნობ ამას.

იქ ყველაფერი შეცვლილა. „ორმო — ხმოვანი კვადრატი“

კვლავინდებურად არსებობს, მაგრამ ჩემთვის იგი ახლა პირ-
ქუში და საშინელი იყო. მე მეშინოდა მასთან მიახლოებისა,
მეჩვენებოდა, რომ იქ ყველაფერი მოკვდა.

მე მინდა ვინმემ ჩამასხას ყურში გამდნარი ტყვია, რომ ეს
დღე და ღამ მობზულიე ბუზები, დღე და ღამ მოხმაურე
ფრთები ქარის წისქვილისა დაღუმდნენ.

გამჰვირვალე წყაროს წყალი კი სულ წვეთავს და წვეთავს
უღრმეს ჭაში. დიდი ხე ძველებურად ჩრდილსა ჰფენს მის
ზედაპირს. ამ ჩრდილის ქვეშ შენ შეგიძლია გახალისდე, ყურს
რომ მიუგდე ჭაში ჩამდინარე წვეთების ხმას. როკარი მა-
რადუკნობი შეგჩნება სიგრილისა.

მე ყოველთვის სულიერი მღელვარებით ვფიქრობ ხმა-
ზე — დინ-დუნ.

30 ოქტომბერი 1942 წ.

თეთრი() ყანჩა

თეთრი ყანჩა—ეს მშვენიერი პოემაა. მისი ბუმბულის ფერთა შეხამება, ტანის ზომა—ყველაფერი საოცრად კარგონიულია.

რა თქმა უნდა, თეთრი ყანჩა დიდი და მოუხეშავი გვეჩვენება; წითელი ან მუქი მოიისფრო ყანჩები შედარებით თეთრთან უფრო მოზრდილი ჩანს, და ძალიან უჩვეულონიც არიან. თეთრი ყანჩა კი, ძალიან ხშირად გვხვდება, და ადამიანი მიეჩვენია მის სილამაზეს: თოვლივით ქათქათა ფრთები, სხეულის კვერცხისებური ფორმა, ლითონისფრად მბზინავი ნისკარტა. ცოტათი რომ დავუგრძელოთ ქუფრი ფეხები — ისინი ძალზე გრძლად მოგვეჩვენება, ცოტა რომ დავუმოკლოთ — ძალიან მოკლედ, სულ ოდნავ უფრო თეთრი რომ იყოს ისინი — ძალიან თეთრი გამოჩნდება, მოშავო — ძალზე შავი.

როცა გამკვირვალე, დაწმენდილი წყლით გალიცილიცებულ ბრინჯის ყანაში, ერთი-ორი ყანჩა, მდგომარე, თევზებს იკერენ, მთელი ყანა ემსგავსება ტილოს, ჩასმულს ჩარჩოში, და თავისი მოცულობით მოგვაგონებს სარკიან ყუთს, რომელიც თითქოს საგანგებოდ ვიდაცას თეთრი ყანჩისთვის გაუკეთებიაო.

დილით კარგ ამინდში ყოველთვის ხედავ მას, განმარტოებით აწვდილს პატარა ხის ყველაზე მაღალ ტოტზე, უცქერ, და გგონია, რომ საცაა ჩამოვარდება, მაგრამ სინამდვილეში იგი ხორცშესხმული სიმშვიდეა. ასეთი პოზა სხვა ფრინველს არ ახასიათებს. ხალხში თქმულებაა, ყანჩა ამ დროს დარაჯად დგასო. ასეა ნეტავ?

ბინდისას თეთრი ყანჩის დანახვა, როცა იგი დაბლა ფრენს — ეს უკვე ცოცხალი, სისპეტაკის იდეალური ხატებაა,

დიდი და იშვიათი სიხარულია სოფლელთა ცხოვრებაში. შესაძლოა, ვინმეს ეს სილამაზე არასრულად ეჩვენოს — თეთრი ყანჩა ხომ არ მღერის.

მაგრამ თეთრი ყანჩა თავისთავად — განა ხმაშეწყობილი სიმღერა არაა? თუმცა არა, სიმღერასთან მისი შედარება ძალზე ხმაურიანია. თეთრი ყანჩა — ეს პოემაა, პროზაული პოემა ფარული რითმით.

31 ოქტომბერი. 1942 წელი

ბ რ ო წ ე უ ლ ი

მაისის თვე მიიწურა. თაკარა მზის სხივები უფრო მწვავედ აცხუნებენ. ხეებმა ქოლგებივით გადმოშალეს თავისი საბურველი და უკვე აღარ ფიქრობენ იმ ღროზე, როცა სამოსელის სილამაზით ეტოქებოდნენ ერთმანეთს.

ზოგიერთი ხე ამ ღროს ყვავილობს. ბროწეული მათ შორის — ყველაზე შესანიშნავი ხეა. რტოები მას ქლიავს მიუგავს, ფოთოლი ტირიფს გვაგონებს. იგი საოცრად გამოირჩევა თავისი სინატიფითა და სინორჩით. იგი თავაწეული და ამყია. მასში შეხამებულია ყველა დადებითი თვისება ტირიფისა და ქლიავის ხისა.

მაგრამ ყველაზე მშვენიერი — ბროწეულის ყვავილია. ეს აღისფერი ყვავილები სრულიადაც არ ემალებიან მცხუნვარე მზის მკბენავ სხივებს! ცალფა ყვავილი ლამაზია, მაგრამ ორფა — უფრო წარმტაცი.

ბროწეულის ხე — ეს ზაფხულის გულია. ხომ მართალია? კვირტებიც კი, რომლებიც პატარა ბადრიჯნებს გვანან, — ეს უკვე რაღაც საოცრებაა. შეხედე, როგორ თანდათანობით წითლდებიან ისინი და ასევე თანდათანობით, წვეროდან დაწყებული, სკდებიან ოთხ თანაბარ ნაწილად. აიღე ყველაზე მჭრელი დანა, და მაინც ვერ დაყოფ ასე სიმეტრიულად.

ეს ვინ შესძლო ამდენი წითელი აქატის ვაზების ასე გაპრიანლება და თანაც ასე ოსტატურად მათში ყვავილების ჩადება!

ცალფა ყვავილს, თუმცა ორმაგს სიკოხტავით ვერ სჯობია, მაგრამ სასწაულებრივი გარდაქმნის უნარი აქვს: წითელი აქატის ვაზა — ბერძნული სტილის ამპულა — გადაიქცევა

ჩინური სტილის ღვინის სასმისად, და მოყვანილობით გვაგონებს ძველი ბრინჯაოს ჭურჭელს ინ და ჯოუს ეპოქისას¹.

ცალფა ყვავილს მრავალი სხვადასხვა სახის მოხატულობა აქვს, რომელსაც სახელებს ანტიკვარები არაქმევენ.

ხომ არ ფიქრობ შენ, რომ ეს მართლა ღვინის სასმისია? ბროწეულის ყვავილი დაგცინებს შენ. შემოდგომის დადგომისთანავე იგი კვლავ ვერ შეიკავენს თავს ახალი სასწაულებრივი ფერიცვალებისაგან: დაუოკებელ სიცილში, თავისი ოინებით კმაყოფილი, იგი გამოაჩენს თეთრ კბილებს, გამჭვირვალეს, მოელვარეს, სათუთს.

გინახავს ამგვარი რამ?

მე თვითონაც ძალიან მიყვარს ზაფხული. ზაფხულის დრო — ეს არის მთელი სამყაროს გაფურჩქვნის ხანა, როცა ადამიანის სული და სხეული თავისუფლდება თავისი ყველაზე მძიმე ბორკილებისაგან და ამიტომ მე კიდევ უფრო მეტად მიყვარს ეს ზაფხულის შუაგული.

კუნძინიდან დაბრუნებულმა ერთმა ნაცნობმა მიაგებო, რომ ბროწეული იქ განსაკუთრებით დიდი იცის, მარცვლები ძალზე წვნიანია. არის ბროწეულის ორი ჯიშო: მყავე და ტკბილი; მომქავო უცრო სასიამოვნო გემოაიო. და მე ჩემდაუნებურად შურმა შემიბყრო.

31 ოქტომბერი 1942 წ.

¹ ინ-ის ეპოქა — 1766 — 1122 წწ. ჩვ. ერამდე, ჯოუს ეპოქა — 1122 — 256 წწ. ჩვ. ერამდე.

შინაარსი

	83
წინასიტყვაობა — რედაქციისაგან	3
ლექსები	
მანანა — თარგმანი ლ. სულაბერიძისა	7
კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ „ქ ა ლ ლ მ ე რ თ ე ბ ი“ (1919 — 1921)	
ფენიქსთა ნირვანა — თარგმანი პ. აბრამიასი	15
ქვეყნის კიდზე მდგარი სიგნალს ვიძლევი — ვ. გვეტაძისა	25
ღამთ ფიქვენარში გავიარე ათი ღი — მისივე	26
მკრთალი მთვარე — თარგმანი პ. აბრამიასი .	27
კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ „ვ ა რ ს კ ე ლ ა ე ე ბ ი ა ნ ი ს ი ე რ ც ე“ (1921—1922)	
წარღვნის ეპოქა — თარგმანი პ. აბრამიასბ	28
ორი დიდი ვარსკვლავი — თარგმანი ვ. გვეტაძისა	32
კ რ ე ბ უ ლ ე ბ შ ი ა რ შ ე ს უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი დ ა ნ (1919 — 1923)	
მთვარე და ზღვა — თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა	33
ეწუხებარ ჩემგან წასულზე — მისივე	34
მზის ჩა:ვლა — მისივე	35
ცრემლები — მისივე	36
„ე ა ზ ა“ (1927 წ.)	
მიძღვნა — თარგმანი კ. ბობოხიძისა	37
კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ „ა ე ა ნ გ ა რ დ ი ს ნ ი შ ა ნ ი“ (1922 — 1928)	
ვემშვიდობები იაპონიას — თარგმანი ვ. გვეტაძისა	39
შანხაის დილა — თარგმანი გ. კაქახიძისა	40
მეგობრებო იტანჯებიან კედლებს შორის — მისივე	42
წამების მტევანი — თარგმანი ვ. გვეტაძისა	43
შეება-ლხენაა მდიდართა ბაღში — თარგმანი კ. კიკინაძისა	44
სიტყვათა ხორგან გამოქვაბულში — თარგმანი ვ. გვეტაძისა	45
ჩვენ. ვხედებით ერთმანეთს წითელ სხივთა შორის — მისივე	47
მარში — მისივე	48
	189

კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ „ს ი ც ო ც ხ ლ ი ს დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა“ (1928 წ.)

ფიქრი — თარგმანი ვ. ჯავახაძისა	50
დალუპულ მეგობარს — თარგმანი კ. ბობოხიძისა	52
ვიგონებ ჩენ შეს და უ გუანს — თარგმანი ვ. გვეტაძისა	55
ხუანხესა და იანძიძიანის საუბარი — თარგმანი ვ. ჯავახაძისა	57

კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ „ო მ ი ს ხ მ ა“ (1936 — 1937)

გორკის ხსოვნას — თარგმანი კ. ბობოხიძისა	61
ომის ხმა — თარგმანი ნოდარ მუხაშავერიასი	63

კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ „ც ი კ ა დ ე ბ ი“ (1931 — 1949)

ბოროტების პირამიდა — თარგმანი ვ. გვეტაძისა	64
დიდება საბჭოთა წითელ არმიას — თარგმანი კ. მელაშვილისა	65
მ აპრილს გმირების ხსოვნას — თარგმანი ვ. გვეტაძისა	68
ჩინელის დედა — თარგმანი კ. მელაშვილისა	69
*** — შობელი მხარის... — თარგმანი ვ. გვეტაძისა	70
ოქტომბრის შთაბეჭდილებანი — თარგმანი ვ. გვეტაძისა	72
ზღვაზე, ქარის პირისპირ — თარგმანი ლ. სულაბერიძისა	74
სიძლერა ამოხუც მეთევზეზე — მისივე	76

კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ „ვ უ მ ღ ე რ ი ა ხ ა ლ ჩ ი ნ ე თ ს“ (1949 — 1952)

ევმღერი ახალ ჩინეთს — თარგმანი კ. ბობოხიძისა	79
ლუ სინს ელიმება — თარგმანი პ. აბრამიასი	81
დიდება ლენინს — მისივე	84
გოლიათი — თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა	86
სწრაფი წინმსველელობის წელი — მისივე	88
გმადლობთ — მისივე	90
გლოვა ბელოიანისზე — თარგმანი პ. აბრამიასი	92
ფრიალებს დროშა მათ ძე-დუნის — თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა	95

კ რ ე ბ უ ლ ე ბ შ ი ა რ შ ე ს უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი დ ა ნ (1951—1958)

ოქტომბრის რევოლუცია და ჩინეთი — თარგმანი ჯ. ნიკაბაძისა	97
აქლემი — თარგმანი გ. კაჭახიძისა	101
ებრუნდები სამშობლოში — თარგმანი ი. ხოშტარისა	103

ც ი კ ლ ი დ ა ნ „კ ვ ლ ა ვ ი ა პ ო ნ ი ა შ ი“

გამოთხოვება სუედასთან — თარგმანი კ. ბობოხიძისა	105
უძველეს ფიქვთა ველზე წუხილი — თარგმანი ი. ხოშტარისა	108
მატარებელში — თარგმანი კ. ბობოხიძისა	109

კოშკი „ხარუბანი“ — თარგმანი ი. ხოშტარიასი	110
მიველ ბეპაში — მისივე	111
გეში შედის იანძის შესართავში — მისივე	112

ლ ე ქ ს ე ბ ი ე გ ე ი პ ტ ე ზ ე

ნავით მივეტურავ ნილოსზე — თარგმანი კ. ბობოხიძისა	113
--	-----

მოთხრობები

გზაჯვარედინზე — თარგმანი ელ. მაისურაძისა	117
ჩუს ბევანის თვითმკვლელობა — თარგმანი ბ. მირცხულავასი .	131
სიმა ციანის რისხვა — თარგმანი ირ. ყიფიანისა .	145
ძია ის სეედა — თარგმანი გ. ბუხნიკაშვილისა	157
ჯამგზავრების წინ — თარგმანი ბ. მირცხულავასი	171
ტალღა — თარგმანი ი. ყიფიანისა	175
დინდუნური ჩანაწერები — მისივე	182

Го Мо-жо
Избранное
Стихи и рассказы

(на грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Спкартвело»
Тбилиси
1959

რედაქტორი კ. ბობოხიძე
მხატვარი ო. ჯიშყარიანი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. ხუნდაძე
კორექტორი ე. მაისურაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI-59 წ. ქა-
ლალის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 9,84.
სააეტორო თაბახი 6.09. საალ-საგამომც. თაბა-
ხი 6,61. ტირაჟი 7.000. შეეკ. № 484.
ფასი 5 მ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

■

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.